პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ოქტომბერი **შაბათი** 2011
№ 255 (13 552) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



16

# ქუთაისი ზესტაფონში გეგუჩაძით ჩადის

## დერბია იმისთანა, იმერულიც არის და ამერულიც

## ზესტაფონი VS ტორპედო







3-4

# DERBY D'ITALIA და არა მარტო

8



დღეს მილანში: ინტერი-იუვენტუსი




U 18. ევროპის ჩემპიონატი

# წინ, ექვსი ერისკენ!

დღეს მასპინძელ რუმინეთს ვხვდებით

13

U 21. შვეიცარიასთან მატჩის წინ



შვეიცარიაში საქართველოს ნაკრებს გიორგი ჭანტურია (ბურთით) დააკლდება — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ძველი სახეები უსამეულოდ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ჭედიამ** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც შვეიცარიის ნაკრებთან ჩასატარებელი ევროშესარჩევი მატჩისთვის მოამზადებს. შეგახსენებთ, ჩვენი 21-წლამდელები, რომელთაც ესპანეთთან წყვილი მარცხითა და შვეიცარიასთან შინ წაგებით ჯგუფიდან გასვლის უმცირესი შანსილა შეინარჩუნეს, შვეიცარიელებს 10 ნოემბერს ლუგანოში ეთამაშებიან.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე** („ლე მანი", საფრანგეთი), **ჯონი შეროზია** („მერანი", მარტვილი), **თორნიკე ზარქუა** („დინამო");

მცველები: **ნიკოლოზ აფაქიძე** („ბაია"), **საბა კვერკველია** („რუბინი", რუსეთი), **ლაშა კალანდაძე** („გაგრა"), **გივი იოსელიანი** („ტორპედო") **ივანე კანდელაკი** („სკონტო", ლატვია), **მამუკა კობახიძე** („ზესტაფონი"), **ლევან კაკუბავა** („დინამო");

ნახევარმცველები: **ნიკა კვეკვესკირი, ჯამბულ ჯიღაური** (ორივე - „დინამო"), **თორნიკე ოქრიაშვილი** („ილიჩივეცი", უკრაინა), **თორნიკე თარხნიშვილი** („ტორპედო"), **ნიკა ძალამიძე** („ვიძევი", პოლონეთი), **ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია** (ორივე - „ბაია"), **ზაქარია ბეგლარიშვილი** („ფლორა", ესტონეთი);

თავდამსხმელები: **ირაკლი ქობალია** („ბაია"), **ირაკლი შეყილაძე** („ემპოლი", იტალია).

**გიორგი ჭანტურია, ვალერი ყაზაიშვილი** და **დავით ხოჭოლავა** ახალგაზრდულს საპატიო მიზეზით ვერ დაეხმარებიან - მათ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები უნდა ჩაატარონ და აშკარად ჯობს, თითქმის უშანსოდ დარჩენილ გუნდში თამაშის ნაცვლად, ამ ეტაპზე თანატოლებთან ერთად ელიტრაუნდში გასასვლელად იბრძოლონ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისში შეკრებას არ გამართავს და მატჩისთვის შვეიცარიაში მოემზადება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მსაჯთა საფიხვნო

# რამდენიმე დასანიშნი და ერთი არდასანიშნი

**ჩვენი რუბრიკის ტრადიციულ სტუმართან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელ ლევან ფანიაშვილთან საუბარში უმაღლესი ლიგის განვლილი ორი ტური განვიხილეთ და საკამათო ეპიზოდებიც გავიხსენეთ.**

**X ტური**

**მეტალურგი-მერანი**

ამ მატჩში ორი პენალტი დაინიშნა და, ფანიაშვილის შეფასებით, ორივე მართებულად. პირველ ეპიზოდში მცველმა ბურთზე ხელით ითამაშა, მეორედ კი საჯარიმოში თამაშის წესები დაირღვა.

**კოლხეთი-სიონი**

არბიტრმა ლაინსმენის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედნიდან სიონელი **გიორგი ოქროპირიძე** გააძევა. ბოლნისელები ირწმუნებოდნენ, რომ იგივე გაიმეორა "კოლხეთის" მეკარე **მინდია ბობლიაშვილმა**, მაგრამ ფედერაციაში მატჩის ვიდეოჩანაწერი არ წარმოდგენილა და სამსაჯო განყოფილებაც მხოლოდ არბიტრის, მსაჯთა დამკვირვებლისა და დელეგატის მონათხრობს დაეყრდნო.

**XI ტური**

**სიონი-მეტალურგი**

ბოლნისელებს პრეტენზია მათ კარში დანიშნულ ორივე თერთმეტმეტრიანზე ჰქონდათ.

*"ორივე ეპიზოდი დეტალურად განვიხილეთ. პირველი პენალტი უდავოდ დასანიშნი იყო, მეორეზე კი ბევრი ვიმსჯელეთ და რისი თქმის საშუალებასაც ვიდეოჩანაწერი გვაძლევს, ის არის, რომ არბიტრმა ეს მომენტიც სწორად განსაჯა. ამ მატჩში იყო სხვა ეპიზოდებიც, რომელთა თაობაზეც მსაჯებთან ვიმსჯელეთ, მაგრამ ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა"*, - გვითხრა ფანიაშვილმა.

**დინამო-გაგრა**

სამაგიეროდ, არბიტრი პენალტის დანიშვნისას ამ მატჩში შეცდა. "გაგრას" უკრაინელმა **მიკოლა ნაკონეჩნიმ** საკუთარ საჯარიმოში ხელით უნებლიეთ ითამაშა და არა – განზრახ. ხელის მოძრაობა ბუნებრივი იყო და ის ბურთმა "მოძებნა".

**ლევან ჯანეზაშვილი**



დინამო-გაგრა. პენალტი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ

# ნაკრების კანდიდატის აზრით, მეტალურგიც კანდიდატია

## ალექსანდრე კვახაძე: გუნდს ჩემპიონობა სურს და არ ვიცი, გამიშვებენ?

**რუსთავის "მეტალურგის" ცენტრალურ მცველს ლექსო კვახაძეს ექტორ რაულ კუპერი ენდობოდა და ხშირად ათამაშებდა, "ჯვაროსნების" ფორმა 12-ჯერ მოურგია, მაგრამ თემურ ქეცბაია კარგა ხანი არ იწვევდა.**

**თუმცა საბერძნეთთან და ახლა მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუსთაველთა 27 წლის მცველი კვლავ გაიხსენა.**

**- ნაკრებში გამოძახება სტიმულს დაგიბრუნებდა.**

- ბოლოს ნაკრებში ორი წლის წინ ვითამაშე, ამიტომ დაბრუნება ძალიან გამიხარდა. ცხადია, ეს დიდი სტიმულია.

**- ქეცბაია რომ არ გიწვევდა, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ხომ არ შეგეპარა?**

- პირიქით, სურვილი გამიჩნდა, კარგად მოვმზადებულიყავი და, შანსი თუ გამოჩნდებოდა, გამომეყენებინა. ამ ორი წლის განმავლობაში საქმისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შევცვალე, უფრო პროფესიონალურად მივუდექი და მონდომება დამიფასდა. მინდა დავამტკიცო, რომ ძირითადში თამაშის ღირსი ვარ და, თუ მოედანზე გამიშვებენ, თავს არ დავზოგავ.

**- მონდომება კარგია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატიდან ნაკრების დონეზე გადართვა ძნელია.**

- ასეა, მაგრამ კარგი მომზადებით და სწორი მიდგომით შეუძლებელიც არ არის. სხვათა შორის, ესეც სათქმელია: ჩვენს ჩემპიონატს ბევრი ზერელედ ეკიდება, არადა, ბევრ კარგად აწყობილ ჩემპიონატთან შედარებით, აქ თამაში უფრო ძნელია. თუ გავითვალისწინებთ, როგორი პირობებია საქართველოში და როგორი — უცხოეთში, მივხვდებით, რომ ჩვენი გუნდები და ფეხბურთელები კიდევ კარგ დონეზე არიან. ბევრი ჩვენი მოთამაშის ჩამოთვლა შეიძლება, ევროპელების დარ პირობებში გაცილებით მაღალ დონეზე რომ ითამაშებდა. უკეთესი იქნება, ევროპაში უფრო მეტი მიდიოდეს, ეს ნაკრებსაც დაეტყობა.

**- წლეულს "მეტალურგის" გამოსვლაზე რას იტყვი?**

- ვფიქრობ, ცუდად არც ევროპის ლიგაზე გამოვსულვართ და ეროვნულ ჩემპიონატშიც კარგად მივდივართ. "მეტალურგი" ერთსულოვანი გუნდია და ეს მოედანზეც ჩანს.

**- შენი აზრით, აქვს "მეტალურგს" ჩემპიონობის რეალური შანსი?**

- რა თქმა უნდა. თუ ლიდერებთან დარჩენილ შეხვედრებშიც გავიმარჯვებთ, ფინალურ ეტაპზე ჩემპიონობისთვის ბრძოლაც იქნება შესაძლებელი. ეს "დინამოსთან" თბილისში მოგებითაც დადასტურდა. ჩემი აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "მეტალურგის" მთავარი კონკურენტი "ზესტაფონია", დალაგებული და კარგად შეთამაშებული გუნდი. გამართლებაზეც ბევრია დამოკიდებული და ვნახოთ.

**- ახალი ხელმძღვანელებისა და კობა ჟორჟიკაშვილის მოსვლით გუნდში რა შეიცვალა?**

- ყველა მწვრთნელს თავისი პრინციპები აქვს და, ცხადია, ჟორჟიკაშვილმაც ბევრი რამ შეცვალა. გამოვარჩევდი ერთს — სტაბილურად ერთი ტაქტიკით, სამი თავდამსხმელით გვათამაშებს.

**- შენი აზრი წლევანდელ ჩემპიონატზე.**

- ვფიქრობ, შარშანდელზე უკეთესი ჩემპიონატია. წვრილმანი არ არის, ტურის ცენტრალური შეხვედრა კარგ მოედანზე და განათებით რომ ტარდება და პირდაპირი რეპორტაჟი გადაიცემა. ეს განწყობას ფეხბურთელებსაც უქმნის და ხალხსაც.

ჩემი აზრით, საერთო დონეც ამაღლდა, რადგან წლეულს ჩემპიონობისთვის უფრო მეტი გუნდი იბრძვის, ასეთი არაპროგნოზირებადი ჩემპიონატიც ძნელი გასახსენებელია და გეტყვით, რატომაც: "ტორპედოს" გაუჩნდა ამბიცია, რამაც ლიდერებში ვითარება დაძაბა, თანაც, უმაღლეს ლიგაში გადმოსული "მერანი", "გაგრა", "დილა" და მოლონიერებული "ბაია" წინა წლების აუტსაიდერებივით თამაშამდე არ აგებენ. ახლა იოლად სამ ქულას ვერავისთან აიღებ.

ისიც კარგია, რომ რამდენიმე ქალაქში მოედანი გააკეთეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, კარგი საფარი ყველა ქალაქში უნდა იყოს, რაც თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა. ხელოვნური მოედნებიც არ არის ცუდი, მაგრამ მერე ბალახზე თამაში ჭირს და ტრავმის მეტი რისკია.



**- შენს პირად ამბებზეც ვთქვათ: 27 წლისა ისევ საქართველოში თამაშობ. ამბიცია ამით ამოგეწურება?**

- რა თქმა უნდა, არა. წასვლა გამართლებაზეც არის, მე კი ჯერ არ მიმართლებს და საქართველოს შემოვრჩი, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. ზამთარში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და ვნახოთ, იქნებ ახლა მაინც გადავიდე უკეთეს ლიგაში.

**- ვიცი, რომ "ირტიში" გიწვევდა, სადაც ბევრად უკეთესი პირობებია, მაგრამ ნაკრების კანდიდატის ყაზახეთში წასვლა სასიამოვნო ნამდვილად არ იქნება.**

- მეც ასე ვფიქრობ და უკეთეს ლიგაში მსურს თამაში. მეტი შრომითა და მონდომებით, ვფიქრობ, ეს შესაძლებელი იქნება. რამდენიმე წინადადება ნამდვილად მაქვს, მაგრამ "მეტალურგთან" კონტრაქტი მაისში მიმთავრდება, გუნდს კი ჩემპიონობა სურს და არ ვიცი, გამიშვებენ?

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი-ტორპედო. მატჩის წინ

# გიორგი ჭიაბრიშვილი: გეგუჩაძეს ზესტაფონში თბილად დახვდებიან

## სამი რატომ უნდა ნიშნავდეს წელს?

დიდიხანი არ არის, რაც გიორგი ჭიაბრიშვილი "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა გუნდი "ტორპედოს" წინააღმდეგ მოედანზე უკვე მეორედ გაჰყავს. შეგახსენებთ, მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში მიზეზთა გამო "ზესტაფონი" ქუთაისში გია გეგუჩაძის ნაცვლად სწორედ ახალგაზრდა სპეციალისტმა ჩაიყვანა.

ჭიაბრიშვილს ხვალინდელი მატჩის შესახებ ვესაუბრეთ და, ბუნებრივია, გვერდი ვერც გეგუჩაძისა და ზესტაფონურ-ქუთაისური საფეხბურთო დაპირისპირებების თემას ავუარეთ.

**- როინ კვასხვაძეს ტრავმის გამო რამდენიმე კვირა გაუცდება. ამით "ზესტაფონს" სერიოზული პრობლემები ხომ არ შეექმნება?**

- როგორც იცით, როინმა ხელის თითი მოიტეხა და დაახლოებით სამი კვირა გაუცდება, მოედანს იგი ამაზე ოდნავ ადრე ან ოდნავ გვიან დაუბრუნდება. კვასხვაძის ტრავმა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საწყენი ამბავია, მაგრამ მეკარის პოზიციაზე ნამდვილად არ ვღელავ, რადგან ზურაბ მამალაძეს აბსოლუტურად ვენდობით და იგი ამ ნდობას ამართლებს.

**- როგორ ფიქრობთ, დიდი განსხვავებაა ამჟამინდელ და იმ "ტორპედოს" შორის, რომელსაც პირველ წრეში სძლიეთ?**

- გუნდის შენება რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ვფიქრობ, გია გეგუჩაძემ "ტორპედოს" თავისი ხელი ამ მოკლე პერიოდშიც დაატყო. შეიძლება, გუნდის თამაში ჯერ არ იყოს იდეალური, მაგრამ ფაქტია, რომ ქუთაისელებმა შედეგები საგრძნობლად გააუმჯობესეს. ასე რომ, გამარჯვება ამჯერად უფრო გაგვიჭირდება, თუმცა ჩვენ სხვა შედეგზე ფიქრის უფლება არ გვაქვს.

**- წინა მატჩებში "ტორპედო" "ზესტაფონს" ჩაკეტილ ფეხბურთს უპირისპირებდა. როგორ ფიქრობთ, ამჯერად სხვაგვარ სურათს ხომ არ ვიხილავთ?**




გიორგი ჭიაბრიშვილი და გია გეგუჩაძე: ერთ დროს ერთი გუნდი...

- დიახ, ნაკლებად მგონია, რომ მაყურებელმა უსახური ფეხბურთი ნახოს. მეც და გეგუჩაძეც შემტევი სტილის მიმდევრები ვართ და დარწმუნებული ვარ, სტადიონზე მოსული ქომაგიც და ტელემაყურებელიც ლამაზ სანახაობას იხილავს.

**- შეუძლებელია, ამ მატჩის წინ არ გაგვახსენდეს წინა სეზონში, თასის ნახევარფინალში მომხდარი სერიოზული ინციდენტები.**

- რაც წინა სეზონში მოხდა, ამან მხოლოდ "ზესტაფონსა" და "ტორპედოს" კი არა, სრულიად ქართულ ფეხბურთს მოსცხო ჩირქი. საბედნიეროდ, "ზესტაფონისა" და "ტორპედოს" მატჩისას მას შემდეგ მსგავსი არაფერი მომხდარა. გულშემატკივრებმა გაითავისეს, რომ თავისიანებს ურთიერთშეურაცხყოფის გარეშე უნდა უქომაგონ და დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა ნამდვილ საფეხბურთო ატმოსფეროში ჩაივლის.

**- და როგორ დახვდებიან გია გეგუჩაძეს ზესტაფონში?**

- თბილად. გიას "ზესტაფონისთვის" კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ითამაშა კლუბმა ასეთი დონის ფეხბურთი და პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი, რაც ზესტაფონელებს არასოდეს დაავიწყდებათ. ხოლო თუ რა გააკეთა გეგუჩაძემ უშუალოდ ჩემი მწვრთნელად ჩამოყალიბებისთვის, ამაზე "ლელოს" უკვე ველაპარაკე და ბევრს აღარ ვისაუბრებ. მოკლედ გეტყვით – გეგუჩაძე ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მწვრთნელია.

**- გამორიცხულია, "იმერული დერბისთვის" "ზესტაფონი" განსაკუთრებული მონდომებით არ ემზადებოდეს.**

- ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი მატჩები არ უნდა არსებობდეს. ჩვენ თითოეული მატჩისთვის სრული მობილიზებით ვემზადებით.

**- "სპარტაკს" "ზესტაფონმა" დამაჯერებლად სძლია, "ვიტ ჯორჯიასგან" კი მეტ წინააღმდეგობას წააწყდა.**

- ეს იმიტომ, რომ "ვიტ ჯორჯიამ" კარგად იცის ჩვენი სტილი და შეეცადა, სივრცეები მაქსიმალურად გადაეკეტა. სტუმრებს პირველ ტაიმში ეს კარგად გამოუვიდათ, შესვენების შემდეგ კი "ვიტ ჯორჯიას" სხვა ყველაფერთან ერთად ფიზიკურადაც ვაჯობეთ და მისი კარის გასაღებიც ვიპოვეთ.

**- საქართველოს ჩემპიონატს "ზესტაფონი" ერთპიროვნულად ლიდერობს, ხოლო მეორე ეტაპისთვის წარმოსახვითი ცხრილი რომ შევადგინოთ, თქვენი უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური იქნება.**

- სასიამოვნოა, თუ ჩემპიონატის ახალი სისტემა ჩვენზე ასე სასიკეთოდ იმოქმედებს, მაგრამ მე ასეთი სტრუქტურა მაინც არ მომწონს. ჩემი აზრით, საფეხბურთო შეჯიბრებებს ზედმეტი და, რაც მთავარია, ნაძალადევი გართულებები არ სჭირდება. მე ის ვიცი, რომ ფეხბურთში გამარჯვება იძლევა სამ ქულას, ფრე ერთს, მარცხი კი – ნულს. და არა მგონია, საჭირო იყოს სისტემა, რომელიც ზოგ გამარჯვებას ფასს დაუკარგავს, ზოგი მარცხი კი გუნდს საერთოდ არ აზარალებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გია გეგუჩაძე: ქალაქი, რომელიც ჩემთვის ბევრს ნიშნავს

კვირას გია გეგუჩაძე მთავარი მწვრთნელის რანგში ქუთაისის "ტორპედოს" ჩაიყვანს ზესტაფონში, სადაც იმ გუნდს დაუპირისპირდება, რომელსაც სამი წელი წვრთნიდა და ჩემპიონობისკენ გზაც გაუკვალა.

**- ზესტაფონში თამაში თქვენთვის ჩვეულებრივი ვერ იქნება – სამი თვის წინ ხომ "ზესტაფონს" ავარჯიშებდით. ამ ქალაქში ისეთივე განწყობით ვერ ჩახვალთ, როგორც სხვაგან.**

- ცხადია, ასე იქნება. მიხარია, რომ ჩავდივარ ქალაქში, რომელთანაც ძალიან თბილი მოგონებები მაკავშირებს. თამაშს კი, უპირველესად, სპორტული პრინციპით უნდა მივუდგეთ. ჩვენთვის ეს დაპირისპირება ძალიან სასარგებლო იქნება და, იმედია, ორივე გუნდი ლაღ და სანახაობრივ ფეხბურთს შესთავაზებს მაყურებელს.

ჩვენ ვხვდებით საქართველოში საუკეთესო გუნდს - "ზესტაფონი" ტიტულითაც და თამაშის ხარისხითაც მართლაც საუკეთესოა. ამიტომაც "ტორპედოსა" და მისი თითოეული მოთამაშის მომზადების დონეზე რეალური წარმოდგენა შეგვექმნება, დავინახავთ დადებით და უარყოფით მხარეებს.

**- ეს შეხვედრა იმასაც წარმოაჩენს, რამდენად რეალურია "ტორპედოს" საჩემპიონო ამბიციები.**

- არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ "ტორპედო" აწყობის სტადიაშია. ჩვენთვის ახლა მთავარი ის სამუშაოა, რომლითაც გუნდს საფუძველი ჩაეყრება, საამისოდ და საქმიანობის სწორად დასაგეგმად კი საჭიროა სწორი ინფორმაცია, რაშიც "ზესტაფონთან" შეხვედრა დაგვეხმარება. ამჟამად კი ჩვენი მიზანი საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრაა.

**- ხვდებით თქვენთვის კარგად ნაცნობ გუნდს, რომელსაც თქვენს ხელში გაზრდილი მწვრთნელი ავარჯიშებს – რა სიურპრიზი შეიძლება შემოგთავაზოთ "ზესტაფონმა"?**

- ჯერ ის ვთქვათ, რომ ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს და წინასწარ ვერავინ იტყვის, რომ მეტოქე სიურპრიზს არ შემოგთავაზებს. ამ ჩემპიონატში "ზესტაფონის" თამაში რომ ვნახე, შარშანდელთან შედარებით დიდი სხვაობა არ არის – დალაგებულ, შემტევ ფეხბურთს აჩვენებს, დიდი ხანია, ფეხბურთელები ერთად მოდიან და ჩინებულად უგებენ ერთმანეთს. მაგრამ გია ჭიაბრიშვილს თავისი შეხედულებები აქვს და, ვიმეორებ, დღეისთვის საქართველოში საუკეთესო გუნდი ჰყავს.

**- "ტორპედოს" შემადგენლობა თითქმის არ შეგიცვლიათ, მაგრამ გუნდი ათამაშდა.**

- არ ვაპირებ, ძველ მწვრთნელებს ნამოღვაწარი დავუკარგო. კიკნაძე-ზამთარაძის დამსახურებაცაა, დღეს გუნდი ასე რომ თამაშობს. მაგრამ, რომ ვთქვი, ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულებები აქვს-მეთქი, ცხადია, მეც ასე ვარ. ჩამაბარეს გუნდი, რომელსაც რადიკალური ცვლილებები არც სჭირდებოდა. თუმცა ზამთრამდე დავაკვირდები და ცვლილებები აუცილებლად იქნება, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთა დაწინაურებაც შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

# რევაზ გოცირიძე: ამინდის პროგნოზს უფრო გეტყვით, ვიდრე იმერული დერბისას

**30 წლის რევაზ გოცირიძე "ტორპედოს" შემადგენლობაში ბოლო ტურებში გამოჩნდა და მწვრთნელის ნდობაც გაამართლა: ორ ტურში სამი გოლით გუნდის წინსვლას შეუწყო ხელი და ქუთაისელები მეორე ადგილზე დაწინაურდნენ.**

**- ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანე. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება: აშკარაა, სტიმულიც მოგემატა და მონდომებაც.**

- ცხადია, მიხარია, გეგუჩაძე რომ მენდობა და მათამაშებს. თანაც, "ტორპედომ" შემტევი ფეხბურთის თამაში დაიწყო, რაც თავდამსხმელს ყოველთვის ხელს აძლევს და ეს ყველაფერი ჩემს განწყობა-მდგომარეობაზეც აისახა. გუნდის გარდაქმნამ, ცხადია, ჩემზეც იმოქმედა — ეს სამი გოლი ხომ თანაგუნდელების დამსახურებაა. ისინი ხელს რომ არ მიწყობდნენ, მარტო ვერაფერს მოვახერხებდი.

**- კვირას "ზესტაფონთან" პრინციპული მატჩი გელით.**

- პრინციპულიც და უძნელესიც, რადგან ვხვდებით საქართველოს საუკეთესო გუნდს, რომელიც ჩვენში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ამის მიუხედავად, არა მგონია, უშანსოდ ვიყოთ. ჩვენსას შევეცდებით და მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა მოედანზე გამოჩნდება, რამდენად შეესაბამება ჩვენი სურვილი ამბიციას.

ამ მატჩს მნიშვნელობას ისიც მატებს, რომ "ზესტაფონი" ლიდერია, ჩვენ კი მეორე ადგილზე ვართ და გამარჯვებას ორმაგი ფასი დაედება.

**- "ზესტაფონისთვის" ადრეც გაგიტანია.**

- თუ არ ვცდები, ორჯერ გავუტანე, პირველად მაშინ, "ამერში" რომ გამოვდიოდი, მეორედ კი რუსთავის "ოლიმპში" თამაშისას. წლეულს იოლი მეტოქე არც მეგულება, ჩემპიონის კარში გატანა კი უფრო ძნელი და გასახარი იქნება.

**- "ზესტაფონის" პლუს-მინუსებზე რას გვეტყოდი?**

- ამაზე თამაშამდე მწვრთნელი უკეთ გვეტყვის. ზოგადად კი, "ზესტაფონს" მინუსებზე ბევრად მეტი პლუსი აქვს. მთავარია, მათი შეცდომებით ვისარგებლოთ. თუმცა ძლიერი დაცვა ჰყავს, რომელიც იშვიათად ცდება.

**- ზესტაფონელი მცველებიდან ვის გამოარჩევდი?**

- მე უფრო იმას ვფიქრობ, ვინ შეიძლება, არ გამოვარჩიო და ასეთს ვერ ვასახელებ. ედიკ საჯაია და გიორგი ონიანი გამოცდილი და ძლიერი მცველები არიან, ახალგაზრდაა, მაგრამ ძალიან პერსპექტიული მამუკა კობახიძე. ასეთ დაცვას ნებისმიერი ქართული გუნდი ინატრებდა.

**- ფლანგის მცველები არ გიხსენებია.**

- მხოლოდ ცენტრალური მცველები იმიტომ ვახსენე, რომ ცენტრალური თავდამსხმელი ვარ და უმთავრესად მათთან მიწევს თამაში, თორემ ფლანგებზეც არანაკლებ ძლიერი ბიჭები ჰყავთ.

**- ბოლოდროინდელი წარმატებები "ტორპედოს" უფრო თავდაჯერებულს გახდიდა.**

- ქულები ქულებად და, ფსიქოლოგიურადაც გავწონასწორდით, გამოჩნდა, რომ ლიდერებში ყოფნა შეგვძლებია. კიდევ უფრო სასიამოვნოა, შემტევი ფეხბურთით რომ ვიგებთ.

**- შენი აზრით, გუნდს აქვს საჩემპიონო პოტენციალი?**

- უეჭველია, რომ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ არის თუ არა ეს საჩემპიონო შემადგენლობა, ამაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია.

**- ისევ "ზესტაფონთან" შეხვედრას დავუბრუნდეთ: როგორია შენი პროგნოზი?**

- ამინდის პროგნოზი უფრო გამიადვილდება, ვიდრე ამ შეხვედრისა. თანაც, პროგნოზების კეთება არ მიყვარს. იმერული დერბი ყოველთვის დაძაბული და საინტერესო იყო და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. ხომ იცით, ყველა რეგიონში არის ასეთი ინტრიგა, რომელი ქალაქის გუნდია უფრო ძლიერი. ეს ფაქტორი "ზესტაფონი"-"ტორპედოს" დაპირისპირებისასაც მძაფრია. იმერულ დერბიში ადრეც მითამაშია და უინტერესო შეხვედრა არ მახსენდება, რადგან მაყურებლის განწყობა ფეხბურთელებსაც გადმოგვედება ხოლმე.



**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ოქრიაშვილმა ვარჯიში განაახლა

უკრაინული „ილიჩივეცის" ქართველმა **თორნიკე ოქრიაშვილმა** ვარჯიში განაახლა. 19 წლის ნახევარმცველმა მუხლი სამი კვირის წინ, ოდესის „ჩერნომორეცთან" თამაშისას დაიზიანა.

მარიუპოლელთა გუნდში დონეცკის „შახტარიდან" განათხოვრებულმა ფეხბურთელმა სარეაბილიტაციო კურსი „შახტარში" გაიარა: „პროცედურები დონეცკში ჩამიტარეს, იქ მომარჩინეს და სამი დღეა, რაც ვარჯიში დავიწყე, იმედია, მომდევნო ტურში უკვე მწობრში ვიქნები და თამაშის საშუალებაც მომეცემა," - ამბობს ოქრიაშვილი.

მომდევნო ტურში „ილიჩივეცი" დონეცკის „მეტალურგს" ეთამაშება და, სავარაუდოდ, თორნიკე განაცხადში იქნება.

**მაგდა კლდიაშვილი**

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

## საქართველოს ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. XII ტურის წინათქმა

| ად | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 25 | 13 | 26 | 6 | 4 | 1 | 1 | 12 | 7 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 13 | 6 | 13 |
| 2 | ტორპედო | 11 | 7 | 1 | 3 | 14 | 7 | 22 | 6 | 4 | 1 | 1 | 11 | 4 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 3 | 3 | 9 |
| 3 | დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23 | 12 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 11 | 6 | 10 | 6 | 4 | 0 | 2 | 12 | 6 | 12 |
| 4 | მეტალურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 16 | 10 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 9 | 2 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 7 | 8 | 7 |
| 5 | ბაია | 11 | 6 | 1 | 4 | 15 | 8 | 19 | 6 | 4 | 0 | 2 | 11 | 4 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 4 | 4 | 7 |
| 6 | მერანი | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 12 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 9 | 2 | 13 | 6 | 1 | 1 | 4 | 4 | 10 | 4 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 10 | 14 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 7 | 7 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 | 4 |
| 8 | გაგრა | 11 | 4 | 1 | 6 | 12 | 16 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 8 | 4 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 4 | 12 | 3 |
| 9 | დილა | 11 | 3 | 1 | 7 | 15 | 18 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 3 | 7 | 3 | 6 | 2 | 1 | 3 | 12 | 11 | 7 |
| 10 | სპარტაკი | 11 | 2 | 4 | 5 | 8 | 16 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 6 | 11 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 2 | 5 | 5 |
| 11 | კოლხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 17 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 2 | 6 | 3 | 7 | 1 | 3 | 3 | 6 | 11 | 6 |
| 12 | სიონი | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 22 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 5 | 11 | 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 1 | 11 | 1 |

**დილა-ვიტ ჯორჯია**
bwin: 2.30 2.95 3.00
30.10. გორი. [illegible] 15:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოლხეთი-მეტალურგი**
bwin: 5.25 3.40 1.60
30.10. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 15:00

**მერანი-გაგრა**
bwin: 1.87 3.20 4.25
30.10. მარტვილი. ცენტრალური 15:00

**სიონი-ბაია**
bwin: 7.50 3.80 1.40
30.10. ბოლნისი. თ. სტეფანია 15:00

**ზესტაფონი-ტორპედო**
bwin: 1.80 3.30 4.00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე
30.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00

**დინამო-სპარტაკი**
bwin: 1.20 6.00 10.00
30.10. თბილისი. მ. მესხი 19:00

# დიდი მატჩის მოლოდინი

გუშინ წინა ტურის პერიპეტიებსა თუ გამორჩეულ ფაქტებზე ვსაუბრობდით, დღეს კი უკვე მომდევნო ტურის მატჩების წინათქმა უნდა შემოგთავაზოთ, - „ქართული ბოქსინგდეი" გრძელდება! თანაც, მხოლოდ ჩემპიონატის მატჩები რომ იყოს, ამას კიდევ „აიტანდნენ" ჩვენი ფეხბურთელები: 9 დღის განმავლობაში სამ-სამი კალენდარული შეხვედრის ჩატარებაც არ არის პატარა ამბავი და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ძალიან მალე (კონკრეტულად — 2 ნოემბერს) თასის საპასუხო მერვედფინალებიც გველოდება! ეგ კი არა, როგორ გგონიათ, ასეთი გადატვირთული კალენდარი მხოლოდ ფეხბურთელებისათვის არის დამღლელი? ჰო, მწვრთნელებს ვგულისხმობთ, ფეხბურთელებისაგან განსხვავებით, ფიზიკურის გარდა, ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ რომ იმყოფებიან. ოღონდ, ყველა მწვრთნელი ერთი და იგივე სიტუაციაში ნამდვილად არ იმყოფება: ზოგს თუ კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან ხანგრძლივი და „სასურველი ნდობის მანდატი" აქვს, ზოგი, შესაძლოა, პირველივე წარუმატებლობაზე... თანამდებობას დაემშვიდობოს. თუმცა, რატომ გვიკვირს? როცა ამა თუ იმ კლუბის მეპატრონე თავის გუნდში სოლიდურ ინვესტიციებს განახორციელებს, მოსამზადებლად თუ სათამაშოდ ყველა პირობასაც შეუქმნის, ადეკვატური შედეგიც რატომ არ უნდა მოითხოვოს? საერთოდ კი, ადრეც არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც გავიმეორებთ, რომ სამწვრთნელო ცვლილებებით მიმდინარე სეზონი მართლაც განსაკუთრებულია: ჯერ მხოლოდ 11 ტურია ჩატარებული და ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ და მხოლოდ ხუთი სპეციალისტი (ალექს გარსია, ელგუჯა ქომეთიანი, მალხაზ ჟვანია, ზურაბ ბერიძე, სოსო ფილია) ინარჩუნებს თავის პოსტს...

■ ■ ■

მეორე წრის საწყის ტურში ერთი ისეთი მატჩია, დანარჩენ ხუთივე დაპირისპირებას რომ „გადაწონის"! აღარც კი ვიცით, საიდან დავიწყოთ, იმდენი და იმხელა ინტრიგა ახლავს ამ შეხვედრას; „იმერული დერბი", „ორი ფავორიტის დაპირისპირება", „პრინციპულ მეტოქეთა პაექრობა", — „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" მატჩის წინ სხვა (თანაც არაერთი) სათაურის „მოფიქრებაც შეიძლებოდა! ალბათ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, ხვალ ზესტაფონის სტადიონზე ანშლაგი რომ იქნება; აი, ისე როგორც ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, როცა ქუთაისში ჩატარებულ მატჩს 9000-მდე გულშემატკივარი ესწრებოდა!

...„ზესტაფონმა" უკანასკნელი ხუთი მატჩი მიჯრით მოიგო და სრულიად დამსახურებულადაც უკავია სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი; ამას გარდა, „ზესტაფონს" ბევრად უფრო შთამბეჭდავი მაჩვენებელი აქვს... მეორე ცხრილშიც (ანუ, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ რვა საუკეთესო გუნდი რომ შეადგენს): მოქმედმა ჩემპიონმა პირველ წრეში „ტორპედოსაც" მოუგო და „მეტალურგსაც", ხოლო „დინამოსთან" სტუმრად ფრედ ითამაშა. უშუალო კონკურენტებთან ურთიერთშეხვედრებს კი, მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს და „ზესტაფონსაც", ჯერჯერობით აშკარა უპირატესობა აქვს მეტოქეებთან. „ზესტაფონის" მსგავსად, ჩინებული სერიით შეუძლია თავი მოიწონოს „ტორპედომაც": ზედიზედ ოთხმა გამარჯვებამ ქუთათურთა საყვარელი გუნდის სატურნირო მდგომარეობაც გააუმჯობესა და, რაც მთავარია, ადგილობრივ ქომაგს ოპტიმისტური განწყობა დაუბრუნა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე ექვსი წელიწადი გავიდა იმის მერე, ქუთაისის „ტორპედომ" სეზონი პირველ სამეულში რომ დაასრულა; აღარაფერს ვამბობთ ზედიზედ სამ საჩემპიონო ტიტულზეც (2000-2002 წლები). სამწუხაროდ, მერე და მერე ქუთაისში სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა და იმასაც მოვესწარით, რომ „ტორპედო" სამი წლის განმავლობაში უმაღლესი ლიგის „იქით" ასპარეზობდა და აი, შარშან, ასეთი დიდი ტრადიციის მქონე გუნდი კვლავაც დაუბრუნდა უძლიერესთა რიგებს!

### საუკეთესონი: შეტევასა და დაცვაში

... პირველი წრის მიხედვით საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი გუნდი „ზესტაფონია": 11 მატჩი და 25 გოლი, ვფიქრობთ, მართლაც ჩინებული შედეგია; თანაც, მეტოქეებს ყოველი მატჩის წინ თავსატეხი აქვთ: „ზესტაფონთან" დაპირისპირებისას აღარც იციან, საიდან უნდა ელოდნენ ხიფათს — **ჯაბა დვალისგან, ნიკოლოზ გელაშვილისგან** თუ **რატი წინამძღვრიშვილისგან?** თანაც, ეს მხოლოდ ფორვარდები ჩამოვთვალეთ და, ალბათ, შეხსენებაც არ სჭირდება არავის, თუ რამხელა საფრთხეს უქმნიან მეტოქეებს „ზესტაფონის" შუახაზელებიც: **შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე აფციაური, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია.** ჰოდა, ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი (ამასთან, ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარი) გუნდი ხვალ ისეთ მეტოქეს დაუპირისპირდება, რომელიც... საუკეთესო უკანახაზით გამოირჩევა! 11 მატჩი და საკუთარ კარში გაშვებული 7 ბურთი მართლაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „ტორპედოს" მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** და გუნდის ერთი-მეორეზე გამოცდილი მცველები უაღრესად საიმედოდ თამაშობენ. თუმცა, ამ ბოლო დროს უკვე წინახაზელებიც „გამოცოცხლდნენ" და დასტურად წინა ტურის შეხვედრაც გამოდგება, როცა „ტორპედომ" დიდი ანგარიშით (4:1) მოუგო „კოლხეთს". ქუთათურ ქომაგებს ის ფაქტიც გაახარებდათ, რომ ბოლო ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა გუნდის გამოცდილმა ცენტრფორვარდმა **რევაზ გოცირიძემ.**

### მწვრთნელ(ებ)ის ფაქტორი

ახლა კი ყველაზე მთავარ ინტრიგაზეც, რასაც მწვრთნელ(ებ)ის ფაქტორი ჰქვია და ამ შემთხვევაშიც არაერთი პარალელის გავლება შეიძლება. მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რომ „ზესტაფონის" ბოლო წლების წარმატებების სულისჩამდგმელი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** პირველად უნდა დაუპირისპირდეს თავის ყოფილ გუნდს! ზესტაფონში საკმაოდ მომთხოვნი გულშემატკივრები არიან, მაგრამ, იმედია, მადლიერების გრძნობაც არ დაავიწყდებათ: ამ ქალაქის გუნდის აღზევება ხომ მნიშვნელოვანწილად, სწორედ გია გეგუჩაძის წარმატებული მუშაობით იყო განპირობებული. თუმცა, ეს ხომ ფეხბურთია: დღესდღეობით გეგუჩაძე მეორე იმერულ კლუბს წვრთნის და სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეძლო „ტორპედომ" ზედიზედ ოთხი გამარჯვების მოპოვება. უფრო უკეთესი სერია აქვს „ზესტაფონს" და ამ შემთხვევაშიც მწვრთნელის ფაქტორი არ უნდა დაგვავიწყდეს: **გიორგი ჭიაბრიშვილი** ახალგაზრდა სპეციალისტია, წლების განმავლობაში სწორედ გეგუჩაძის ასისტენტად მუშაობდა „ზესტაფონში" და აი, დამოუკიდებელ ასპარეზზე მართლაც მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა! სხვათა შორის, ხვალინდელ მეტოქეთა პირველი წრის მატჩში, „ზესტაფონს" სწორედ გიორგი ჭიაბრიშვილი მოძღვრავდა (ოფიციალური ვერსიით, გეგუჩაძე შეუძლოდ გახლდათ) და სადებიუტო შეხვედრაში თავის გუნდს უპრინციპულეს მეტოქესთან გაამარჯვებინა!

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ ტურის ამ ცენტრალური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს 18 საათზეა და „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შემოგვთავაზებს.

**გია ტუხაშვილი**




2011 წლის 7 აგვისტო. ტორპედო-ზესტაფონი 1:2

## I ლიგა, „ა" ზონა

### გამოტოვებული მატჩები

**ჭიათურა-მერცხალი 2:1**

24. 10. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 500 მაყურებელი

0:1 ლ. კალანდაძე (65), 1:1 შ. ფირცხალავა (73), 2:1 გ. ქირია (85, პენალტით)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე (52. ო. კურტანიძე), ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, შ. ფირცხალავა, დ. ქირია, ლ. ბარათაშვილი (66. გ. ვაშაძე), ზ. ხაჭიპერაძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: გ. მეცხოვრიშვილი, ო. გაგნიძე, გ. სამყურაშვილი, ლ. მაჩაიძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

მერცხალი: გ. გოგუა, ზ. ვარდუაშვილი, თ. ვარდუაშვილი (56. ნ. მაჭავარიანი), ი. ბაჯელიძე, მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში (46. ზ. ხურციძე), ს. ვ. ჩიგოგიძე, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ი. ტაკიძე

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ლ. ათუაშვილი, ლ. კოტრიკაძე

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: დ. სევასტოპულო, დ. ქირია; ზ. ტულუში, ს. ვ. ჩიგოგიძე, მ. ქობულაძე, ნ. მაჭავარიანი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**მესხეთი-ლოკომოტივი 2:0**

24. 10. ახალციხე. „მ. იაძე". 300 მაყურებელი

1:0 ი. ცნობილაძე (35), 2:0 დ. ხანიშვილი (55)

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე, დ. ლეკიშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, მ. მურმანიშვილი, ზ. ბარძიმაძე, დ. ინასარიძე (84. ო. დარჩია), დ. ტლაშაძე, გ. წინამძღვრიშვილი (69. მ. ლეკიშვილი), ი. ცნობილაძე

სათადარიგოები: მ. მელაძე, ი. მურადაშვილი, გ. მურადაშვილი, გ. ქურდაძე, ზ. სუდაძე

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, დ. საჯაია (46. გ. გურეშიძე), ნ. ჭანტურია, დ. ბაქრაძე, დ. მიქავა, გ. გოროზია, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, გ. მაისურაძე (69. ა. გუგუშვილი), გ. შარანგია, გ. კაპანაძე (57. დ. დარციმელია)

სათადარიგოები: გ. ბაქრაძე, გ. რეზესიძე, ნ. შერაზადიშვილი, გ. ასლამაზიშვილი

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

გაფრთხილება: ი. ცნობილაძე, დ. ტლაშაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

### XI ტური. 29 ოქტომბერი

ჭიათურა-დინამო (ბათუმი)
კოლხეთი (ხობი)-მეშახტე (ტყიბული)
ლოკომოტივი (თბ.)-მესხეთი (ახალციხე)
სამტრედია-მერცხალი (ოზურგეთი)

### 30 ოქტომბერი

სტუ (თბილისი)-ჩხერიმელა (ხარაგაული)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 10 | 8 | 1 | 1 | 15-5 | 25 |
| 2. ჭიათურა | 10 | 6 | 2 | 2 | 16-8 | 20 |
| 3. მერცხალი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-11 | 20 |
| 4. ჩხერიმელა | 10 | 5 | 2 | 3 | 13-12 | 17 |
| 5. სტუ | 9 | 4 | 2 | 3 | 18-17 | 14 |
| 6. მესხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 10-10 | 13 |
| 7. მეშახტე | 10 | 2 | 2 | 6 | 11-15 | 8 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 10 | 2 | 2 | 6 | 8-13 | 8 |
| 9. ლოკომოტივი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-14 | 6 |
| 10. სამტრედია | 9 | 0 | 3 | 6 | 5-16 | 3 |

### ბ ზონა. XI ტური

გურია (ლანჩხუთი)-იმერეთი (ხონი) 3:0
ბათუმი-ნ. დინამოელი (თბილისი) 0:3
სამგურალი (წყალტ.)-სულორი (ვანი) 1:0
ჩიხურა (საჩხერე)-ზოოვეტი (თბ.) 3:0
აეტი (სოხუმი)-სქური (წალენჯიხა) 0:4

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 11 | 10 | 1 | 0 | 28-2 | 31 |
| 2. გურია | 11 | 8 | 2 | 1 | 30-8 | 26 |
| 3. ნ/დინამოელი | 11 | 6 | 1 | 4 | 22-11 | 19 |
| 4. სქური | 11 | 5 | 2 | 4 | 16-15 | 17 |
| 5. იმერეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 15-16 | 16 |
| 6. ზოოვეტი | 11 | 5 | 1 | 5 | 13-20 | 16 |
| 7. სამგურალი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-10 | 16 |
| 8. ადელი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-22 | 7 |
| 9. სულორი | 11 | 1 | 2 | 8 | 3-27 | 5 |
| 10. აეტი | 11 | 1 | 1 | 9 | 5-25 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრემიერლიგა. X ტურის წინ.

# ლონდონური გამოცდა

| დღეს | |
|---|---|
| ევერტონი-იუნაიტედი | 15:00 |
| ჩელსი-არსენალი | 15:45 |
| სიტი-ვულვზი | 18:00 |
| ნორვიჩი-ბლექბერნი | 18:00 |
| სანდერლენდი-ასტონ ვილა | 18:00 |
| სუონსი-ბოლტონი | 18:00 |
| უიგანი-ფულჰემი | 18:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ტოტენჰემი-ქუინზ პარკი | 20:00 |
| **ზეგ** | |
| სტოკ სიტი-ნიუკასლი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 9 | 8 | 1 | 0 | 33-7 | 25 |
| 2. იუნაიტედი | 9 | 6 | 2 | 1 | 26-12 | 20 |
| 3. ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 20-10 | 19 |
| 4. ნიუკასლი | 9 | 5 | 4 | 0 | 12-6 | 19 |
| 5. ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-13 | 16 |
| 6. ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 7. არსენალი | 9 | 4 | 1 | 4 | 15-18 | 13 |
| 8. ნორვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| 9. სტოკ სიტი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-11 | 12 |
| 10. ქუინზ პარკი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-14 | 12 |
| 11. ასტონ ვილა | 9 | 2 | 5 | 2 | 11-11 | 11 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| 13. ევერტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 14. სანდერლენდი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-10 | 9 |
| 15. სუონსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 16. ვულვზი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 17. ფულჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 11-12 | 7 |
| 18. ბოლტონი | 9 | 2 | 0 | 7 | 12-24 | 6 |
| 19. უიგანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-15 | 5 |
| 20. ბლექბერნი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-20 | 5 |

პრემიერლიგა "არსენალმა" ძალიან სუსტად დაიწყო. გეხსომებათ, რომ პირველი სამი ტურის შემდეგ გუნდს ყულაბაში კინკილა ქულა ჰქონდა. ეს გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ გულშემატკივრებს **არსენ ვენგერის** წასვლაზე ხმა ამოეღოთ. თუმცა "მეთოფეებმა" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეძენილი ფეხბურთელების წყალობით ცოტა გამოიხედეს თვალში. ამჟამად კი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გუნდი კარგ ფორმაშია. ამაზე სტატისტიკა თავად მეტყველებს – ბოლო 8 მატჩიდან "არსენალმა" 7-ში იმარჯვა. გუნდი ლიგის თასის შემდგომ ეტაპზე გავიდა, ლიდერობს ჩემპიონთა ლიგაში თავის ჯგუფს და პრემიერლიგაშიც მე-7 ადგილზე ალზევდა. თუმცა "მეთოფეებს" წინ სერიოზული გამოცდა ელით – "სტემფორდ ბრიჯზე" ასპარეზობა ხომ ყველას უჭირს. უმთავრესი ლონდონური დერბი კი ყოველთვის დაძაბულ გარემოში მიმდინარეობს ხოლმე. ვენგერმა ოთხშაბათს ჟურნალისტებთან სწორედ ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ილაპარაკა: *"ჩელსი" სერიოზული გამომცდელია. ბოლო ერთ თვეში საგრძნობი პროგრესი განვიცადეთ, მაგრამ ჩვენი რეალური პოტენციალი სწორედ ასეთ მატჩებში გამოიცდება. გვინდა ყველას დავუმტკიცოთ, რომ ჩვენს ბანაკში ყველაფერი რიგზეა, რადგან გულშემატკივართა შორისაც კი ცოტაა ისეთი, ვისაც ამისი სჯერა. გამარჯვება მოგვცემს შესაძლებლობას ვილაპარაკოთ, რომ შეგვიძლია პირველი ადგილისთვის ბრძოლა. სწორედ ამას ვუმიზნებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამოცანა წარმატებით გადავჭრათ. "ჩელსის" მრავალი ღირსება აქვს, რაც მათ მიმდინარე სეზონში არა ერთხელ დაამტკიცეს, თანაც ის მასპინძელია. "არისტოკრატები" ახლა უფრო მეტ ფანტაზიას ავლენენ შეტევაში, ვიდრე ცოტა ხნის წინ. ხუან მატამ "ჩელსის" რაღაც განსაკუთრებული შესძინა. ჩვენ თავის დაცვა მეტისმეტი ყურადღებით მოგვიწევს, თუმცა შეტევაში ისევე აქტიურად უნდა ვითამაშოთ, როგორც სხვა მეტოქეებთან".*

ხუთშაბათს ვენგერმა კიდევ ერთხელ ინება X ტურის უმთავრეს დაპირისპირებაზე ლაპარაკი. ამჯერად ფრანგმა უფრო კონკრეტულად ისაუბრა თავის გუნდზე: *"ვერმაელენს განაცხადში სურს თავისი გვარის ხილვა. ეს ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, რადგან ამისთვის ტომასმა შესაბამისი ტესტები უნდა ჩააბაროს. პრაქტიკულად ის უკვე ჯანმრთელია, მაგრამ პრობლემებმა მას თასის შეხვედრის წინაც შეახსენა თავი, როცა დატვირთვის შემდეგ ფეხზე ნერვი უთამაშებდა. ეს კი იმის ბრალია, რომ უკვე დიდი ხანი აღარ უთამაშია. თუმცა ვიმეორებ, ის უკვე კარგად გრძნობს თავს.*

*ყოველთვის კარგია, როცა დგახარ არჩევანის პრობლემის წინაშე. დაცვა ახლა ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე სეზონის დასაწყისში. ბოლო 5-6 შეხვედრაში ეს ხაზი გუნდში მართლა საუკეთესო იყო. ასე რომ, ჩემთვის სულ ერთია, ვინ ითამაშებს და ვინ არა.".*


არსენ ვენგერი სტემფორდ ბრიჯზე ჩასაბარებელი გამოცდისთვის ემზადება

რთულ მდგომარეობაში ჩავარდა "ლივერპულის" თავკაცი **კენი დალგლიში.** "სტოკ სიტის" წინააღმდეგ ლიგის თასის მე-4 რაუნდის მთავარმა გმირმა (მყარი დაცვით სახელგანთქმულ გუნდს მან დუბლი შეუსრულა) ერთდროულად ხელისა და ფეხის ტრავმის გამო შესაძლოა "ვესტ ბრომვიჩთან" ვერ ითამაშოს. როგორც თავად ურუგვაელი აცხადებს, ტკივილები იმდენად აწუხებდა, რომ ექიმებს რამდენჯერმე მიმართა დასახმარებლად. მერსისაიდელთა შორის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკლება შოტლანდიელ სპეციალისტს სერიოზულ პრობლემებს უქადის. შეხვედრას დამატებით ინტრიგას ის აძლევს, რომ "წითლები" ყოფილი თავკაცის **როი ჰოჯსონის** გუნდს უნდა ესტუმრონ. შარშან ამ გუნდების დაპირისპირებაში მასპინძლებმა იძალეს, როცა **კრის ბრანტის** ორი პენალტის წყალობით სამი ქულა დაისაკუთრეს. ამ გუნდებს სულ ერთმანეთში 116 მატჩი აქვს გამართული, აქედან 54 მატჩი "ლივერპულმა" მოიგო, 33 ფრედ დასრულდა და 29-ჯერ "ვესტ ბრომვიჩი" აღმოჩნდა გამარჯვებული, მაგრამ... გასვლით შეხვედრებში ინგლისის 18-გზის ჩემპიონებს აშკარად უჭირთ. თავად განსაჯეთ: 58 დაპირისპირებიდან მათ სულ 9 მატჩი აქვთ მოგებული.

სუარესის შესაძლო არყოფნით გამოწვეულ ბედნიერებას ვერ მალავს როი ჰოჯსონი. აი, რა თქვა მან: *"მიმდინარე სეზონის ყოველ შეხვედრაში, სადაც ლუის სუარესი ვნახე, ძალიან ძლიერი იყო. თუნდაც "ნორვიჩთან" მატჩი ავიღოთ. უბრალოდ, საოცრება იყო, რომ მან ამ მატჩში ვერ გაიტანა. ურუგვაელი ძალიან სახიფათო თავდამსხმელია".*

ამ შეხვედრას თავად დალგლიშიც იხსენებს და ამბობს: *"ძალიან, ძალიან ბევრ მომენტს ვატანთ ქარს. ეს არ ეხება მხოლოდ "ნორვიჩთან" დაპირისპირებას. ასე იყო ზუსტად ერთი კვირის წინაც "მანჩესტერ იუნაიტედთან". არადა, ეს თამაში უნდა მოგვეგო".*

## სავარაუდო შემადგენლობები

### ვესტ ბრომვიჩი–ლივერპული

ვესტ ბრომვიჩი: ფოსტერი – რიდი, ტამაში, ოლსონი, ჯონსი – მულუმბუ, შარნერი, ბრანტი, ტომასი – ოდემვინგიე, ტჩოი

ლივერპული: რეინა – ხოსე ენრიკე, აგერი, კარაგერი, ჯონსონი – ლუკასი, ადამი, ჯერარდი, დაუნინგი – კუიტი, კეროლი (ან სუარესი)

### ჩელსი–არსენალი

ჩელსი: ჩეხი – ბოსინგვა, ლუიზი, ტერი, კოული – მიკელი, მეირელეში, ლემპარდი - სტარიჯი, ტორესი, მატა

არსენალი: შჩესნი – სანტოსი, ვერმაელენი, მერტეზაკერი, კოშელნი – სონგი, არტეტა, რემსი – ჟერვინიო, უოლკოტი, ვან პერსი

### ევერტონი–მანჩესტერ იუნაიტედი

ევერტონი: ჰოვარდი - ჰიბერტი, ჟაგიელკა, დისტენი, ბეინსი – ფელაინი, როდუელი, კოულმენი, ბილიალეტდინოვი – ოსმანი, საა

**მანჩესტერ იუნაიტედი:** დე ხეა – ევრა, ვიდიჩი, ფერდინანდი, ჯოუნსი – ფლეტჩერი, კლევერლი, იანგი, ნანი – რუნი, ერნანდესი

### ტოტენჰემი–ქუინზ პარკი

ტოტენჰემი: ფრიდელი – ვოლკერი, ბასონგი, კაბული, ასუ-ეკოტო – პარკერი, მოდრიჩი, ლენონი, ბეილი, ვან დერ ვაარტი – ადებაიორი

ქუინზ პარკი: კენი – ჰილი, ჰოლი, ფერდინანდი, იანგი – დერი, ფორლინი, ბარტონი – ტაარაბტი, რაიტ-ფილიპსი – ჰელგუსონი

### უიგანი–ფულჰემი

უიგანი: ალ ჰაბსი – ბოისი, კოლდუელი, ალკარასი, ფიგეროა – მაკარტი, უოტსონი, დიამე, მოუზესი, კრუსატი – როდალიეგა

ფულჰემი: შვარცერი – რიისე, ჰანგელანდი, სენდეროსი, ბეირდი – მერფი, სიდუელი, დემპსი, დაფი – ჯონსონი, ზამორა

### სიტი–ვულვზი

სიტი: ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – მილნერი, ბერი, ი. ტურე – დ. სილვა, ბალოტელი, აგუერო

ვულვზი: ჰენესი – ვორდი, ბერა, ჯონსონი, სტირმანი – ოჰარა, ჰენრი, ჯარვისი, გუდიორა – დოილი, ებანს ბლეიკი

### სანდერლენდი–ასტონ ვილა

სანდერლენდი: მინოლეტი – ოში, ბრაუნი, ტერნერი, რიჩარდსონი – ვონი, კოლბეკი, ლარსონი, სესინიონი – ვიკჰემი, ბენდტნერი

ასტონ ვილა: გივენი – უორნოკი, კოლინსი, დანი, ჰატონი – პეტროვი, დელფი, ჯენასი, აირლანდი – ბენტი, აგბონლაჰორი

### ნორვიჩი–ბლექბერნი

ნორვიჩი: რუდი – ნოტონი რ. მარტინი, ბარნეტი, ტირნი – ფოქსი, ჯონსონი, ბენეტი, პიკლინგტონი – ჰოლტი, ჰულაჰანი

ბლექბერნი: რობინსონი - ჟივე, დანი, სამბა, ლიოვე – ფორმიცა, ნზონზი, პედერსენი, ვუკჩევიჩი – რობერტსი, ჰოილეტი

### სუონსი–ბოლტონი

სუონსი: ვორმი – რანხელი, უილიამსი, მონკი, ტეილორი – ალენი, გოუერი, ბრიტონი, დაიერი, სინკლერი – გრემი

ბოლტონი: იაასკელაინენი – რობინსონი, კეჰილი, უიტერი, სტეინსონი – რეო კოკერი, პეტროვი, იგლსი, ბრეტლი – ნგოგი, დევისი

■ ■ ■

*ახლა კი გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება გამოტოვონ პრემიერლიგის მე-10 ტური. სია ბუნებრივია სავარაუდოა და ვერავის მივცემთ გარანტიას, რომ მასში მოხვედრილი რომელიმე ფეხბურთელი უქმეებზე მოედანზე არ გამოჩნდება.*

## ტრავმირებულები

### ევერტონი–იუნაიტედი

ევერტონი: დრენტე, ანიჩებე, ჰეიტინგა

იუნაიტედი: რაფაელი, გიბსონი, მაკედა, გიგზი

### სიტი–ვულვზი

სიტი: ჰარგრივსი, ტევესი

ვულვზი: ზუბარი, ფოლი, ფლეტჩერი

### ჩელსი–არსენალი

ჩელსი: ილარიო, დროგბა, ესიენი, ტენბული, რამირესი

არსენალი: სანია, ჯენკინსონი, უილშირი

### ნორვიჩი–ბლექბერნი

ნორვიჩი: აიალა, უაითბრედი, ვონი, ვორდი

ბლექბერნი: დანი, ნელსენი, სალგადო

### სანდერლენდი–ასტონ ვილა

სანდერლენდი: გორდონი, კემპბელი

ასტონ ვილა: ჰერდი, ლიჩაი, ჯენასი

### სუონსი–ბოლტონი

სუონსი: აგუსტინი, კოლკერი, დობი, ტეიტი

ბოლტონი: ჰოლდენი, დევისი, რიკეტსი, მირსი, ლი

### უიგანი–ფულჰემი

უიგანი: სანტო, მაკარტი

ფულჰემი: რუისი, დევისი, სენდეროსი

### ვესტ ბრომვიჩი–ლივერპული

ვესტ ბრომვიჩი: ლონგი

ლივერპული: არავინ

### ტოტენჰემი–ქუინზ პარკი

ტოტენჰემი: დოუსონი, ჰადლსტოუნი, გალასი, ჩორლუკა, კრანჩარი, კინგი

ქუინზ პარკი: კემპბელი, გებიდონი, ჰალსი, დაიერი

### სტოკ სიტი–ნიუკასლი

სტოკ სიტი: ფულერი, პენანტი, ჰიგინბოთემი

ნიუკასლი: უილიამსონი, ამეობი, ტიოტე, ტეილორი

**ლევან ბიბილაშვილი**



# უცხოური ფეხბურთი

## გუშინ

**ფრაიბურგი–ლევერკუზენი 0:1**

## დღეს

**ბაიერნი–ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბოატენგი (ბაიერნი)
**ტრავმა:** ბრენო, რობენი – რაკოვსკი, რ. შეფერი, ნილსონი, პინოლა, დიდავი, ფოილნერი, აიგლერი

**შალკე–ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფერმანი, ჰუგლანდი, ყენია, მარიკა – იაისლე

**შტუტგარტი–ბორუსია (დ) 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დელპიერი, პოგრებნიაკი, შიბერი – კოხი, ოვომოიელა

**ვოლფსბურგი–ჰერტა 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არავინ

**ბორუსია (მ)–ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერუნდოლო - პინტუ
**ტრავმა:** დე კამარგო – მილერი, ანდრეასენი, კარლიტოსი, ჰაუგერი, სობიეხი

**მაინცი–ვერდერი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არნაუტოვიჩი (ვერდერი)
**ტრავმა:** გოპკო, შიონჰაიმი, სალაი – ბიონიში, სილვესტრი, ბოროვსკი, ავდიჩი

## ხვალ

**კიოლნი–აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდრეზინიო, ჟერომელი, მაკენა, პეტიტი, ჩიჰი, ნოვაკოვიჩი – დე იონგი, ბა, მ. ნდიენგი, ნებელი, ს. ჰაინი

**ჰამბურგი–კაიზერსლაუტ. 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** შტეპანეკი, არსლანი, კასტელენი, ილიჩევიჩი, პეტრიჩი – შიმუნეკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 10 | 7 | 1 | 2 | 26:3 | 22 |
| 2. ბორუსია (დ) | 10 | 6 | 1 | 3 | 20:7 | 19 |
| 3. შალკე | 10 | 6 | 0 | 4 | 19:15 | 18 |
| 4. ჰანოვერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:13 | 18 |
| 5. შტუტგარტი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:8 | 17 |
| 6. ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| 7. ბორუსია (მ) | 10 | 5 | 2 | 3 | 11:7 | 17 |
| 8. ლევერკუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | 17 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:9 | 16 |
| 10. ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 12:13 | 13 |
| 11. ვოლფსბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | 13 |
| 12. კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 15:23 | 13 |
| 13. ნიურნბერგი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 12 |
| 14. კაიზერსლ. | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | 11 |
| 15. მაინცი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:19 | 9 |
| 16. აუგსბურგი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:17 | 8 |
| 17. ჰამბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:22 | 8 |
| 18. ფრაიბურგი | 11 | 2 | 1 | 8 | 14:26 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 – გომესი (ბაიერნი); 8 – ჰუნტელაარი (შალკე); 7 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), ლევანდოვსკი (ბორუსია დ), პისარო (ვერდერი); 6 – მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), პოდოლსკი (კიოლნი).

**გუშინ**, აუტსაიდერმა „ფრაიბურგმა“ ცხრილის შუაში ჩამოქვეითებულ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა, მე-11 ტურის დანარჩენი შეხვედრები კი დღეს და ხვალ გაიმართება. დღევანდელი მატჩებიდან ყურადღების ცენტრში ბავარიული დერბია: „ბაიერნი“ „ნიურნბერგს“ მასპინძლობს. საინტერესოა დანარჩენი შეხვედრებიც, რადგან ერთმანეთს პირველიდან მერვე ადგილამდე მყოფი გუნდები ხვდებიან: დორტმუნდის „ბორუსია“ შეეცდება, მოგებათა სერია შტუტგარტშიც გააგრძელოს, მესამეადგილოსანი „შალკე“ „ჰოფენჰაიმს“ მიიღებს, წინა ტურში „ბაიერნის“ მომგები „ჰანოვერი“ კი მიონხენგლადბახში ჩადის. საღამოს, „მაინცი“ „ვერდერის“ დამარცხებას შეეცდება. ხვალ, არასტაბილური „კიოლნი“ აუგსბურგში ჩადის, ხოლო „ჰამბურგი“ კი „კაიზერსლაუტერნს“ დაუხვდება.

■ ■ ■

„ნიურნბერგსა“ და „ბაიერნს“ შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ დერბი მაინც დერბია და ფრანკები უშანსოდ ნამდვილად არ არიან. მით უმეტეს, რომ **დიტერ ჰეკინგის** გუნდმა ამ სეზონშიც რამდენჯერმე დაამტკიცა, ბოლომდე ბრძოლა რომ შეუძლია. გერმანიის თასზე ორივე გუნდმა წარმატებით იასპარეზა, მაგრამ თუკი მიუნხენელებმა „ინგოლშტადტი“ გადახალისებული შემადგენლობითაც იოლად გაანადგურეს (6:0), ნიურნბერგელებს „აუეს“ დამარცხება ძალიან გაუჭირდათ (2:1). მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს“ **ჟერომ** **ბოატენგი** დისკვალიფიცირებული ჰყავს და წინა ტურში ყველასათვის მოულოდნელად „ჰანოვერთან“ წააგო (1:2), რეკორდმაისტერი დღესაც უპირობო ფავორიტია. ბოატენგის დისკვალიფიკაცია მიუნხენელთათვის შედარებით უმტკივნეულო იქნება, რადგან **დანიელ ვან ბუიტენი** გამოჯანმრთელდა. ფრანკებს კი საკადრო პრობლემები არ ელევათ, რის გამოც ზედიზედ მეექვსე თამაშის ვერმოგების და შესაბამისად, გასავარდნ ზონასთან მიახლოვების საფრთხე ემუქრებათ.

● გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტურის წინ



შტუტგარტის მცველ სერდარ ტასკის დორტმუნდის გოლეადორ რობერტ ლევანდოვსკისთან დღესაც ხშირად მოუწევს შებმა

# ბაიერნის მდევართა გამოცდები

## ტური, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაგვანახოს, შეუძლიათ თუ არა დორტმუნდს და შალკეს ბაიერნის დევნა

### ჩემპიონს შტუტგარტი შეაჩერებს?

არასახარბიელო სტარტის შემდეგ, „შტუტგარტი“ ნელ-ნელა დასტაბილურდა და 10 ტურის შემდეგ მე-5 ადგილზეა. რომ არა უილბლო მარცხი „ჰამბურგთან“ (1:2), შვაბებს სულაც 20 ქულა ექნებოდათ და მეორე ადგილზე იქნებოდნენ. ახლა კი, იქ „დორტმუნდია“ 19 ქულით – სეზონი მოქმედმა ჩემპიონმაც ცუდად დაიწყო, მაგრამ ბოლო ოთხი თამაში მოიგო და დღეს უკვე „ბაიერნის“ მთავარი კონკურენტია. საინტერესოა, შეაჩერებს **ბრუნო ლაბადიას** გუნდი „დორტმუნდს“? გერმანიის თასის მერვედფინალში შვაბებმაც და ვესტფალიელებმაც უპრობლემოდ გაალწიეს.

### ჰოფენჰაიმი შალკესთვის საშიშია

ზოგადად, ბუნდესლიგის ცხრილის ზედა ნახევარში დიდი სივიწროვეა. თავად განსაჯეთ: მერვე ადგილზე მყოფი „ჰოფენჰაიმი“ მესამეადგილოსან „შალკეს“ სტუმრობს და „სოფლელები“ გელზენკირხენელებს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან. „შალკემ“ გერმანიის თასის 1/16 ფინალში „კარლსრუეს“ 2:0 მოუგო და იმ შეხვედრაში **ლევან ყენიას** გუნდის კარს ახალგაზრდა **ლარს უნერშტალი** იცავდა. მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** კარში სავარაუდოდ დღესაც უნერშტალს ჩააყენებს, ერთი კვირის წინ აყვანილ **ტიმო ჰილდებრანდს** კი ისევ სკამზე დასვამს. ჰოფენჰაიმელები ამ თამაშის წინ ოპტიმისტურად არიან განწყობილები. „ჰოფეს“ გოლეადორი **ვედად იბიშევიჩი** გამოუჯანმრთელდა, რომელმაც **ჰოლგერ სტანისლავსკის** გუნდს წინა ტურში „გლადბახთან“ მოაგებინა. გარდა ამისა, „ჰოფენჰაიმს“ „შალკესთან“ დადებითი ბალანსი აქვს: ამ გუნდებს შორის გამართული ექვსი თამაშიდან სამი „სოფლელებმა“ მოიგეს, ორი ფრედ დასრულდა, გელზენკირხენელებმა კი მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს.

### წინა ტურის გმირი მიონხენგლადბახში

„გლადბახმა“ ბოლო დროს აურია, რაც წინა ტურში „ჰოფენჰაიმთან“ წაგებაში (0:1) გამოიხატა, გერმანიის თასზე კი, „ბორუსიამ“ მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელი „ჰაიდენჰაიმის“ დამარცხება მხოლოდ პენალტების სერიაში შეძლო. თუმცა, **ლუსიენ ფავრის** გუნდის გამოსვლა მიმდინარე სეზონში, ამ ეტაპზე მაინც უაღრესად დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მიონხენგლადბახელებისგან ამდენსაც (17 ქულა 10 ტურის შემდეგ) არ ველოდით. „გლადბახი“ დღეს იმ „ჰანოვერს“ მასპინძლობს, რომელმაც ერთი კვირის წინ, „ბაიერნის“ დამარცხებით სენსაცია გამოაცხო და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მატჩი ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. „ბაიერნის“ დამარცხებით გამოწვეული ეიფორია „ჰანოვერმა“ გერმანიის თასზე, „მაინცთან“ განცდილი მარცხით გაანიავა.

### ცხრილის მეზობლების დუელი ვოლფსბურგში

ამ კვირაში „ვოლფსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ხმაურიანი განცხადებები გააკეთა – „დესპოტმა ფელიქსმა“ თქვა, რომ სამწლიანი გეგმა აქვს, რომლის მიხედვით, „მგლები“ ისევ უნდა გახდნენ გერმანიის ჩემპიონები და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც უნდა ითამაშონ. მანამდე აშკარად დიდი დროა და პირველი, რაზეც ვოლფსბურგელებმა უნდა იფიქრონ, „ჰერტასთან“ დღევანდელი მატჩია – ბერლინელებს და „მგლებს“ ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ. „ჰერტას“ ქომაგები მათი საყვარელი გუნდის ვოლფსბურგში უკანასკნელ სტუმრობას სიამოვნებით იხსენებენ, რადგან 2010 წლის მარტში ბერლინელებმა „ფოლკსვაგენარენაზე“ 5:1 გაიმარჯვეს...

მიუხედავად ჰანოვერში მოგებული სათასო მატჩისა, მაინცელებს საქმეები მაინც ცუდად მისდით — **თომას ტუხელის** გუნდს რვამატჩიანი მოუგებელი სერია (0/3/5) აქვთ და მე-15 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. დღეს საღამოს კი „მაინცი“ ამბიციურ „ვერდერს“ მასპინძლობს, რომელთანაც უარყოფითი ბალანსი (2/2/6) აქვს. თავის მხრივ, ბოლო დროს ბრემენელებიც აჭრილები არიან – ბოლო სამ შეხვედრაში ოდენ ერთი ქულა მოიპოვეს და „ბაიერნის“ პირველი მდევრის სტატუსიც დათმეს. აღსანიშნავია, რომ „ვერდერი“ უკანასკნელ 14 გასვლით შეხვედრაში მინიმუმ ერთ გოლს მაინც უშვებდა...

### კიოლნი: უკან დასახევი გზა მოჭრილია!

*„კვირას, „აუგსბურგთან“ ფაქტობრივად გადამწყვეტი მატჩი გვაქვს, რომლის მოგება უბრალოდ აუცილებელია. ამ თამაშში სამი ქულა ჰაერივით გვჭირდება,“* - ეს „კიოლნის“ მთავარი მწვრთნელის, **სტალე სოლბაკენის** სიტყვებია. ნორვეგიელ სპეციალისტს იმედი აქვს, რომ **მილოვოე ნოვაკოვიჩი** ხვალ საღამომდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს და მინიმუმ განაცხადში იქნება. კიოლნელებმა გერმანიის თასზე „ჰოფენჰაიმთან“ წააგეს (1:2), აუგსბურგელებმა კი, მიუხედავად როტაციისა (ძირითად შემადგენლობაში 10 ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ) „ლაიპციგი“ დაამარცხეს და კარგ ხასიათზე არიან.

თასზე როტაციას მიმართა „ჰამბურგის“ ახალმა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმაც** და ამისათვის კინაღამ დაისაჯა: ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ტრირის „აინტრახტის“ დამარცხება მხოლოდ დამატებულ დროში გატანილი გოლით მოახერხა. დღეს ფინკს საკუთარი პუბლიკის წინაშე დებიუტი აქვს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუკეთესო მომენტია პირველი თამაშის მოსაგებად. „ჰამბურგს“ **მლადენ პეტრიჩი** დაუშავდა (ხორვატი ლაზარეთში მინიმუმ ერთ თვეს დაჰყოფს), რაც ფინკისთვისს სერიოზული დანაკლისია, რადგან HSV-ს გოლების ერთი მესამედი სწორედ პეტრიჩზე მოდის.

● შალკე

# თუ რაულს შალკეში დარჩენა უნდა...

## ...ხელფასის 2 მილიონით შემცირებაზე უნდა დათანხმდეს!

ჯერაც არავინ იცის, გააფორმებს თუ არა **რაული** „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს, მოქმედ ხელშეკრულებას კი ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება. გელზენკირხენელებს 34 წლის ვეტერანი, ესპანელი სუპერვარსკვლავის შენარჩუნება სურთ, მაგრამ გონსალეს ბლანკოსთვის კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიუმართავთ. ესპანური მედიის ცნობით, რაული გუშინწინ თავის მრჩეველს შეხვდა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა. როგორც ირკვევა, მას უკვე ორი საკმაოდ საინტერესო წინადადებით მიმართეს.

*„მე ვამაყობ თითოეული წუთით, რომელსაც რაული „შალკეს“ ფორმით მოედანზე ატარებს და იმედი მაქვს, რომ ჩვენთან ახალ, ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს,“* - ეს გელზენკირხენული კლუბის ბოსის, **კლემენს ტიონიესის** სიტყვებია.

თვითონ რაულსაც არაერთხელ უთქვამს, „შალკეში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობო, მაგრამ დათანხმდება ესპანელი ხელფასის მთელი 2 მილიონი ევროთი შემცირებას? გელზენკირხენელები მას წელიწადში 5 მილიონ ევროს უხდიან და ამასთან ერთად, რაული მადრიდის „რეალიდანაც“ იღებს კომპენსაციას (წელიწადში 2 მილიონი ევრო). თუმცა ზაფხულის შემდეგ მადრიდული გრანდიდან კომპენსაცია შეუწყდება. ამას ისიც ემატება, რომ აღარც „შალკეს“ სურს რაულისთვის 5 მილიონის გადახდა – ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გელზენკირხენელები გონსალეს ბლანკოს ერთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ მხოლოდ 3 მილიონს შესთავაზებენ, რაზეც, სავსებით შესაძლებელია, უარი მიიღონ.

*„რაულთან მხოლოდ იმაზე შევთანხმდით, რომ ახალი კონტრაქტის დეტალებზე დეკემბერში ან იანვარში უნდა დავილაპარაკოთ,“* - ეს „შალკეს“ მენეჯერის, **ჰორსტ ჰელდტის** სიტყვებია. საბოლოო გადაწყვეტილება კი, ესპანელმა თებერვალში უნდა მიიღოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



დარჩება რაული შალკეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლიგა 1. XII ტურის წინ

| დღეს | |
|---|---|
| აიაჩო-ბორდო | 21:00 |
| ბრესტი-ლორიანი | 21:00 |
| დიჟონი-მარსელი | 21:00 |
| ევიანი-ოსერი | 21:00 |
| მონპელიე-ლორიანი | 21:00 |
| პსჟ-კანი | 21:00 |
| ლიონი-სტ. ეტიენი | 23:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ნიცა-სოშო | 20:00 |
| ტულუზი-რენი | 20:00 |
| ვალანსიენი-ლილი | 24:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 11 | 8 | 2 | 1 | 21-8 | 26 |
| 2. მონპელიე | 11 | 7 | 2 | 2 | 25-15 | 23 |
| 3. ლილი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-12 | 22 |
| 4. რენი | 11 | 6 | 3 | 2 | 21-14 | 21 |
| 5. ლიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 6. ტულუზი | 11 | 5 | 4 | 2 | 12-10 | 19 |
| 7. ლორიანი | 11 | 4 | 5 | 2 | 12-9 | 17 |
| 8. სტ. ეტიენი | 11 | 4 | 4 | 3 | 11-13 | 16 |
| 9. კანი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10. სოშო | 11 | 3 | 4 | 4 | 17-23 | 13 |
| 11. ოსერი | 11 | 2 | 6 | 3 | 16-15 | 12 |
| 12. მარსელი | 11 | 2 | 6 | 3 | 12-12 | 12 |
| 13. დიჟონი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-22 | 11 |
| 14. ნიცა | 11 | 2 | 4 | 5 | 11-11 | 10 |
| 15. ვალანსიენი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-13 | 9 |
| 16. ბრესტი | 11 | 0 | 9 | 2 | 9-11 | 9 |
| 17. ევიანი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-16 | 9 |
| 18. ბორდო | 11 | 1 | 6 | 4 | 12-18 | 9 |
| 19. ნანსი | 11 | 1 | 5 | 5 | 8-13 | 8 |
| 20. აიაჩო | 11 | 1 | 4 | 6 | 10-22 | 7 |



ხავიერ პასტორე და კევინ გამეირო ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებიან

# ზედიზედ მეექვსე

შუა კვირაში ლიგის თასის გათამაშებაში პსჟ შერცხვა, წააგო რა ლიგის დებიუტანტ "დიჟონთან" - 3:2. სეზონის დაწყებამდე დედაქალაქელები ამაყად აცხადებდნენ, ოთხივე ფრონტზე (ლიგისა და საფრანგეთის თასები, ჩემპიონატი და ევროპის ლიგა) წარმატების მისაღწევად ვიბრძოლებთო. მათი დანაქადნები რომ არ შესრულდება, უკვე ცხადია. ახლა მათ სერიოზულად მართებთ საქმისადმი მიდგომა და "კანის" დამარცხება, რათა მცირედ, მაგრამ შელახული სახელი აღიდგინონ. წაგებული თამაშის შემდეგ **ანტუან კომბუარემ** განაცხადა, ეს დამარცხება ჩვენთვის გარკვეულწილად გაფრთხილებასავით არის, რათა მომავალში ასე იოლად არ მოვეშვათ და თამაშის დაწყებამდე მეორედ აღარ ვიფიქროთ, რომ ის უკვე მოგებულიაო. მუსიე ანტუანს არც ის ავიწყდება, რომ იმავე "დიჟონთან" რამდენიმე დღით ადრე მისმა ბიჭებმა ასევე ცუდად ითამაშეს და რომ არა მისი ვარსკვლავების მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, 3 ქულას ვერც ჩემპიონატის დაპირისპირებაში შესწვდებოდნენ. რაღაც წილად დამნაშავე ალბათ თავად მწვრთნელიც არის, ვინც პირველი შეხვედრის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 4 კაცი **მარკოს სეარა, დიეგო ლუგანო, მამადუ სახო** და **ჟერემი მენეზი** დატოვა. ვერაფრით დაეხმარა გუნდს სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენილი მეკარე **ნიკოლა დუშეზიც**. მწვრთნელის მოსაზრებას იზიარებს პარიზელთა მარჯვენა მცველი **კრისტოფ ჟალეც**: "დიჟონთან" დამტკიცდა, რომ თუკი გვინდა და ამბიციაც გვაქვს, რომ ტურნირის სათავეში ბოლომდე დავრჩეთ, არ გვაქვს უფლება რომელიმე შეხვედრას ასე ზერელედ მოვეკიდოთ. დღეს ჩვენი საქმე სათანადოდ რომ გაგვეკეთებინა, შემდეგ რაუნდში გადავიდოდით". "კანთან" შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდებიან **სალვატორე სირიგუ, ნენე, ხავიერ პასტორე** და **კევინ გამეირო**. ზემოთაც ვთქვით, გუნდს სერიოზულად მართებს საქმისადმი მიდგომა-თქო, დიახ, ასეა, რადგან ჩემპიონატში მათ ზედიზედ მეექვსე შეხვედრის მოგება შეუძლიათ და თუ ეს მოახერხეს, მე-11 წაუგებელ შეხვედრას "გამოაცხობენ".

მასპინძელთა შორის გამორიცხულია **გიიომ ოაროსა** და **ბლეზ მატუიდის** გამოჩენა. პირველი ჯერაც არ მორჩენილა მხრის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს, მეორეს კი ბარძაყის ტრავმა ჯერ არ მოუშუშებია. ისინი ინდივიდუალურად უკვე ვარჯიშობენ, მაგრამ გუნდს როდის შეუერთდებიან, არავინ იცის. ალბათ მალე დაიწყებს სრულად დატვირთვას სერბი **მილან ბიშევაციც**, ვისაც სექტემბერში სერბეთის ნაკრებში მიღებული ტრავმის შემდეგ აღარ უასპარეზია. მან უკვე ითამაშა 45 წუთი დუბლების მატჩში. უმნიშვნელო ტრავმები აწუხებთ **სიაკა ტიენესა** და **კლემან შანტომს**, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ კომბუარე ძირითადში გაამწესებს.

რაც შეეხება "კანს": **ფრანკ დიუმას** გუნდს ღირსეული სტარტი ჰქონდა. ისინი თავს ამაყად გრძნობენ, როცა ცხრილს უყურებენ. 11 ტურში დაგროვილი 15 ქულა და მე-9 ადგილი მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნორმალური შედეგია. ბოლო 7 დაპირისპირებიდან (თასის ჩათვლით) გუნდმა 3 მოიგო, ამდენივე ფრედ ითამაშა და ერთხელაც წააგო, ისიც მე-2 ადგილოსან "მონპელიესთან". დიუმამ თასზე "ოსერთან" ლამის ახალგაზრდული გუნდი გაიყვანა და გასვლითი თამაში მოიგო. პირველი გოლი გაიტანა 23 წლის **ლივიო ნაბაბმა**. მოსალოდნელია, რომ სარეზერვო შემადგენლობის ფეხბურთელი ამჯერად უკვე ჩემპიონატის განაცხადშიც მოხვდება. ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ("მონპელიესთან" შეხვედრაში გააძევეს) ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება ასევე **პიერ-ალენ ფროც**. ხოლო იმაში, რომ გუნდს **გრეგორი ტაფორო** და **ბრანკო ლაზარევიჩი** ვერ დაეხმარებიან, ახალი არაფერია.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევრო 2012

# ტრაპატონიმ დაასახელა



ნოემბერში 4 საგზურის მფლობელთა ვინაობაც გაირკვევა და ევრო 2012 საბოლოოდ დაკომპლექტდება. ირლანდიელთა მეტოქე ესტონეთის ნაკრებია. **ჯოვანი ტრაპატონიმ** 25 კაცს უხმო, მათ შორის - ტრავმირებულებს **შეინ ლონგსა** და **რობი კინს**.

**მეკარეები:** *შეი გივენი (ასტონ ვილა), კირან ვესტვუდი (სანდერლენდი), დევიდ ფორდი (მილუოლი).*

**მცველები:** *ჯონ ოში (სანდერლენდი), სტივენ კელი (ფულჰემი), სტივენ ვორდი (ვულვზი), რიჩარდ დანი (ასტონ ვილა), შონ სენტ ლედჯერი (ლესტერი), დარენ ოდი (ლიდსი), პოლ მაკშეინი (ჰალი).*

**ნახევარმცველები:** *გლენ ველანი (სტოკი), ჯეიმს მაკარტი (უიგანი), სიმუს კოულმენი (ევერტონი), კით ენდრიუზი (იფსვიჩი), კით ფეჰეი (ბირმინგემი), დერონ გიბსონი (მანჩესტერი), ენდი კიო (ლიდსი), დამიენ დაფი (ფულჰემი), ეიდენ მაკგიდი (სპარტაკი), სტივენ ჰანტი (ვულვზი), ლაიემ ლოურენსი (პორტსმუთი).*

**თავდამსხმელები:** *რობი კინი (ლოს ანჯელესი), კევინ დოილი (ვულვზი), შეინ ლონგი (ვესტ ბრომვიჩი), საიმონ კოქსი (ვესტ ბრომვიჩი), ჯონათან უოლტერსი (სტოკი).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მუნდიალი 2014

# დიეგო ფორლანი ნაკრებსაც დააკლდა

კუნთის ტრავმის გამო ურუგვაის ნაკრებს ჩილესთან მატჩში გუნდის ლიდერი **დიეგო ფორლანი** დააკლდება. **ოსკარ ტაბარესმა** სულ 25 ფეხბურთელი შეარჩია. ფორლანის გარდა თვალშისაცემია **მაქსი პერეირას** არყოფნა, მაგრამ „ბენფიკას" ფეხბურთელის გამოუძახებლობის მიზეზი დისკვალიფიკაციაა.

**მეკარეები:** *ფერნანდო მუსლერა, ხუან კასტილიო, მარტინ სილვა.*

**მცველები:** *დიეგო ლუგანო, დიეგო გოდინი, ანდრეს სკოტი, მაურისიო ვიქტორინო, ხორხე ფუსილე, სებასტიან კოატესი, მარტინ კასერესი.*

**ნახევარმცველები:** *ალვარო ფერნანდესი, ალვარო პერეირა, დიეგო პერესი, სებასტიან ევურენი, გასტონ რამირესი, აგიდიო არევალო რიოსი, ალვარო გონსალესი, ვალტერ გარგანო, ნიკოლას ლოდეირო, კრისტიან როდრიგესი.*

**თავდამსხმელები:** *ლუის სუარესი, სება ფერნანდესი, ედინსონ კავანი, სებასტიან აბრეუ, აბელ ერნანდესი.*

# დიდი წმენდა არგენტინის ნაკრებში


კარლოს ტევესი

**კარლოს ტევესი**, რომელსაც „მანჩესტერ სიტიში" სერიოზული პრობლემები აქვს, არგენტინის ნაკრების შემადგენლობიდანაც ამოაგდეს. არგენტინას ბოლივიასა და კოლუმბიასთან ელის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩები. ნაკრების თავკაცმა **ალეხანდრო საბელიამ** ტევესის ორი თანაგუნდელი, **პაბლო საბალეტა** და **სერხიო აგუერო** მიიწვია, აი, კარლოსი კი - არა. სხვათა შორის, ნაკრებში ვენესუელასთან მარცხში მონაწილე ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი ვერ მოხვდა (**გუტიერესი, ოტამენდი, ალვარესი, სალვიო, პარეხა, ინსუა, რინაუდო** და **პალასიო**).

**მეკარეები:** *სერხიო რომერო (სამპდორია), მარიანო ანდუხარი (კატანია).*

**მცველები:** *მარტინ დემიკელისი (მალაგა), ნიკოლას ბურდისო (რომა), ფედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი), ფაბიან მონსონი (ნიცა), პაბლო საბალეტა (სიტი), მარკოს როხო (სპარტაკი).*

**ნახევარმცველები:** *ხავიერ მასკერანო (ბარსელონა), ევერ ბანეგა (ვალენსია), ფერნანდო გაგო (რომა), ხავიერ პასტორე (პარი სენ ჟერმენი), ნიკოლას გაიტანი (ბენფიკა), ხოსე სოსა (მეტალისტი), პაბლო გუინასუ (ინტერნასიონალი).*

**თავდამსხმელები:** *ლიონელ მესი (ბარსელონა), ანხელ დი მარია (რეალი), გონსალო იგუაინი (რეალი), ესეკილ ლავეცი (ნაპოლი), ხერმან დენისი (ატალანტა), სერხიო აგუერო (სიტი).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

Made in GERMANY

REHAU
Unlimited Polymer Solutions

ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.




შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით" და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან

ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკალიძის 2 ☏ 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A X ტურის წინ

# DERBY D'ITALIA და არა მარტო

## ჩავუსხდეთ კალჩოს

### დღეს

**რომა-მილანი 21.00**

**ტრავმა:** ტოტი, როზი, ლობონტი, პიანიჩი, კიაერი - გატუზო, პატო, ფლამინი, ანტონინი.

**კატანია-ნაპოლი 21.00**

**ტრავმა:** გომესი, ლედესმა, კაპუანო, ალვარესი, ლიამა, ბიაჯანტი, სუაზო - პანდევი, ბრიტოსი, გარგანო, დონადელი.

**ინტერი-იუვენტუსი 23.45**

**ტრავმა:** პოლი, რანოკია, კოუტინიო, ფორლანი, ვივიანო, სამუელი, ჟულიო სეზარი - კრასიჩი, ბუფონი, ჯაკერინი.

### ხვალ

**სიენა-კიევო 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ტერცი (სიენა).
**ტრავმა:** გროსი, პეგოლო - სარდო, მორერო.

**ბოლონია-ატალანტა 18.00**

**ტრავმა:** დიამანტი, კრუზი - ბრიგი, ფერეირა, მანფრედინი.

**ფიორენტინა-ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბეჰრამი - **კალაძე.**
**ტრავმა:** კროლდრუპი - ზე ედუარდო.

**ლეჩე-ნოვარა 18.00**

**ტრავმა:** დი მიკელე, დიამუტენე, ფერარიო, ჟულიო სერჟიო - ლიზუძო, ლუდი, უიკანი.

**პარმა-ჩეზენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მუტუ (ჩეზენა).
**ტრავმა:** ფლოკარი, ბლაზი - მარტინიო, კოლუჩი.

**უდინეზე-პალერმო 18.00**

**ტრავმა:** ბარეტო, ფერონეტი - დელა როკა, პინილია.

**კალიარი-ლაციო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კონტი (კალიარი).
**ტრავმა:** ასტორი, ქაბირი, ერიკსონი - ბიავა, გონსალესი, მაური, ერნანესი, მათუზალემი, ბერარდი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 8 | 4 | 4 | 0 | 13-6 | 16 |
| 2. უდინეზე | 8 | 4 | 3 | 1 | 10-3 | 15 |
| 3. ლაციო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-8 | 15 |
| 4. ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-5 | 14 |
| 5. მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-12 | 14 |
| 6. კალიარი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-6 | 13 |
| 7. პალერმო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 8. ჯენოა | 8 | 3 | 3 | 2 | 13-11 | 12 |
| 9. რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 10. კატანია | 8 | 2 | 5 | 1 | 10-11 | 11 |
| 11. სიენა | 8 | 2 | 4 | 2 | 7-5 | 10 |
| 12. ატალანტა | 8 | 4 | 3 | 1 | 11-9 | 9 |
| 13. ფიორენტინა | 8 | 2 | 3 | 3 | 9-8 | 9 |
| 14. კიევო | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 15. პარმა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-17 | 9 |
| 16. ინტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| 17. ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-12 | 7 |
| 18. ნოვარა | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 19. ლეჩე | 8 | 1 | 1 | 6 | 6-15 | 4 |
| 20. ჩეზენა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-10 | 3 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 6 - დი ნატალე (უდინეზე), ჯოვინკო (პარმა); 5 - პალასიო (ჯენოა), დენისი (ატალანტა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

თუ დღეს საღამოს სადმე გეპატიჟებიან, აუცილებლად უარი უნდა განაცხადოთ; თუ უკვე დაგეგმილი გაქვთ რამე, აუცილებლად უნდა გადადოთ, თუნდაც ამის გამო მეორე ნახევართან, ან უბრალოდ მეგობარ გოგოსთან პრობლემები შეგექმნათ, რადგან დღეს იტალიურ საფეხბურთო მოედნებზე დიდი ამბები დატრიალდება. დიახ, სერია A-ს X ტური და განსაკუთრებით დღევანდელი დღე ბევრ საინტერესოს გვპირდება, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვრცლად მოგითხრობთ...

გამომდინარე იქიდან, რომ შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის პაექრობები გაიმართება, ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში მოასპარეზე გუნდები თავიანთ შეხვედრებს დღეს გამართავენ. „ნაპოლი" სიცილიაში „კატანიას" ესტუმრება, „მილანი" „ოლიმპიკოზე" „რომას" შეასკდება, „ჯუზეპე მეაცაზე" კი იტალიურ დერბიში „ინტერი" „იუვენტუსს" დაუპირისპირდება. სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ, რადგან სხვა გუნდებისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ტურის ცენტრალურ მატჩად უდავოდ მილანური ჯახი უნდა მივიჩნიოთ...

**ინტერი-იუვენტუსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინტერი (4-3-1-2):** კასტელაცი - მაიკონი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო - ძანეტი, ტიაგო მოტა, სტანკოვიჩი - სნეიდერი - სარატე, პაცინი.

**იუვენტუსი (4-3-2-1):** სტორარი - ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - პირლო, ვიდალი, მარკიზიო - პეპე, ვუჩინიჩი - მატრი.

დიდ იტალიურ დერბიზე არაერთხელ გვისაუბრია და ისიც კარგად ვიცით, რომ ამ ორ გუნდს იტალიაში ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. შესაბამისად, ზოგად თემებს, ისტორიულ ექსკურსს ამჯერად გვერდს ავუვლით და პირდაპირ მოახლოებულ პაექრობაზე გადავერთვებით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი მატჩების დროს სატურნირო ცხრილი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაინც უნდა ალვნიშნოთ, რომ მილანელები ამ მხრივ გაცილებით მძიმე მდგომარეობაში არიან. „ნერაძურიმ" განვლილ რვა პაექრობაში ამდენივე ქულა დააგროვა და მხოლოდ მე-16 პოზიციაზე იმყოფება, რაც არ შეიძლება რომ გუნდზე წნეხს არ აძლიერებდეს. ანუ, ფსიქოლოგიურად „იუვე" გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია და სწორედ ამის შესახებ ისაუბრა **ანტონიო კონტემ** წინასამატჩო ბრიფინგზე:

*„მილანელებმა სეზონი ძალიან მძიმედ დაიწყეს, ჩვენგან კი სატურნირო ცხრილის სათავეში ყოფნას ბევრი არ მოელოდა. შესაბამისად, ფსიქოლოგიური კუთხით, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მიუხედავად იმისა, რომ თამაში მილანშია, ვეცდებით პირველი ნომრიდან ვიასპარეზოთ და მეტოქე მისსავე ნახევარზე მივაჯაჭვოთ. ვერ გეტყვით, რამდენად კარგად გამოგვივა კონკრეტულად ეს ამოცანა, მაგრამ ცდას ნამდვილად არ დავაკლებთ".*

კონტე კი ამბობს, პირველ ნომრად ვითამაშებთო, მაგრამ იტალიელ ჟურნალისტებს არ გამოჰპარვიათ ის ფაქტი, რომ „იუვეს" თავკაცი ტაქტიკის შეცვლას აპირებს - 4-2-2-2-დან, რომელიც 4-2-4-ადაც კი შეგვიძლია მოვიხსენიოთ, გუნდი პირამიდად წოდებულ სქემაზე: 4-3-2-1-ზე უნდა გადააწყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გაკეთდება. ორი აზრი არაა, ახალი ტაქტიკა ბევრად უფრო ფრთხილია და მართლაც დაცვაზე ორიენტირებული.

რაც შეეხება **კლაუდიო რანიერის,** ის არაფრის შეცვლას აპირებს და ჩემპიონატის ლიდერს ნაცად ტაქტიკასა და გამოცდილ ფეხბურთელებს დაუპირისპირებს. „გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ამჯერად სათადარიგოთა სკამზე დაჯდება **დიეგო მილიტო**, ძირითადში კი **ჯამპაოლო პაცინისა** და **მაურო სარატეს** თავდამსხმელთა ტანდემს ვიხილავთ. რანიერის თქმით, მთავარია მისმა შეგირდებმა საკუთარი ძალების ირწმუნონ და ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ ორივე გუნდს ძირითადი კიპერი ჰყავს დაშავებული, „ინტერის" კარს **ლუკა კასტელაცი** დაიცავს, „იუვე" კი **მარკო სტორარის** იმედზე იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ტურის ცენტრალურ პაექრობაში.



ჯუზეპე მეაცაზე ჩამოცხება

**რომა-მილანი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი - კასეტი, ბურდისო, ჟუანი, ანხელი - პეროტა, დე როსი, გაგო - ბორიელო, ბოიანი, ოსვალდო.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ტაივო - აკვილანი, ვან ბომელი, ნოჩერინო - ბოატენგი - კასანო, იბრაჰიმოვიჩი.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც „რომა" ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს, „მილანს" უმასპინძლებს. **ლუის ენრიკეს** ხელში „ჯალოროსი" არასტაბილურად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მეცხრე ადგილი უკავია - ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესპანელს ჰაერივით ესაჭიროება ისეთ ძლიერ გუნდთან გამარჯვება, როგორიც „მილანია". თუ არ გჯერათ, მოუსმინეთ თავად ლუის ენრიკეს:

*„მილანურ გრანდთან გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური კუთხით, რადგან ეს ჩემს ფეხბურთელებში საკუთარ ძალებში რწმენას გაალრმავებს, რაც სამომავლო წარმატებებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ვეცდებით თავიდანვე შევუტიოთ და მეტოქეს სივრცეები მაქსიმალურად შევუზღუდოთ, რათა სასურველი შედეგი მივიღოთ. ბოლო ხანებში, ჩვენს მიმართ კრიტიკა მოხშირდა და დიდი იმედი მაქვს, ღირსეული თამაშით და სასურველი შედეგით სკეპტიკოსთა გაჩუმებას მოვახერხებთ".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ლუის ენრიკე ტრადიციას არ უღალატებს და გუნდს სამი ფორვარდით ათამაშებს - ამჯერად, შეტევის წინა ხაზზე **მარკო ბორიელოს, ბოიან კრკიჩს** და **პაბლო ოსვალდოს** გაამწესებს. რაც შეეხება „მილანს", აქ ყველაფერი ისევეა, როგორც წინა შეხვედრებში - თავდასხმაში **ანტონიო კასანო** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გაირჯებიან, მოედნის სიღრმიდან კი ნაცადი, ძალიან მობილური და მოძრავი ოთხეული ითამაშებს: **მარკ ვან ბომელი, ალბერტო აკვილანი, ანტონიო ნოჩერინო** და **კევინ პრინს ბოატენგი**. ვნახოთ, რომში წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

## სხვები

„უდინეზე" საკუთარ მოედანზე „პალერმოს" მიიღებს და ნეაპოლში განცდილი მარცხის გამო, რეაბილიტირებას შეეცდება. **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდი ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რადგან სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი უკავია და მთლიანობაში, საკმაოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს. „ნაპოლისთან" პაექრობა მსუბუქი ტრავმის გამო **ანტონიო დი ნატალემ** გამოტოვა, რომელიც გვპირდება, რომ სიცილიელთა წინააღმდეგ აუცილებლად იასპარეზებს. იოლად არც „პალერმო" დათმობს რამეს, „ლეჩესთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, კუნძულელები ამაღლებულ განწყობაზე არიან და წარმატებული სერიის გაგრძელება სურთ.

დღევანდელ დღეს უნდა დავუბრუნდეთ და ალვნიშნოთ, რომ „ნაპოლი" გასვლაზე კერკეტ „კატანიას" დაუპირისპირდება - **ვალტერ მაძარი** კუნძულზე ოპტიმისტური განწყობით ჩადის: *„შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე გვიწევს ასპარეზობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წამყვან ფეხბურთელებს დავასვენებთ. მერწმუნეთ, მოედანზე ყველა ის მოთამაშე გავა, რომელიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაშია. ეს ეხება როგორც ესეკილ ლავეცის და ედინსონ კავანის, ისე ნებისმიერ სხვა ფეხბურთელს. „კატანიას" ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება".*

ტურის უკანასკნელი შეხვედრა სარდინიაზე გაიმართება, სადაც „კალიარი" „ლაციოს" მიიღებს. წინა ტურში, „კატანიასთან" დასანანად დაკარგული ორი ქულის შემდეგ, რომაელებს მხოლოდ გამარჯვებაზე უჭირავთ თვალი და სხვა შედეგის გაგონებაც კი არ სურთ. გამომდინარე იქიდან, რომ **ერნანესია** დამტვრეული, **ედუარდო რეიას** სხვა არჩევანი არც აქვს და გამთამაშებლობას კვლავაც **ჯუზეპე სკულის** დააკისრებს, ვინც **ჯიბრილ სისესა** და **მიროსლავ კლოზეს** პასებით მომარაგებას შეეცდება. ბრაზილიელი პლეიმეიქერის გარდა, „არწივებს" კიდევ არაერთი ფეხბურთელი აკლიათ, რაც კუნძულელთა წისქვილზე ასხამს წყალს; სარდინიელები ორი ფორვარდით შეუტევენ მეტოქეს, **რიბეიროს** თავდასხმაში **ნენე** შეუწყვილდება, მათ უკან კი **ანდრეა კოსუ** იმოქმედებს - დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



X ტურის წინ | ესპანეთი. ლა ლიგა | IX ტურის შეჯამება

## დღეს

**ვალენსია-ხეტაფე 20:00**

**ტრავმა:** კანალესი, მადურო - გავილანი, მასილელა (?), ბარადა, უსტარი

**ვილიარეალი-რაიო ვალ. 20:00**

**ტრავმა:** ნილმარი, როსი, მარჩენა, ა. ლოპესი - ბრავო

**ბარსელონა-მალიორკა 22:00**

**ტრავმა:** აფელაი, პედრო, სანჩესი - მარტი (?), ლაკრუსი, ზუიველროონი, ნუნიეში, კასერესი

**დისკვალიფიკაცია:** ჩიკო (მალიორკა)

**რეალ სოსიედადი-რეალი 00:00**

**ტრავმა:** ილარამენდი (?) - კარვალიო, გრანერო, ალბიოლი, დიარა (?)

## ხვალ

**სპორტინგი-ბილბაო 15:00**

**ტრავმა:** კარმელო, ნაჩო ნოვო - კასტილიო, გურპეგი, პერესი (?), მარტინესი

**ოსასუნა-ლევანტე 19:00**

**ტრავმა:** მასუდი, როვერსიო, ლამა, ეჩაიდე - ხორდა (?)

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი (ლევანტე)

**რასინგი-ბეტისი 21:00**

**ტრავმა:** კოლსა, აკოსტა, სტუანი, ბედია, კენედი - ბენატი (?), მარიო (?), ნელსონი (?), ამაია, ვადილიო

**ატლეტიკო-სარაგოსა 23:00**

**ტრავმა:** ფალკაო (?), ხუანფრანი, სალვიო (?), კოშტა - ბრაულიო, პინტერი, მინერო

**მალაგა-ესპანიოლი 01:00**

**ტრავმა:** ბაპტიშტა, რონდონი, რესიო, სტადსგაარდი - მატიონი, ალბინი

**დისკვალიფიკაცია:** ელიზეუ - მარკესი

## ზეგ

**სევილია-გრანადა 00:00**

**ტრავმა:** პეროტი - მარტინში, იებდა, ხუანი, ბოატენგი, იგჰალო

**დისკვალიფიკაცია:** ხაიმე რომერო, დანი ბენიტესი (გრანადა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევანტე | 9 | 7 | 2 | 0 | 17-5 | 23 |
| 2. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 31-6 | 22 |
| 3. ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 0 | 27-4 | 21 |
| 4. ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 12-8 | 18 |
| 5. სევილია | 9 | 4 | 5 | 0 | 10-6 | 17 |
| 6. ესპანიოლი | 9 | 5 | 0 | 4 | 8-11 | 15 |
| 7. მალაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 8. ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 14-11 | 12 |
| 9. ვალეკანო | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 10. ბეტისი | 9 | 4 | 0 | 5 | 10-14 | 12 |
| 11. ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 11-17 | 11 |
| 12. ატლეტიკო | 9 | 2 | 4 | 3 | 9-10 | 10 |
| 13. მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-11 | 9 |
| 14. სარაგოსა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-17 | 9 |
| 15. სოსიედადი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 16. ხეტაფე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-12 | 7 |
| 17. სპორტინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-13 | 7 |
| 18. ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-17 | 7 |
| 19. რასინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-15 | 5 |
| 20. გრანადა | 9 | 1 | 2 | 6 | 2-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - გონსალო იგუაინი (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 5 - ხუანლუ გომესი (ლევანტე), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 4 - იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი), სანტი კასორლა (მალაგა), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), მიკუ (ხეტაფე), რაულ გარსია (ოსასუნა), ტომერ ჰემედი (მალიორკა), ქარიმ ბენზემა (რეალი).



კარლეს პუიოლი და ჟერარდ პიკე ერთად ბრუნდებიან

# ნეტა, დღეს ბარსას ვხვდებოდეთ...

## საუკეთესო რეალი და პრობლემებიანი ბარსა

**დიდი** ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კამერუნელი **სამუელ ეტოო** სისხლს უშრობდა „ბარსას“, სანამ ამ უკანასკნელმა 24 მილიონ ევროდ არ შეიძინა „მალიორკას“ ფორვარდი. ახლა ეტოომ უზრუნველი „სიბერე“ მოიწყო დაღესტანში, სადაც ზღაპრულ ხელფასს იღებს. „ბარსელონასა“ და „მალიორკას“ დაპირისპირებებს კი აფრიკელი ფორვარდის ბალეარის კუნძულებიდან აზარგების შემდეგ ხიბლი მოაკლდა. დღეს ჩემპიონი კუნძულელებთან დაპირისპირების წინ აშკარა ფავორიტია.

„მალიორკა“ პირველი გუნდია, რომელმაც სეზონში მწვრთნელი გამოიცვალა, **მიქაელ ლაუდრუპმა** ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო წასვლა არჩია, დანიელი დროებით **მიგელ ანხელ ნადალმა** შეცვალა, ვინც „ბილბაოს“ ექსთავკაცმა **ხოაკინ კაპაროსმა** ჩაანაცვლა. პალმელები 9 თამაშიდან ამდენივე ქულით მე-13 ადგილზე არიან და სპეციალისტები თანხმდებიან იმაში, რომ მათ ძალიან გაუჭირდებათ მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნება.

„ბარსა“? აქაც ბევრი თანხმდება, რომ ჩემპიონს მცირე კრიზისი აქვს - „სევილიასთან“ საშინაო 0:0-ს მოჰყვა ძალზე ულიმღამო თამაში სუსტ „გრანადასთან“, რომელსაც ჩემპიონმა **ჩავის** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმის წყალობით მოუგო. ფაქტია, „ბარსელონა“ ბოლო მატჩებია ისე ვერ ბრწყინავს, როგორც მისი უშუალო კონკურენტი „რეალი“, რომელიც მეტოქეს პირველივე ტაიმში „უგვარებს“ საქმეებს. ამასთან, მადრიდელები ქულით უსწრებენ კიდევაც „ბარსას“.

**ხოსეპ გვარდიოლას** საკადრო პრობლემები მოეძალა, როგორც დაცვის ცენტრში, ასევე შეტევის მარჯვენა ფლანგზე. **კარლეს პუიოლმა** წინა ტური მცირე ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო **ჟერარდ პიკე** ახლახან გამოჯანმრთელდა. პეპმა გუშინ „ბარსას“ ექიმებისგან სასიხარულო დასკვნა მიიღო - პიკეს და პუიოლს ექიმებმა თამაშის ნებართვა მისცეს, ორივე მწყობრშია.

შეტევაში **პედრო როდრიგესი** კიდევ 15 დღე ვერ ითამაშებს, **ალექსის სანჩესის** დაბრუნება კი 5 ნოემბერს „სან მამესზე“ დაიგეგმა, **იბრაჰიმ აფელაის** კიდევ კარგა ხანს ვერ ვიხილავთ. კარგი ისაა, რომ **სესკ ფაბრეგასი** ჯანზეა, მას შეუძლია წინ თამაში, ნახევარდაცვაში კი **ტიაგო ალკანტარა** დადგება, მით უფრო ტიაგოს „მალიორკასთან“ თამაშში ჰქონდა „ბარსას“ რიგებში დებიუტი და მისთვის ეს დაპირისპირება ბევრს ნიშნავს.

გუშინ „ბარსამ“ წვიმიან ამინდში 18 პირველგუნდელით ივარჯიშა, მათთან ერთად იყო **ისააკ კვენკაც**, რომელმაც „გრანადასთან“ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა.

„მალიორკას“ ახალ თავკაცს, ხოაკინ კაპაროსს ჯერ არ მოუგია ახალ გუნდში და, ვფიქრობთ, დღეს ის ამას ძნელად თუ შეძლებს, „ბარსას“ პრობლემების გარდა (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) ერთი მიზეზიც კი არაა, კუნძულელთა სასარგებლოდ. თავად განსაჯეთ - „ბარსამ“ 5 საშინაო მატჩში 21 გოლი გაიტანა და... არც ერთი გაუშვა. „ბარსამ“ ჩემპიონატში ბოლოს „ვალენსიასთან“ გაუშვა გოლი და ისიც სტუმრად.

**ბარსელონა** (სავარაუდო შემადგენლობა): *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე (ან მასკერანო), პუიოლი, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ტიაგო ალკანტარა - ფაბრეგასი, მესი, ვილია.*

ზემოთაც ვთქვით, რომ „რეალი“ შესანიშნავ ფორმაშია. ის კი არა, „სამეფო კლუბის“ მცველმა **სერხიო რამოსმა** ინატრა, ნეტა, „ბარსას“ დეკემბრის ნაცვლად ახლა ვხვდებოდეთო. **ჟოზე მოურინიოს** გუნდი დღეს ბასკურ „ანოეტას“ სტუმრობს, სადაც „რეალ სოსიედადთან“ ელის ჯახი, **ჩაბი ალონსო** სამშობლოში ბრუნდება...

მადრიდში ახლა მართლაც ბევრი რამ მიდის კარგად, მაგრამ მთავარი მაინც **კაკას** ბრწყინვალე ფორმა გვგონია, ბევრმა ჩაიქნია ბრაზილიელზე ხელი, თქვეს, მილანისეულ კაკას ველარასოდეს ვიხილავთო და, ვგონებ, შეცდნენ - ამ სეზონში სულ სხვა კაკა თამაშობს „სამეფო კლუბში“, ის კარგად უგებს მოედანზე **მესუთ იოზილს** და, თუ საჭირო გახდა, ერთ-ერთის არჩევა, მოურინიო ბოლო დროს უფრო სამხრეთამერიკელს ენდობა. კაკას სულ 17 თამაშში შეძლო „რეალის“ მაისურით გოლის გატანა და „რეალმა“ 17-ივე მოიგო. სულაც არ არის გასაკვირი, რომ კაკა „სელესაოშიც“ გაახსენდათ.

ჟოზე მოურინიოს წლევანდელი „რეალი“ უფრო შემტევია, გოლები მათი ნახევარმცველებისგან და ფორვარდებისგან უხვად „მოედინება“ - 9 თამაშში 31 გოლი ამის დასტურია - თუ, ასე გაგრძელდა, 1989/90 წლების სეზონის რეკორდი, 107 გოლი, დაემხობა (ამ ტემპით 131 გოლს უნდა მიაღწიონ). „რეალს“ დაცვაშიც ყველაფერი რიგზე აქვს - 6 მიღებული ბურთი ამის დასტურია - ამ ტემპით „სამეფო კლუბი“ 1987/88 წლების სეზონის რეკორდს (24 გოლი) დაამხობს. მოკლედ, ამ სტატისტიკის მიხედვით „რეალს“ ისტორიაში საუკეთესო სეზონი აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ვარჯიში დაიწყო **ლასანა დიარამ**, თუმცა მისი ადგილი „ანოეტას“ მატჩში ალბათ არ მოიძებნება. **რაულ ალბიოლს** მოტეხილი ყბის ძვალი კი შეუხორცდა, მაგრამ რისკი მაინც დიდია, ასე რომ, ბასკეთში ის არ ითამაშებს. **ნური შაჰინი** და **რიკარდო კარვალიო** კი ჯერ ბოლომდე მზად არ არიან.

„რეალ სოსიედადი“ „ანოეტაზე“ ძლიერად თამაშობს, ბოლო 8 ლალიგური მატჩიდან მხოლოდ ერთი დათმო. თუმცა **ფილიპ მონტანიეს** გუნდს არ ულხინს, ჩემპიონატში მე-15 ადგილზეა 8 ქულით. თუმცა, თუკი „რეალი“ პირველ გოლს გაიტანს, დიდი ალბათობით მოიგებს, რადგან ბოლო 67 შეხვედრაა ასე ხდება.

**„რეალი“** (სავარაუდო შემადგენლობა): *კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, ხედირა - დი მარია, იოზილი (ან კაკა), რონალდო - იგუაინი.*

მეოთხეადგილოსან „ვალენსიას“ კარგი შანსი აქვს, ლიდერთა ფეხის ხმას არ ჩამორჩეს, დღეს შინ „ხეტაფეს“ მასპინძლობს. **უნაი ემერი** ფრანგი მცველის, **ადილ რამის** ალბათ არ ათამაშებს, მიუხედავად იმისა, რომ მას 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუსრულდა. მიზეზი ისაა, რომ წინ „ლევერკუზენთან“ გადამწყვეტი თამაშია. შესაძლოა, ამის გამო **არიც ადურისმა** სასტარტო შემადგენლობაში **რობერტო სოლდადო** შეცვალოს. **სერხიო კანალესმა** მუხლის ოპერაცია გუშინ გაიკეთა და მისთვის წელიწადი დასრულებულია.

ახლა ისეთი დროა, ესპანურ ჩემპიონატზე კიდევ ერთი ვალენსიური კლუბის უხსენებლად ვერ გავძლებთ - „ლევანტე“ ხომ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. ლიდერი ხვალ ნავარაში წავა, რათა „ოსასუნას“ ეთამაშოს. ზედიზედ 7 ტურია, რაც **ხუან იგნასიო მარტინესის** გუნდი იგებს. ეს კი ბრწყინვალე შედეგია. „ლევანტეს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული **ხუანფრანი.**

# სუპერვარსკვლავები და მათი აჩრდილები

## ტურმა კიდევ ერთი ვარსკვლავი შეიწირა

**გასაგები** მიზეზების გამო, ტურის დღევანდელი შეჯამება კომპაქტურია - კარს უკვე შემდგომი ტური მოგვადგა. მეცხრე ტურის მთავარი სენსაცია ის იყო, რომ „ლევანტემ“ ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა და ზედიზედ მე-7 შეხვედრა მოიგო.

## მესი VS რონი

ამ ჩემპიონატში იყო ტური, როცა **ლეო მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** შორის არჩევანი ვერ გავაკეთეთ, ახლაც ასეთი შემთხვევაა, თუმცა ერთი დიდი სხვაობით - იმ ტურში ორივე სუპერვარსკვლავმა ისე კარგად ითამაშა, თქვენი მოწონებული. ჩვენც მათ 1:1 დავუწერეთ. ახლა კი არგენტინელი და პორტუგალიელი თავიანთ აჩრდილებს ჰგავდნენ, ამჯერად - 0:0. ასე რომ, სეზონში ანგარიში უცვლელია: 4:4.

მესიმ „გრანადასთან“ 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 4-ჯერ დაარტყა (ერთხელ ზუსტად), მის წინააღმდეგ ერთხელ იუხეშეს და ერთხელ ლეო თამაშგარეში მოხვდა.

რონალდომ „ვილიარეალთან“ 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 2-ჯერ დაარტყა (1 ზუსტი), მასაც ერთხელ ეუხეშნენ და ისიც ერთხელ მოხვდა თამაშგარეში.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

GOALCOM 4-3-3

**ვისენტე გუაიტა** (ვალენსია) - **პედრო ბოტელიო** (რაიო ვალეკანო), **ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა), **ხორდი ალბა** (ვალენსია) - **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა), **ანხელ დი მარია** (რეალი), **ხოსე ბარკერო** (რეალ სოსიედადი), **იბრაჰიმა ბალდე** (ოსასუნა) - **დანი გუისა** (ხეტაფე), **ქარიმ ბენზემა** (რეალი), **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო)

*მწვრთნელი:* ***ხუან იგნასიო მარტინესი (ლევანტე).***

**ტურის ანტინაკრები**

GOALCOM 4-3-3

**მიგელ ანხელ მოია** (ხეტაფე) - **ხოსე კატალა** (ვილიარეალი), **ეფრან ხუარესი** (სარაგოსა), **ჟოაო ვიქტორი** (მალიორკა), **ჟოაო მირანდა** (ატლეტიკო) - **ჯონათან დე გუზმანი** (ვილიარეალი), **სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა), **დანი ბენიტესი** (გრანადა) - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **რუუდ ვან ნისტელროი** (მალაგა), **როკე სანტა კრუსი** (ბეტისი).

*მწვრთნელი:* ***ხუან კარლოს გარიდო (ვილიარეალი).***

## ტურის გმირი

**ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა)

რომ არა მისი საჯარიმო დარტყმა, ვინ იცის, შეძლებდა კი გამარჯვებას მეტად უნიათოდ მოთამაშე „ბარსა“. თორემ, რად უნდა თქმა, რომ ტურის საუკეთესო ფეხბურთელი **ანხელ დი მარია** (რეალი) იყო.

## ტურის მსხვერპლნი

**პედრო როდრიგესი** (ბარსელონა) - 10-15 დღე. **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი) - მუხლის ტრავმა (6 თვე).

როგორც ხედავთ, არც ამ ტურს ჩაუვლია სერიოზული ტრავმის გარეშე - „რეალთან“ შეცვალეს „ვილიარეალის“ იტალიელი ფორვარდი ჯუზეპე როსი. როგორც აღმოჩნდა მას მუხლის მყესები სერიოზულად დაუზიანებია და ოპერაციის შემდეგ მხოლოდ 6 თვეში შეძლებს თამაშს. დიდი დანაკლისია ისედაც კრიზისში მყოფი „წყალქვეშა ნავისთვის“, რომელსაც არც მეორე ფორვარდი, ბრაზილიელი **ნილმარი** ჰყავს ჯანმრთელი. და, ბუნებრივია, ეს დიდი დანაკლისია იტალიის ნაკრებისათვისაც.

## ტურის სტატისტიკა

27 გოლი ტურში (2,7 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრით დასრულდა, სტუმრებმა 3 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 63 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - არავის შეუსრულებია

დუბლი - **დანი გუისა** (ხეტაფე), **მანუ დელ მორალი** (სევილია), **იბრაჰიმა ბალდე** (ოსასუნა), **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაირო სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)



ლევანტეს თავკაცი ხუან იგნასიო მარტინესი

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **55 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **22 - სევილია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **12 - სევილია**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **20 - სარაგოსა**

ყველაზე მეტი კუთხური: **11 - ბილბაო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - გრანადა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **72% - ბარსელონა**

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. სიახლეთა ესტაფეტა

# ძიუდოს იუბილე და საკადრო ცვლილებები

## საგანმანათლებლო დღე სკოლაში

გუშინ ძიუდოს დამაარსებელ ძიგორო კანოს დაბადების დღე იყო, რასაც მთელი მსოფლიოს ძიუდოს სამყარო აღნიშნავს - 28 ოქტომბერი ძიუდოს საერთაშორისო დღედაა გამოცხადებული და ის საგანმანათლებლო აქციებით აღინიშნება ყველგან, სადაც კი სპორტის ეს სახეობაა განვითარებული. ღონისძიებას საქართველოს ძიუდოს ფედერაციაც შეუერთდა, რომელმაც გუშინ საჩვენებელი გაკვეთილი თბილისის I ექსპერიმენტულ სკოლაში ჩაატარა. ამავე მიზანს მოემსახურება დღეს და ხვალ გორში გასამართი კობა კურტანიძის ხსოვნის ტურნირიც.

I ექსპერიმენტულ სკოლას ფედერაციის ხელმძღვანელთა გარდა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** ესწრებოდა, ფედერაციას კი პრეზიდენტი **გიორგი ალექსიძე**, გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე**, ვიცე-პრეზიდენტები, ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელი **სოსო ლიპარტელიანი**, აღმასრულებელი მდივანი **ანზორ მატყოფლიშვილი**, აგრეთვე მწვრთნელები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორები **გიორგი ვაზაგაშვილი** და **გია თენაძე** წარმოადგენდნენ.

ეს სკოლა შეირჩა, როგორც სპორტის მხრივ ერთ-ერთი სამაგალითო, სადაც რამდენიმე სახეობაა განვითარებული, უახლოეს მომავალში კი მათ ძიუდოც შეემატება. საჩვენებელ გაკვეთილს ძირითადად სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები ესწრებოდნენ, ღია ვარჯიშები კი ძიუდოს სექციებიდან საგანგებოდ მიყვანილმა ბავშვებმა წარმოადგინეს. მოსწავლეებს თეორი-




ული კურსი თავად ძიგორო კანოს პიროვნების, ძიუდოს წარმოშობა-განვითარების, მისი არსის შესახებ ნუცუბიძემ წაუკითხა. როგორ წარმოიშვა იაპონელებში თავდაცვის მასობრივი, ყველასათვის, უპირველესად კი ღარიბი ფენებისთვის ხელმისაწვდომი ორთაბრძოლის სახეობის ჩამოყალიბების იდეა; როგორ მისცა საამისოდ კანოს ბიძგი თოვლისგან დრეკადობის პრინციპით გათავისუფლებულმა ალუბლის ტოტმა და როგორ ააგო მის მოძრაობაზე ძიუდოს ილეთები კანომ - შედარებით სუსტმა როგორ უნდა დაიცვას თავი უფრო ძლიერისგან, როგორ უნდა გაანეიტრალოს მისი ფიზიკური უპირატესობა და აჯობოს მოხერხებით - ამ თემებზე ნუცუბიძემ იმდენად ამომწურავად და საინტერესოდ ისაუბრა, ბავშვები კი არა, უფროსებიც სიამოვნებით უსმენდნენ. ნუცუბიძემ პატარებს ისიც განუმარტა, როგორ ითვალისწინებს ძიუდოს პრინციპი ტრავმების თავიდან აცილებას იმის მიუხედავად, რომ ბევრი ილეთი ვარდნის სახიფათო ამპლიტუდას შეიცავს, მერე კი მოზარდებს ძიუდოს სამოსი - კიმონო გააცნო თავისი შემადგენელი ნაწილებით. თუმცა მოსწავლეთა ყველაზე დიდი ინტერესი მაინც პრაქტიკულად შესრულებულმა ვარჯიშებმა გამოიწვია - თითოეულ გდებას მათი აღტაცებული შეძახილები მოსდევდა. შეხვედრის ბოლოს ბავშვები ძიუდოს სექციებში სავარჯიშოდაც მიიწვიეს და **გურამ რატიშვილის** მიერ სპორტის ამ სახეობის შესახებ გამოცემული წიგნებიც დაურიგეს საჩუქრად.

## ცვლილებები სამწვრთნელო შტაბში

გუშინვე, სკოლაში იმავე შეხვედრაზე მედიისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ამბავიც გაცხადდა - სამწვრთნელო შტაბში მოსახდენი ცვლილებები. კერძოდ, ჭაბუკთა ნაკრების აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი** ეროვნულ ნაკრებში ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურს** შეცვლის და ამიერიდან მის ნაცვლად ის დაეხმარება **პეტერ ზაიზენბახერს** გუნდის გაწვრთნაში, ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელობას კი ქალთა ძიუდოს მესაჭე **გია თენაძე** შეითავსებს. ეს გადაწყვეტილება ძიუდოს ფედერაციას ჯერ ოფიციალურად არ გაუხმაურებია - ამის გაკეთებას საგანგებოდ გასამართ პრესკონფერენციაზე აპირებს, თუმცა ამ გადაადგილებებს კულუარებში ყველა უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევს და ნუცუბიძემაც ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე სკოლაში თენაძე და ვაზაგაშვილი ახალი სტატუსით წარუდგინა საზოგადოებას. ქართულ ძიუდოში მოვლენები იმდენად დინამიკურად ვითარდება, არ გამოვრიცხავთ, რალაცები კიდევ შეიცვალოს, მაგრამ ამ ეტაპზე რეალობა ასეთია.

როგორც ამბობენ, ამ გადაადგილებათა მიზეზი ზვიადაურის ფაქტორი გახდა - მან რომ ვარჯიშები განაახლა, უკვე ვნერდით. მართალია, აბუ დაბიში წასვლის წინ თავად განმარტა, რომ მხოლოდ ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ვარჯიშობს, მაგრამ კულუარებში მანამდეც აქტიურად საუბრობდნენ, ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად რომ აპირებს ბრძოლას, და დღესაც იმავეს იმეორებენ. განვმარტავთ - ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ მის სურვილზე მოიპოვოს ლიცენზია, ხოლო რამდენად ხელეწიფება ეს, ამას დრო გამოაჩენს. სავარაუდოდ, ზვიადაურის დაბრუნების შესახებ ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ გაცხადდება, თუ თავად სპორტსმენი დარწმუნდება, რომ ძველ კონდიციებს აღიდგენს და საგზურისთვის ბრძოლა რეალურად შეეძლება. ცხადია, ეს რთული საქმე იქნება, რადგან დრო მის წინააღმდეგ მუშაობს - ძალიან ბევრიც გაუცდა და დღემდე არც სარეიტინგო ქულები გააჩნია, მაგრამ თეორიულად ეს არაა მოუგვარებელი პრობლემა. ამიტომ გადაწყვიტეს, შანსი პრაქტიკულადაც მისცენ სავარჯიშოდ. სამწვრთნელო შტაბში მის გამოთავისუფლებულ ადგილზეც ვაკანსია ამის შემდეგ გაჩნდა, თუმცა ზვიადაურის, როგორც მწვრთნელის მიმართ გარკვეული უკმაყოფილება სპორტის მმართველ წრეებშიც გაჩნდა - მას როგორც სპორტსმენობისას უჭირდა რეჟიმის დაცვა, ასევე იყო მწვრთნელობაშიცო. ზვიადაური როცა სამწვრთნელო სკამზე ჯდებოდა, მთელი არსებით ერთვებოდა ძიუდოში და უდავოდ სასარგებლო რჩევებით ეხმარებოდა ძიუდოისტებს. ამაზე პრეტენზია არავის აქვს, მაგრამ მიუღებელ ფაქტორთა შორის დაასახელეს არასპორტული რეჟიმი - ღამით გვიანობამდე ინტერნეტში ჩეთაობა და ამგვარები, რასაც ზაიზენბახერი შეგირდებს სავსებით სამართლიანად კატეგორიულად უკრძალავს.

ვერ გეტყვით, ფედერაციამ ვაზაგაშვილის კანდიდატურა რა კრიტერიუმით შეარჩია, მაგრამ ვფიქრობთ, აჯობებდა, ისევ ჭაბუკთა ნაკრებში დაეტოვებინათ და ზაიზენბახერის შემცვლელად სხვა მოეყვანათ. შესაძლოა, ვაზაგაშვილს ქართული ჭიდაობის და ჩოქბჯენში ასპარეზობის მიმართულებების გაძლიერება დაევალოს, რითაც სპორტსმენობაშიც გამოირჩეოდა და - მწვრთნელობაშიც. თუმცა ესეც რომ იყოს მიზეზი, მაინც გვერჩივნა, ისევ ჭაბუკებში დაეტოვებინათ - იმავე კომპონენტების ცოდნა ბავშვებსაც ხომ ჰაერივით სჭირდებათ და თან იქ უფრო ადვილია ამ ყველაფრის შესწავლა. საფუძველიც უფრო მყარი ექნებოდათ - პატარაობიდანვე ჩაყრილი. ამასთან, ვაზაგაშვილის მთელი სამწვრთნელო კარიერა - საქართველოშიც და უცხოეთშიც სწორედ მოზარდებთან მუშაობაში გაუტარებია, უფროსებში კი უფრო გამოუცდელია. თუმცა ჭაბუკებში მისი დატოვების მთავარ მიზეზად მაინც ის მიგვაჩნია, რომ იქ კარგადააწყო საქმე და შედეგის გარდა, ახლებური სტილის ჭიდაობა დანერგა - სწორედ ქართულ-ჩოქბჯენური ანუ ის, რაც ქართული ძიუდოს „აქილევსის ქუსლია". თან არსებობს ერთი მარტივი ჭეშმარიტება - როცა მწვრთნელი საქმეს თავს კარგად გაართმევს და სისტემას ააწყობს, მუშაობაც უნდა ვაცალოთ, თორემ ასეთი ხშირი ცვლილებები არაა გამართლებული. სწორედ ამიტომ გვერჩივნა მისი დატოვება ჭაბუკებში, თორემ არც იმის წინააღმდეგნი ვართ, უფროსებში თუ მიაღწევს წარმატებას და არც იმას ვამბობთ, თითქოს ახალ პოსტზე საქმეს თავს ვერ გაართმევენ ან ის, ან - თენაძე. ოღონდ თენაძესაც რომ ტვირთი გაუათმაგეს, ესეც ფაქტია - მას ქალთა სამივე ასაკობრივი ნაკრები აბარია, ახლა კი ბიჭებიც დაუმატეს. იქნებ ვინმემ თქვას, ქალებში განა რა ისეთი დონეა, ამდენი საქმე რომ ჰქონდესო, მაგრამ შედეგები რომ არ გვაქვს და ქალთა ძიუდო უფსკრულიდანაა ამოსათრევი, ზუსტად ამიტომაა იქ ზღვა სამუშაო ჩასატარებელი.

**ირაკლი თავაძე**

ოლიმპიზმი



# ოლიმპიური ჩემპიონების კედელი

გორის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩასთან მდებარე სკვერში საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი კედელი გაკეთდა. კედელზე გვერდიგვერდ ქართულ და ინგლისურ ენებზე ამოკვეთილია საქართველოს ყველა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი და გვარი, სახეობა, რომელშიც ოლიმპიური ოქრო მიიღო და მასპინძელი ქალაქი. ჩემპიონებს შორის ამ რეგიონის წარმომადგენელი ორია, ორივე ძიუდოისტი და ორივე **შოთა, ჩოჩიშვილი და ხაბარელი.** გორელები უახლოეს მომავალში კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე კიდევ ერთი მსგავსი კედლის გაკეთებას აპირებენ (ესკიზი უკვე არსებობს), რომელიც მხოლოდ აქაურ ოლიმპიურ მედალოსნებს მიეძღვნებათ. ესენი იქნებიან შოთა ჩოჩიშვილი (1972, ოქრო, 1976 ბრინჯაო), შოთა ხაბარელი (1980, ოქრო), **თემურ ხუბულური** (1980, ვერცხლი), **გიორგი თენაძე** (1988, ბრინჯაო), **გიორგი ვაზაგაშვილი** (2000, ბრინჯაო), **გიორგი გოგშელიძე** (2008, ბრინჯაო) და **ოთარ თუშიშვილი** (2008, ბრინჯაო).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
**დავით ასპანიძის** ფოტო

სამბო

# ბიჭებმა რეკორდისკენ გაუტიეს...

## პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ჩემპიონები გახდნენ

ვეტერან სამბისტთა მსოფლიოს წლევანდელი პირველობა საბერძნეთის ქალაქ ხალკიდიკში გაიმართა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ვეტერანებმა. ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თეიმურაზ გიორგაძემ** (62 კგ) და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ოთარ ყურაშვილმა** (+100 კგ). აღსანიშნავია, რომ გიორგაძემ მეხუთედ მოიპოვა ოქროს მედალი, ყურაშვილმა — მეცხრედ. თუ ასე გაგრძელდა, ეს „ბიჭები" მალე თავისებურ რეკორდსმენებად მოგვევლინებიან, თუ უკვე არ არიან.

ჩვენი ჩემპიონები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ვეტერანთა ამ ფორუმისათვის და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

საერთოდ, ასეთ ტურნირებში მონაწილეობა ცხოვრების ჯანსაღი წესის საუკეთესო პროპაგანდაა, რასაც ემატება ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა საერთაშორისო სარბიელზე.

9-13 ნოემბერს ვილნიუსში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატია. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს ჩემპიონატის წინ კარგი მაგალითი მისცა ფედერაციის თავკაცმა.

გაისად ვეტერან სამბისტთა მსოფლიოს პირველობა აფრიკაში, მაროკოში 15-18 ოქტომბერს გაიმართება.

**გაბრიელ ბარჯაძე**



თეიმურაზ გიორგაძე (მარცხნივ) და ოთარ ყურაშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ქართული სპორტი

უცხოური სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# თამამობა და დიდი არეკნი

**საქართველოს, გერმანიის, იტალიის, უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანისა და სომხეთის 23-წლამდელი ხმლით მოფარიკავეები იასპარეზებენ ევროპის თასის ეტაპზე, რომელსაც დღეს და ხვალ საკალათბურთო კლუბ „აკადემიას" სპორტული დარბაზი უმასპინძლებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფარიკაობის ევროპის კონფედერაციის ტექნიკური დირექტორი, თასის გათამაშების ეტაპის მთავარი მსაჯი იულიუს კრალიკი (სლოვაკეთი), საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილე გია გალდავა, ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური, მსოფლიოს ჩემპიონი იური ოსიპოვი, ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი არჩილ გოგელია და გენერალური მდივანი დავით სახვაძე ესწრებოდნენ.**

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ თასზე მხოლოდ ვაჟები იასპარეზებენ პირად და გუნდურ (3-3 წევრი) შეჯიბრებაში. საქართველოს სპორტულ ღირსებას ახალგაზრდებისა და კადეტთა ნაკრებები, ასევე, ქუთაისელთა გუნდი დაიცავს.

**იულიუს კრალიკი:** „ჩვენმა კონფედერეციამ ევროპის თასის ეტაპებს სამი წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი. გადავწყვიტეთ, იგი რეგიონების მიხედვით ჩავატაროთ. არ არის სასურველი, მთელმა კონტინენტმა ერთ ქალაქში მოიყაროს თავი, ამას ევროპის პირველობაც კარგად ართმევს თავს. 23-წლამდელთა ტურნირს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რადგან ეს არის გარდამავალი ასაკი. ბევრი ახალგაზრდა მოფარიკავე, რომელიც თანატოლებში გამოირჩევა, უფროსებში საკუთარ ადგილს ვერ პოულობს, ადაპტაცია უჭირს და, არცთუ იშვიათად, დიდი სპორტისთვის იკარგება. ეს რომ არ მოხდეს, დავაწესეთ 23-წლამდელთა რამდენიმე შეჯიბრება. კარგია, რომ საქართველოს ფედერაციამ გამოიჩინა ინიციატივა თასის გათამაშების სამასპინძლოდ. ჩვენც აქტიურად დავუჭირეთ მხარი. გვახსოვს გასულ საუკუნეში ქართველ მოფარიკავეთა წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე. ახლა თქვენი ახალგაზრდა მუშკეტერები წლიდან წლამდე სულ უფრო თამამ განაცხადს აკეთებენ დიდ სპორტში. წლეულს მოხმალავე მიხეილ მარდალეიშვილმა კადეტთა მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა, ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო ფარიკაობის სამყაროსთვის, მაგრამ ქართველთა უწინდელ ტრადიციებს თუ გავითვალისწინებთ, მოულოდნელი არაფერი ყოფილა.



მარცხნიდან: გია გალდავა, იულიუს კრალიკი, არჩილ გოგელია

მეც თქვენსავით მცირე ერის წარმომადგენელი ვარ, საქართველოს და სლოვაკეთს ბევრი რამ აქვს საერთო. ისევე, როგორც დიდ ქვეყნებს, ეკონომიკური პრობლემები ჩვენც ბევრ რამეში გვიშლის ხელს, თუმცა არ გვაკლია სწრაფვა, ჟინი და მონდომება, რამაც შეუძლებელია, გამარჯვებამდე არ მიგვიყვანოს. კატანიის (იტალია) მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მე ვნახე თქვენი ახალგაზრდა სპორტსმენები, თუ როგორი თავდადებით იბრძოდნენ უფროს და ბევრად გამოცდილ ათლეტებთან. დარწმუნებული ვარ, მათ თუ სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, უპირველესად, სახელმწიფოსგან, წარმატებები აუცილებლად ექნებათ.

თქვენთვის, ალბათ, უცხო არ არის, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: ფარიკაობა და, საერთოდ, სპორტი პრევენციაა, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდობა ქუჩას მოწყვიტოს, ცხოვრების ჯანსაღი წესი დაამკვიდროს, ამიტომ მისთვის გაღებული თითოეული ევრო ხვალ-ზეგ ათმაგად დაგვიბრუნდება. ეს კი დიდ სპორტში წარმატების საწინდარიცაა".

**არჩილ გოგელია:** „ევროპის თასის ეტაპის თბილისში ჩატარება ქართული ფარიკაობისთვის სტიმულია, რათა მან თამამად გაიკაფოს გზა საერთაშორისო სარბიელისკენ. გარკვეული დროის განმავლობაში ჩავარდნა გვქონდა, ახლა კი ჩვენი სახეობის აღორძინება იწყება, რისი დასტურიც ახალგაზრდების, განსაკუთრებით მიხეილ მარდალეიშვილსა და სანდრო ბაზაძის წარმატებებია მნიშვნელოვან შეჯიბრებებში. თბილისური ტურნირი დიდი არეკნი იქნება პრობლემათა გადასალახავად და ფარიკაობის სამყაროში კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად. თუ როგორ ვუმასპინძლებთ ამ ასპარეზობას, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული, მსოფლიოს თასის ეტაპი ჩვენთან ტრადიციული გახდება თუ არა. საამისოდ კი ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. გვერდით გვიდგას სპორტის სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ამ შეჯიბრებისთვის სპორტის სამინისტრომ ჩვენს ფედერაციას 47 ათასი ლარის ინვენტარი, მათ შორის — ალუმინის 4 საფარიკაო ბილიკი და 3 ფიქსატორი (ფარიკაობის აპარატი) შეგვიძინა. ღონისძიებისთვის აუცილებელი თანხის 80 პროცენტი გაიღო. მადლობის მეტი რა გვეთქმის".

**გია გალდავა:** „ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში ფარიკაობა ნელ-ნელა უწინდელ ტრადიციებს იბრუნებს. ასათიანის, აფციაურის, კოსტავას, ოსიპოვის სამშობლოში შეუძლებელია, ფარიკაობა წარმატებული სპორტის სახეობა არ იყოს. ეროვნულმა ფედერაციამ სწორი გზა აირჩია, უმთავრესი აქცენტი ახალგაზრდებზე რომ გადაიტანა. საერთაშორისო და ევროპის ფედერაციებიც მხარს უჭერენ ამგვარ მიმართულებას, რაც თბილისში კონტინენტის თასის ეტაპის ჩატარებითაც გამოიხატა. ასეთი დონის შეჯიბრება ფარიკაობაში ჩვენთან არასდროს გამართულა, ამიტომ ქართველი სპორტსმენებისთვის ეს დიდი სტიმული უნდა გახდეს.

ქართველ მოფარიკავეებს წლების განმავლობაში საკუთარი ჭერი არ ჰქონდათ — ხან სად იყვნენ შეხიზნული და ხან — სად. სულ მალე კი მათ ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი დარბაზი, სადაც არა მარტო ვარჯიშები, არამედ, ნებისმიერი დონის შეჯიბრებები გაიმართება. სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის თანადგომით ბოლო დროს ჩვენმა მოფარიკავეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. იმედია, ისინი თბილისის ტურნირზეც ისახელებენ თავს ევროპის ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში, და ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი უწინდელი ტრადიციების დასაბრუნებლად. სამომავლოდ უკეთეს შედეგებს ველით, საამისოდ პოტენციალი ნამდვილად გვაქვს".

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტო**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო**

ოლიმპიური ატრიბუტიკა




**1896 წლის I ოლიმპიური თამაშების აფიშა.**



**1896 წლის I ოლიმპიური თამაშების მედალი.**

თარიღი. 29-ოქტომბერი - 4 ნოემბერი

**29. X. 1970 წ.** დაიბადა **ვან დერ სარი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**29. X. 1960 წ.** ჩარტერული რეისით გადაადგილებისას ავიაკატასტროფაში დაიღუპა ამერიკულ ფეხბურთში კალიფორნიის ნაკრების 16 სპორტსმენი.

**30. X. 1960 წ.** დაიბადა **მარადონა** — ფეხბურთი (არგენტინა).

**30. X. 2007 წ.** ბრაზილია გამოცხადდა ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად.

**30. X. 1964 წ.** დაიბადა **მარკო ვან ბასტენი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**30. X. 1974 წ.** პროფესიულ კრივში **მუჰამედ ალიმ** სუპერმძიმე წონაში **ჯორჯ ფორმენი** ნოკაუტით მერვე რაუნდში დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**01. 1894 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „კარლსრუეე" (გერმანია).

**02. 1939 წ.** დაიბადა **ენრიკე ალბერტოზი** — ფეხბურთი, მეკარე (იტალია).

**02. 1924 წ.** შეიქმნა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია.

**03. 1945 წ.** დაიბადა **ჰერდ მიულერი** — ფეხბურთი (გერმანია).

**03. 1962 წ.** ნბა-ს შედეგიანობის რეკორდი დაამყარა **უოლტ ჩემბერლენმა** — 72 ქულა მიითვალა „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩში.

**04. 1972 წ.** დაიბადა **ლუიშ ფიგუ** — ფეხბურთი. პორტუგალია.

**შენიშვნა.** ქართულ სპორტთან დაკავშირებული თარიღები ქვეყნდება „ქართული სპორტის ქრონიკებში" ხუთშაბათობით.

ვინ რა თქვა..

„ჭეშმარიტ სპორტსმენად ვერ ჩაითვლება, ვინც ასპარეზობის ჟამს ენერგიას ზოგავს. ეს ისეთი შემპარავი ბანგია, რომელიც მასავე გაანბილებს ყველაზე გადამწყვეტ შერკინებაში.

**როკი მარჩიანო,**
ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე.

სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# ნეტბურთი

**ნეტბურთი** კალათბურთისგან წარმოქმნილი ქალთა თამაშია. ყველაზე მეტად გავრცელებულია ინგლისში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და უელსში. თამაშობენ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. საერთაშორისო ფედერაციას 39 ქვეყანა აერთიანებს. ნეტბურთის დაბადების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1895 წელი, როდესაც ამერიკელმა ექიმმა **ტოულზმა,** ლონდონის ერთ კოლეჯში კალათბურთის წესები დანერგა. მან გამოიყენა რამდენიმე ისეთი წესიც, რომლებიც საკუთრივ კალათბურთსაც აღარ შემორჩა და ამით ხელი შეუწყო ახალი სახეობის განვითარებას.

სამ ტოლ ნაწილად დაყოფილი ნეტბურთის მოედანი სიგრძით 30,5 მეტრია, სიგანით კი — 15,25. თავსა და ბოლოში, კალათების წინ შემოხაზულია 4,9-მეტრიანი საჯარიმო ნახევარწრე. ძელი, რომელზეც კალათს ამაგრებენ, სიმაღლით 3,05 მეტრია, ხოლო კალათის დიამეტრი — 38 სმ. არ არსებობს ფარი, კალათი უშუალოდ ძელზე კი არ არის მიმაგრებული, არამედ 15 სმ-ის სიგრძის შვერილზე. ბურთის დიამეტრია 69-71 სმ, წონა — 400-450 გრამი. თითოეულ გუნდში 7-7 მოთამაშეა. მათგან ერთი ბომბარდირია და მეტოქის ფარის მესამედში დგას. მეორე მოთამაშეს, ანუ თავდამსხმელს, უფლება აქვს იმოძრაოს შუა და მეტოქის ფარის მესამედებში. მესამე მოთამაშე გარემარბია. ისიც თავდამსხმელისთვის ნებადართულ ზონაში მოქმედებს, ოღონდ ფარისწინა საჯარიმო მოედანზე ვერ შევა. ცენტრალური მოთამაშე მთელ მოედანზე მოძრაობს, გარდა საჯარიმო ზონისა. მცველი და განაპირა მცველი თავისი ფარისა და შუა მესამედების საზღვრებში მოქმედებენ, მაგრამ განაპირა მცველს თავის საჯარიმოში შესვლის უფლება არა აქვს. გოლკიპერი თავისი ფარის მესამედს ვერ დატოვებს. როდესაც ესა თუ ის მოთამაშე თავის ზონას გასცდება, ინიშნება ოფსაიდი, ანუ თავისუფალი ტყორცნა. თუ მეტოქეები ერთდროულად ხვდებიან ოფსაიდში, მაშინ თამაშგარე არ აღინიშნება. ბურთით სირბილი ან დრიბლინგი აკრძალულია. მოთამაშე, რომელიც ბურთს მიიღებს, 3 წამი ეძლევა, ბურთის მიღება და გადაწოდება ნებადართულია დგომიდან ან ნახტომით. ბურთის კალათში ტყორცნამდე გუნდმა ორი პასი მაინც უნდა გაითამაშოს, ბურთის ჩაგდების უფლება მხოლოდ თავდამსხმელს და ბომბარდირს აქვთ. აკრძალულია ძალისმიერი ორთაბრძოლა.




პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ორთაბრძოლა პროფესიულ რინგზე **კასიუს კლეიმ (მუჰამედ ალი)** ჩაატარა 1960 წლის 29 ოქტომბერს. მომავალმა მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეტოქე ნოკაუტით მეექვსე რაუნდში დაამარცხა.

■ ■ ■

**პირველმა** ველოსიპედით მსოფლიოს შემოუარა **ტევენს სტევენსმა** 1887 წელს.

■ ■ ■

**პირველად** ოფიციალური შეჯიბრება ცხენოსნობაში „მწვანე კონტინენტზე" — ავსტრალიაში ჩატარდა 1838 წლის 1 იანვარს ქალაქ ადელაიდაში.

ვიქტორინა

**1. რომელ წელს დაასახელა პელე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ?**

ა — 1998 წელს
ბ — 2000 წელს
გ — 2005 წელს

**2. ცნობილია, რომ თავის დროზე ფეხბურთის სამშობლოდ აღიარებულ ინგლისში ქალთა ფეხბურთი აკრძალეს. რომელ წელს?**

ა — 1898 წელს
ბ — 1911 წელს
გ — 1921 წელს

**3. აშშ-ი რომელ წელს და სად ჩატარდა პირველი საკალათბურთო შეჯიბრება კოლეჯებს შორის?**

ა — 1894 წელს ჩიკაგოში
ბ — 1898 წელს კალიფორნიაში
გ — 1904 წელს ლოს-ანჯელესში

**4. 1973 წელს ერთ-ერთი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში ფრე გაუქმდა. ასეთ შემთხვევაში ინიშნებოდა პენალტების სერია. გამარჯვებულს 1, დამარცხებულს 0 ქულა ეწერებოდა. რომელ ქვეყანაში?**

ა — გერმანიაში
ბ — ესპანეთში
გ — სსრ კავშირში

**5. კრივში სუპერმძიმე წონით კატეგორიაშია ოლიმპიური ჩემპიონი და პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი 1981 წელს გაძარცვეს და ნადავლს ყაჩაღებმა მისი ოქროს კბილებიც მიაყოლეს. ვინ იყო ეს მოკრივე?**

ა — სპინქსი
ბ — ჰოლიფილდი
გ — ტაისონი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ა

სპორტის უცნაური სახეობები

## ყველაზე ნადირობა

ეს არის ალბათ ყველაზე მარტივი თამაში, სადაც ერთი წესია მხოლოდ — გამოდევნებით ყველის დაწევა და დაჭერა, რომელსაც მთიდან ან მაღლობიდან აგორებენ. მოთამაშეები ყველზე გამოდევნებისას ხანდახან 90-100 კმ სიჩქარესაც ანვითარებენ. 1997 წელს, როდესაც ყველმა „წინდაუხედავად" მოუხვია დამკვირებლებისკენ და ერთ-ერთი მოთამაშე მსაჯს შეასკდა, ამ მოთამაშის სიჩქარე იმ მომენტისთვის 112 კმ იყო, რაც რეკორდად დაფიქსირდა.

## ჭადრაკი და კრივი



მსოფლიოს კრივისა და ჭადრაკის ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს ჩემპიონატებს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა კრივი და ჭადრაკი. ასპარეზობა 11-რაუნდიანია. მეტოქეები შჯიბრებას იწყებენ 4-წუთიანი ჭადრაკის რაუნდით და აგრძელებენ 2-წუთიანი კრივით. ამის შემდეგ რიგითობა გრძელდება იმავე პრინციპით — 11 რაუნდი, მაგრამ ასპარეზობა შეწყდება, თუ რომელიმე მოთამაშე ნოკაუტში ჩავარდება ან ჭადრაკის დაფასთან დამარცხდება..

მოგვაწოდა
**ლიკა ამირაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ თორნიკე შენგელიასთან

# კინაღამ სკამი გავტეხე

**ეს ბიჭი NBA-ში მოხვდება, - მსგავსი ფრაზა არაერთ ქართველ მწვრთნელს უთქვამს. რაც უნდა დიდი პერსპექტივისა იყოს ახალგაზრდა, მასზე ასე თამამად ლაპარაკი გამართლებულად არ მიმაჩნია - NBA ხომ საკალათბურთო სამოთხეა, სადაც ერთეულები თუ ხვდებიან. იქ თამაშობ ბრაიანტის, პარკერის, ნოვიცკის, კირილენკოს წინააღმდეგ...**



დღეს ამერიკული საკალათბურთო ბორბალი უკუღმა დატრიალდა და NBA-ში წასვლა აუცილებელი არ არის **კირილენკოსთან, ფაჩულიასთან, პარკერთან, ილიასოვასთან** დასაჭიდებლად - ლოკაუტის გამო ევროპელი ვარსკვლავები ძველ კონტინენტს დაუბრუნდნენ და ძირითადად ევროლიგის კლუბებში გადანაწილდნენ.

ქართველთათვის, საბედნიეროდ, NBA-ს ლოკაუტს ევროლიგაზე ქართული ლეგიონის ზრდა დაემთხვა და ჩვენი ნაკრების წევრებს საშუალება აქვთ ვარსკვლავებთან ჭიდილში გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები. **თორნიკე შენგელიას** „შარლერუა" ევროლიგაზე შესარჩევი ტურიდან მოხვდა, ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი მადრიდის „რეალთან" ითამაშა, მეორე - სტამბოლის „ეფესთან".

„შარლერუა" ესპანელებთან შინ დამარცხდა, ხოლო თურქეთში ტურის სენსაციით გამოირჩინა თავი - 80:79.

ქართველი ორივე შეხვედრაში სასტარტო ხუთეულში იყო, მადრიდთან 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, ხოლო „ეფესთან" - 8-8 ქულა-მოხსნა (5 ფოლის გამო გუნდს ბოლო წუთზე ვერ დაეხმარა). ბელგიური კლუბის საიტზე თურქული შეხვედრის MVP-ად სწორედ შენგელიაა დასახელებული, რადგან მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო - 16.

ევროლიგაზე ყველა გუნდში ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და რატომ იყო „შარლერუას" „ეფესთან" გამარჯვება სენსაცია? - იკითხავს მავანი. აი, რატომ: **ვლადო ილიევსკი, ტერენს კინსი, ქერიმ თუნჩერი, ესტებან ბატისტა, საშა ვუიაჩიჩი, დუშკო სავანოვიჩი, სტანკო ბარაჩი, ერსან ილიასოვა...** ეს გვარები კალათბურთის გულშემატკივარს ბევრს უნდა ეუბნებოდეს. არაერთ მათგანს უთამაშია NBA-ში.

„შარლერუას" შემადგენლობიდან კი სამად სამი კალათბურთელია, ვისაც ევროლიგაზე აქამდე სხვა კლუბის შემადგენლობაში უასპარეზია - დემონდ მალეს, ჯასტინ ჰემილტონსა და ჟირი ველშს, რომელსაც NBA აქვს მოვლილი. დანარჩენები ნელ-ნელა აგროვებენ საევროლიგო გამოცდილებას. მათ შორის 20 წლის მე-20 ნომერი **თორნიკე შენგელია.**

სწორედ მას ვკითხეთ, რა ხერხი გამოიყენა მთავარმა მწვრთნელმა „ეფესის" დასამარცხებლად?

- წარმატებას ერთი მიზეზი ჰქონდა - გუნდური თამაში. ამ კომპონენტში მეტოქეს ვაჯობეთ და თავიდანვე მოვიპოვეთ უპირატესობა. ეს ანგარიშზეც აისახა. იყო ეპიზოდები, როცა შეტევაში გაგვიჭირდა, თუმცა მანამდე მოგროვილი ქულები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეტოქისთვის გადასწრების უფლება არ მიგვეცა.



**- ეფესელებმა ბოლოს მაინც მოახერხეს დაწევა...**

- მეოთხე პერიოდში სიტუაცია მეტად დაიძაბა, ამას მატჩის რამდენიმე წუთით შეჩერებაც მოჰყვა: სირენამდე დაახლოებით 38 წამი რჩებოდა, როცა ჰემილტონმა ორქულიანი ჩააგდო. ტაბლოზე ეს არ აისახა - ბურთი კალათში რომ ჩაეშვა, 24 წამი გასული იყოო. არადა, ასე არ ყოფილა. სწორედ ამის გამორკვევას დასჭირდა დიდი დრო და ჩვენც ლოდინმა მოგვიწია. საბოლოოდ ყველაფერი სამართლიანად გადაწყდა, 2 ქულა ჩაგვითვალეს და 78:76 დავწინაურდით. დარჩენილ დროში კიდევ ორი საჯარიმო გამოვიყენეთ და ბოლო წამზე კინსის მიერ ჩვენს კალათში ჩაგდებულმა სამქულიანმა შეხვედრის ბედზე გავლენა ველარ მოახდინა, მინიმალური სხვაობით გვიმარჯვეთ.

**- მეხუთე ჯარიმა რომელ წუთზე მიიღე?**

- საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე. მწვრთნელს გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლო წუთებში მოედანზე დავეტოვებინე, ამიტომ მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე შემიყვანა. ჩვენს ორივე ცენტრს 5-5 ფოლი ჰქონდათ მიღებული (ანდრე რედიკსა და კრისტოფ ბეგინს), ამიტომ წინა ხაზში მე და კალებ გრინი ვიდექით, თუმცა არ დამცალდა - მეც მეხუთედ დავჯარიმდი.

**- ასეთ დროს სკამზე დაჯდომა ძნელი საქმეა...**

- ვერ წარმოიდგენთ, როგორი ემოციებით ვადევნებდით თვალს ბოლო წუთს, კინალამ სკამი დავამტვრიე. საბედნიეროდ, გადამწყვეტ მომენტში ჩვენმა გუნდმა უკეთესად ითამაშა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- „ეფესის" წინ კიდევ უფრო რთული მატჩი გქონდათ - ბელგიაში მადრიდის „რეალთან" დამარცხდით.**

- მადრიდელებმა კარგად ითამაშეს, მათი განეიტრალება ვერ მოვახერხეთ - ფარქვეშ გადავიტანდით ყურადღებას, პერიმეტრიდან აგროვებდნენ ქულებს, პერიმეტრს გადავკეტავდით - სამწამიანი ზონიდან აგდებდნენ.

**- იმ შეხვედრაში ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დაგაკლდა (11 ქულა, 9 მოხსნა)...**

- თამაშის შემდეგ ოქმში რომ ჩავიხედე, გული კი დამწყდა, ერთიც გადავმხტარიყავი-მეთქი, მაგრამ მატჩის მსვლელობისას სტატისტიკაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ყველგან ბოლომდე ვიბრძოდი. საერთოდ, საკუთარ სტატისტიკაზე მაღლა გუნდის წარმატებას ვაყენებ.

**- მაინც რით შეიძლება „შარლერუა" ევროლიგის სხვა გუნდებისგან გამოვარჩიოთ?**

- დასაწყისშიც ვახსენე გუნდური თამაში. ეს ერთი ხელის მოსმით არ მოსულა - შემადგენლობა წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და ვფიქრობ ევროლიგაზე ერთ-ერთი ყველაზე შეკრული გუნდი ჩვენ გვყავს. მწვრთნელი ამბობს: თუ მოწინააღმდეგემ თავისი საუკეთესო თამაში არ უჩვენა, ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლიაო.

**- გუნდის ლიდერებიც გაგვაცანი.**

- ველში გამოცდილი კალათბურთელია. მას და მალეტს ესპანეთის ჩემპიონატში არაერთი სეზონი ჩაუტარებიათ. ჰემილტონი და კალებ გრინი საიმედო და სტაბილური მოთამაშეები არიან. სროლაც არ დაეწუნებათ.

**- ბოლოს ბელგიის ჩემპიონატზე გკითხავ. ტურნირის ფავორიტები ხართ, თუმცა ბოლო ტურში შინ „აალტსართან" დამარცხდით. რა იყო ამის მიზეზი?**

- კონკრეტული მიზეზის დასახელება მიჭირს, თუმცა მატჩის ბოლოს ერთმა ჩავარდნამ ჩვენი მარცხი გამოიწვია. საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში წინ ვიყავით, სხვაობა 10 ქულასაც სცდებოდა და ლოგიკურად, უპირატესობა ბოლომდე უნდა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ ერთ ეპიზოდში შეტევაში გაგვიჭირდა, მეტოქემ კი ჩვენი კალათისკენ გზა გაიკვლია გაგვასწრო. სამწუხაროდ, ეს ეპიზოდი ბოლო წუთებს დაემთხვა და ბელგიის პირველობაზე პირველი მარცხი ვიწვნიეთ.

ქართველი აშშ-ში



ლევან შენგელია

# ტრავმის შემდეგ...

მართალია, NBA-ს ლოკაუტის გამო არაერთმა კალათბურთელმა ამერიკიდან გზა ევროპისკენ აიღო, მაგრამ არის არაერთი ქართველი მოთამაშე, რომელიც ოკეანის გაღმა ემზადება ახალი სეზონისთვის. სადღეისოდ კოლეჯების უმაღლეს დივიზიონში რამდენიმე ჩვენიანი თამაშობს, რომელთაგან დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრ **ლევან შენგელიაზე** მოგახსენებთ.

მისი ამბავი ერთი-ორად საინტერესო იმიტომაცაა, რომ 2010-11 წლების სეზონის დასაწყისში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მთელი სეზონი გაუცდა. ახალი სეზონის წინ კი ლევანმა ტრავმა სრულად მოიშუშა და მომავალი ჩემპიონატისთვის აქტიურად ემზადება. იგი „როდ აილენდის" ღირსებას დაიცავს. ამ გუნდმა შარშან „ატლანტიკ 10-ის" კონფერენციაში მეექვსე ადგილი დაიკავა (9 მოგება 7 წაგება). წლეულს შედეგის გაუმჯობესებისთვის იბრძოლებს.

ჩვენთვის გუნდის შედეგთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ტრავმის შემდეგ შენგელიამ ფორმა სრულად აღიდგინოს, რაშიც კოლეჯების ლიგა დაეხმარება, რომელიც ნოემბრის დასაწყისში დაიწყება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ლევანი 2010 წელს საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





● ლეგიონერები

# გალტიემ ძირითადში შვიდი შეცვალა



მარცხნიდან: მამუკა გორგოძე, გოდერძი შველიძე და გიორგი ჟღენტი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-9 ტურის წინ საპლეიოფო ექვსეულში ხუთი ადგილი ქართველ მორაგბეთა კლუბებს უკავიათ. ჩვენებურთა გუნდებს, „ლიონისა“ და „მონპელიეს“ გარდა, სტარტი ყველას წარმატებული ჰქონდათ. თუმცა ეს მეტწილად, შესაძლოა, იმით იყო განპირობებული, რომ წამყვანი კლუბების მორაგბეთა უმრავლესობა ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშებაში ასპარეზობდა.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება და სატურნირო ცხრილს სათავეში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ უდგას. „ვულკანებს“ ახალ ზელანდიაში საკმაოდ დიდი რაოდენობის მორაგბე ჰყავდა მივლენილი სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებებში, მაგრამ გუნდის სტრუქტურა იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, თამაშის ხარისხს ეს არ დასტყობია.

„კლერმონმა“ რვა თამაშიდან შვიდი მოიგო და მხოლოდ ერთხელ წააგო სტუმრად „ტულუზთან“ – 9:22. მე-9 ტურში ზირაქაშვილი და კომპანია შინ ბასკურ „ბიარიცს“ დაუპირისპირდება, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად 10 ქულით ბოლო ადგილზეა. ბიარიცელებმა მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს და ორი ფრედ დაასრულეს.

მათი ასეთი წარუმატებლობა, შესაძლოა, ლიდერების **დიმიტრი იაშვილის, ფაბიენ ბარსელას, დამიენ ტრაისა** და **იმანოლ არინორდოკის** არყოფნითაც აიხსნას, თუმცა, სავარაუდოდ, ბასკურ კლუბს სხვა, უფრო სერიოზული პრობლემა უნდა აწუხებდეს. ასეა თუ არა, მომდევნო რამდენიმე ტურში გამოჩნდება. იაშვილი, ბარსელა, ტრაი და არინორდოკი უკვე დაბრუნდნენ და წესით გუნდის თამაშის ხარისხიც უნდა გამოსწორდეს.

„ვულკანები“ გასაჭირში მყოფ მეტოქეს, ცხადია, არაფერს დაუთმობენ, მეტიც, ყველაფერს ილონებენ „ბიარიცს“ პრემიალური ქულა აართვან და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცონ.

Planetrugby-ს პროგნოზით, „კლერმონი“ ცხრა ქულის სხვაობით მოიგებს.

„კლერმონს“ კვალში უდგას **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელსაც „ვულკანების“ იდენტური შედეგი აქვს. კასტრელები ბოლო სამი სეზონია შესანიშნავად ასპარეზობენ და მუდმივად პლეი ოფში იბრძვიან.

გუნდმა წლეულს, სეზონის დასაწყისშივე დაამტკიცა, რომ მისი ამბიციები საკმაოდ საფუძვლიანია და დროა ჩემპიონის ტიტულს შეუტიოს. კასტრელები, რომლებიც საფრანგეთის სამგზის ჩემპიონები არიან, ამ ტიტულს ბოლოს 1993 წელს ფლობდნენ.

მე-9 ტურში „კასტრი“ პარიზულ „მეტრო რასინგს“ უმასპინძლებს, რომელიც 17 ქულით მე-7 ადგილზეა. პარიზელები მცდელობას არ აკლებენ, ლიდერებში დაიმკვიდრონ ადგილი, მაგრამ ეს აქამდე არ გამოსდიოდათ, რადგან ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე მივლენილი წამყვანი მორაგბეები აკლდათ.

„კასტრი“ შინ დაუმარცხებელია და, როგორც Planetrugby ვარაუდობს, მინიმუმ შვიდი ქულის სხვაობით გაიმარჯვებს. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორისაა.

24 ქულა დაუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“, რომელმაც რვიდან ხუთი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ორ მატჩში დამარცხდა. ტულონელების, განსაკუთრებით კი მათი მულტიმილიონერი პრეზიდენტის, **მურად ბურჯელალის** დიდი ამბიციები საყოველთაოდ ცნობილია. შარშანდელ სეზონში „ტულონი“ პლეი ოფის მიღმა დარჩა. წლეულს, როგორც ჩანს, გუნდი უკეთ ათამაშდა. ახალი ზელანდიიდან წამყვანი მოთამაშეებიც დაუბრუნდა და, გამორიცხული არ არის, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უმთავრესი ფავორიტი გახდეს.

მე-9 ტურში „ტულონი“ შინ ეთამაშება **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინის** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს“, რომელიც წლეულს ასევე კარგად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში 18 ქულით მე-6 ადგილზეა. ბრიველები შარშან ელიტურ დივიზიონში დარჩენისთვის იბრძოდნენ, წლეულს კი ბოლო სამ ტურში ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს, რის შედეგადაც ლიდერთა მარაქაში გაერივნენ.

აღსანიშნავია, რომ წლეულს „ბრივში“ ჩაირიცხა ქართველი შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი**, რომელიც გუნდს მალევე შეეწყო. ბრიველები, ცხადია, შეეცდებიან, წაუგებელი სერია ტულონშიც განაგრძონ, მაგრამ ძალიან გაუჭირდებათ.

Planetrugby-ს მიაჩნია, რომ „ტულონი“ წლეულს ბევრად უკეთესი ხარისხის რაგბის თამაშობს და მინიმუმ 10 ქულით მოიგებს.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი“, რომელიც 20 ქულით მე-5 ადგილზეა შინ დაუპირისპირდება **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს“.

აჟენელები შარშან დივიზიონიდან გავარდნას ბოლო ტურებში გადაურჩნენ. წლევანდელ სეზონში კი ამ გუნდს ველარ იცნობთ. მწყობრი და მძლავრი თამაშის წყალობით, შეყლაშვილი და კომპანია პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვიან.

შარშანდელთან შედარებით უჩვეულოდ ცუდად აქვს საქმე „მონპელიეს“. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ გუნდის 12 მორაგბე სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში მსოფლიოს თასზე ასპარეზობდა. გუნდს ახლახან დაუბრუნდნენ საფრანგეთის ნაკრების წევრები, გუნდის კაპიტანი **ფულენსე უოდრაგო** და **ფრანსუა ტრინ-დუკი.**

მონპელიელთა თავკაცმა **ფაბიენ გალტიემ** წინა ტურისგან განსხვავებით ძირითად შემადგენლობაში შვიდი შეცვლა განახორციელა. უკანა ხაზსა და შერკინებაში მან არგენტინელები **ლუკას ამოროსინო, ბუსტოს მოიანო, ხუან ფერნანდესი, ავგუსტინ კრევი** და **მარტინ ბუსტოსი** დააყენა.

კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან **მამუკა გორგოძე** და **გიორგი ჟღენტი. გოდერძი შველიძე** კი გუნდის შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა, ის თადარიგში იქნება.

Planetrugby-ს პროგნოზით, უმძიმეს ბრძოლაში „აჟენი“ მინიმუმ სამი ქულის სხვაობით მოიგებს.

გურამ კავთიძისა **და ტარიელ რატიანიძის „ლიონის“ გასვლითი შეხვედრა „ბორდოში“, ლიონელთა თხოვნით გაიდო.**

**IX ტური**

კასტრი-მეტრო რასინგი, ბაიონი-პერპინიანი, ბორდო-ლიონი, კლერმონი-ბიარიცი, ტულონი-ბრივი, ტულუზი-სტად ფრანსე, აჟენი-მონპელიე.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 30 ქულა, 2. კასტრი - 30, 3. ტულუზი - 28, 4. ტულონი - 24, 5. აჟენი - 20, 6. ბრივი - 18, 7. მეტრო რასინგი - 17, 8. პერპინიანი - 17, 9. სტად ფრანსე - 15, 10. მონპელიე - 13, 11. ბორდო - 13, 12. ლიონი - 12, 13. ბაიონი - 11. 14. ბიარიცი - 10.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით დავით ქუბრიაშვილი

● ევროპის ჩემპიონატი



# წინ ექვსი ერისკენ

დღეს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში მასპინძელთა გუნდს დაუპირისპირდება. უმცროსი „ბორჯღალოსნების“ მიზანი ამ შეჯიბრებაში გამარჯვება და მომავალ წელს ექვსი ერის ქვეყნების გუნდებთან ასპარეზობაა.

აღსანიშნავია, რომ ამის უფლებას ბუქარესტის შეჯიბრებაში გამოვლენილი ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს. რუმინელთა გარდა ჩვენების მეტოქეები იქნებიან ბელგიისა და პორტუგალიის ნაკრებები.

ტურნირი ერთ წრედ ჩატარდება. ქართველი მორაგბეები ბელგიის ნაკრებს 1 ნოემბერს დაუპირისპირდებიან, პორტუგალიას კი სამი დღის შემდეგ.

**საქართველოს ნაკრები**

**რამაზ მაზმიშვილი, საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე, ბადრი ალხაზიშვილი, უჩა გურგენიძე, ილია მელაძე (ყველა-აკადემია), ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ალექსანდრე ცისკარიშვილი, გიორგი აფციაური (ორივე-თიბისი), ნიკა ამაშუკელი, მიხეილ მასხარაშვილი, შოთა თევზაძე, ონისე მოგელაშვილი (ოთხივე-ჯიქები), ზაურ ხარებავა (რაინდები), საბა ჩიხლაძე, ლაშა ლაშხია (ორივე-ლელო), შალვა შაშიაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ფრუიძე (სამივე-აია), გიორგი მარგველანი, ვახტანგ ამირანაშვილი (ორივე-ივერია), რევაზ ბროძელი (არმაზი), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა).**

**ევროპის ჩემპიონატი. U-18**

**29 ოქტომბერი**

**საქართველო-რუმინეთი, პორტუგალი-ბელგია**

**1 ნოემბერი**

**საქართველო-ბელგია, რუმინეთი-პორტუგალია**

**4 ნოემბერი**

**საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-ბელგია**

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ბავშვთა რაგბი

# სკოლებმა რაგბის თამაში დაიწყეს

**29 ოქტომბერს "შევარდენის" ხელოვნურსაფარიან სტადიონზე სასკოლო ლიგის გათამაშების ფინალი გაიმართება.**

სასკოლო ლიგის ჩამოყალიბება განათლების სისტემის რეფორმირების შედეგია და პრეცედენტს წარმოადგენს ქართული რაგბის ისტორიაში: როგორც ცნობილია, 2011 წლიდან ჩვენს სკოლებში, ფიზ. მომზადების გაკვეთილები სპორტის ამა თუ იმ სახეობამ ჩაანაცვლა.

რაგბიზე არჩევანი, ძირითადად, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და დედაქალაქის ხუთმა სკოლამ შეაჩერა. საქართველოს მასშტაბით რაგბის ჯერჯერობით 34 სკოლაში თამაშობენ.

ლიგის შექმნა და ყოველწლიური ტურნირის ჩატარება განათლების სამინისტროს ინიციატივაა, რომელსაც რაგბის კავშირი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად უწევს კოორდინირებას.

რაგბის მოთამაშე ახალბედებისთვის ე.წ. "თაგ რაგბი", ანუ რაგბის უკონტაქტო სახეობა შეირჩა, რომელიც საფარიან მოედანს არ საჭიროებს და სათამაშოდაც იოლია - კონტაქტად "თაგ რაგბიში" სპეციალური ქამრებიდან ლენტების ჩამოხევა ითვლება.

"დამწყებთათვის ეს დისციპლინა გაცილებით ადვილი ასათვისებელია. მისი თამაში გოგოებსა და ბიჭებს ერთადაც შეუძლიათ როგორც ასფალტზე, ასევე დარბაზში" - ამბობს სასკოლო ლიგის პროექტის კოორდინატორი და რაგბის კავშირის ტექნიკური დირექტორი, **გიორგი ჭუმბურიძე.**

კავშირის ორგანიზებით, ივნისში, ლიგაში მონაწილეობის მსურველი სკოლების მასწავლებელთათვის სემინარები ჩატარდა. დარიგდა შესაბამისი ინვენტარი: ქამრები და ლენტები.

რეგიონალურმა შეჯიბრებებმა 10 გამარჯვებული გუნდი გამოავლინა, რომელიც 29 ოქტომბერს ფინალს ითამაშებს. ესენი არიან: თბილისის გათამაშების პირველადგილოსანი წმინდა გიორგის სახელობის, ადიგენის, ახალციხის, ჭიათურის, ვანის, ქუთაისის, ბორჯომის, საჩხერის, ასპინძისა და სენაკის სკოლები.

შეჯიბრში მონაწილე მოსწავლეთა ასაკი 15-16 წელია.

ფინალი ხუთგუნდა ორ ჯგუფად - წრიული სისტემით გათამაშდება. ჯგუფის პირველადგილოსნები ჩემპიონის ტიტულისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მეორეადგილოსნები-მესამე ადგილისთვის.

სასკოლო რაგბის განვითარება სპორტის ამ სახეობის პოპულარობას შეუწყობს ხელს და ჩვენი ახალგაზრდებისთვის ყოველწლიურ სპორტულ ზეიმად გადაიქცევა.

***რაგბის კავშირის პრესსამსახური***

● საქართველოს ჩემპიონატი

**წინასწარი ფინალი**

აია-ლოკომოტივი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ოლიმპიზმი



# მძიმე სამუშაო

ბრიტანეთში 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი მედლების მოჭრა დაიწყეს. ამ პროცესისთვის სპეციალური ტექნიკური ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც მედლის მოჭრისას ყველანაირი სტანდარტის დაცვა ევალება.

უნდა დამზადდეს დაახლოებით 4700 მედალი, რომელიც განკუთვნილი იქნება ოლიმპიადის პრიზიორებისა და პარალიმპიელებისთვის.

თითო მედლის წონა 400 გრამია, დიამეტრი რვა-ნახევარ სანტიმეტრს უდრის, სისქე კი დაახლოებით შვიდი მილიმეტრია. სხვათა შორის, ბრიტანელებმა ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე დიდი მედალი დაამზადეს.

ტექნიკური პროცესის მიხედვით, თითოეულ მედალს 15-ჯერ ატარებენ 900-ტონიან პრესში, შემდეგ კი 750 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში დებენ, რათა მასზე მკაფიოდ გამოისახოს ნახატი.

*„გამოვთვალეთ, რომ ერთი მედლის დამზადებას თავიდან ბოლომდე ათი საათი სჭირდება. გაითვალისწინეთ, რომ სულ უნდა დავამზადოთ სხვადასხვა სინჯის 4700 მედალი. თავადაც ხვდებით, რა უმძიმეს და ამავდროულად, საპასუხისმგებლო პროცესთან გვაქვს საქმე“*, - ამბობს პროექტის ხელმძღვანელი პოლ ბინინგი.

მედლის დიზაინის პროექტი ამ წლის დასაწყისში შეიქმნა. ერთ მხარეს გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, მეორე მხარეს კი ლონდონის სხვადასხვა სიმბოლო, მაგალითად, მდინარე ტემზა.

### ველოსპორტი

# ჟილბერს ოქროს ველოსიპედი მისცეს



ფილიპ ჟილბერი

ველოსპორტში სეზონი ბელგიელი **ფილიპ ჟილბერის** ტრიუმფით დასრულდა. მონაკოში წლის საუკეთესო ველომრბოლლების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა და სეზონის საუკეთესო მრბოლელის პრიზი - „ოქროს ველოსიპედი“ სწორედ ბელგიელმა სპორტსმენმა დაისაკუთრა.

გამოკითხვა ტრადიციულად ფრანგულმა ჟურნალმა „ველო მაგაზინმა“ ჩაატარა და ჟილბერმა 89 ქულა მიიღო, რითაც უკან ჩამოიტოვა ტურ დე ფრანსის ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და ბრწყინვალე ბრიტანელი სპრინტერი **მარკ კევენდიში**, რომლებმაც შესაბამისად, 73 და 54 ქულა მიიღეს. ამჯერად სამეულში ვერ მოხვდა „ოქროს ველოსიპედის“ შარშანდელი მფლობელი, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა.**

*„ვფიქრობ, ფანტასტიკური სეზონი მქონდა, რადგან ყველა ერთდღიანი კლასიკური რბოლა მოვიგე. ამიტომაც დავიმსახურე ეს აღიარება“*, - განაცხადა დაჯილდოების ცერემონიის დროს ჟილბერმა.

ბელგიელი ერთდღიანი რბოლების სპეციალისტად არის მიჩნეული და მან წელს 18 სტარტის მოგება მოახერხა.

მონაკოში აგრეთვე გამოვლინდა საუკეთესო ფრანგი ველომრბოლი - ეს ტიტული ტომას ვიოკლერმა მიიღო, ხოლო წლის საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლელი გახდა - პეტერ საგანი.

### სკანდალი

# კორუმპირებული მინისტრი

ბრაზილიური სპორტის სამყაროში სერიოზული სკანდალი აგორდა - ქვეყნის სპორტის მინისტრი **ორლანდო სილვა** თანამდებობიდან გადადგა მას შემდეგ, რაც ის კორუფციაში დაადანაშაულეს. კერძოდ, ან უკვე ყოფილი მინისტრი ფინანსურ მაქინაციებშია ეჭვმიტანილი.

*„მე შევხვდი ქვეყნის პრეზიდენტ დილმა რუსეფს და ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო ჩემთვის. შევაფასეთ სპორტის სამინისტროში ერთობლივი მუშაობა“*, - განაცხადა ორლანდო სილვამ, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში გადადგომა დაადასტურა.

ივნისიდან მოყოლებული, სილვა მთავრობის მეექვსე წევრია, ვინც მინისტრის პოსტი დატოვა. ორლანდო სილვას დიდი წვლილია იმაში, რომ ბრაზილიამ 2014 და 2016 წლებში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მიიღო.

### კალათბურთი. ევროლიგა

# გაკვეთილი ბატუმისგან

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური შვიდი მატჩით დასრულდა. D ჯგუფში სამი შეხვედრა გაიმართა და აქედან ერთში მოულოდნელი შედეგი მივიღეთ. თურქეთის „გალათასარაიმ“ შინ წააგო რუსეთის „უნიქს“-თან. მასპინძლების რიგებში არ უთამაშია საქართველოს ნაკრების ცენტრს **ზაზა ფაჩულიას**, მის გარეშე კი „გალათასარაიმ“ პირველი მეოთხედი 9 ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ დარჩენილ მეოთხედებს აგებდა, ყველაზე დიდი დარტყმა კი ბოლო 10-წუთეულში მიიღო, როცა 9 ქულით დამარცხდა და საბოლოოდ შეხვედრა ოთხი ქულით დათმო. ამ მატჩის შემდეგ გუნდებს თითო მოგება და წაგება აქვთ.

D ჯგუფის ერთ-ერთმა ფავორიტმა „მონტეპასკიმ“, როგორც მოსალოდნელი იყო, შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა სლოვენიის“ „ოლიმპია“. მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, როცა 10 წუთში „მონტეპასკიმ“ 26 ქულა ჩააგდო, „ოლიმპიამ“ - მხოლოდ ოთხი.

ზედიზედ მეორე მატჩია იტალიელთა რიგებში საუკეთესოა მაკედონიის ნაკრების ლიდერი **ბო მაკალები**. ამჯერად მან თავის გუნდს 17 ქულა შესძინა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. „მონტეპასკის“ ორიდან ორი მოგება აქვს, „ოლიმპიას“ - ორი წაგება.

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა მადრიდში გაიმართა, სადაც „რეალმა“ „მილანს“ უმასპინძლა. თავდაპირველად ესპანური კლუბი მდევრის როლში აღმოჩნდა, ვინაიდან სტუმრებმა პირველი მეოთხედი ოთხი ქულის სხვაობით მოიგეს, დიდ შესვენებამდე კი სამქულიანი უპირატესობით მივიდნენ. მაგრამ „რეალმა“ მეორე ტაიმი უკეთესად ჩაატარა. ამ გუნდში საუკეთესოები იყვნენ **კეროლი** 21 ქულით და **რუდი ფერნანდესი** 17 ქულით. სწორედ მათი მონდომებით „რეალმა“ მეორე ტაიმი 10 ქულით მოიგო და 85:78 გაიმარჯვა. „რეალი“ ერთადერთი გუნდია C ჯგუფში, რომელსაც ორიდან ორი მოგება აქვს.

მადრიდელთა მსგავსად მოიგო მეორე ესპანურმა გრანდმა „ბარსელონამ“ და მასაც D ჯგუფში ორიდან ორი მოგება აქვს.

კატალონიელები მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას შინ პოლონეთის „პროკომის“ წინააღმდეგ: პირველი მეოთხედი ხუთი ქულით მოიგეს, მეორე - ექვსით, მესამე - შვიდით, ხოლო მეოთხე ცხრით და საბოლოოდ, 88:61 გაიმარჯვეს. ამჯერად „ბარსას“ რიგებში ყველაზე შედეგიანი სლოვენიელი **ერაზემ ლორბეკი** იყო 20 ქულით. პოლონურმა კლუბმა ევროლიგის გათამაშება ზედიზედ ორი წაგებით დაიწყო.

მნიშვნელოვანი იყო A ჯგუფის ფავორიტების - „ოლიმპიაკოსისა“ და „ფენერბაჰჩეს“ შეხვედრა. ორივეს წაგებული ჰქონდა პირველი ტურის მატჩი და შესაბამისად, გამარჯვება ესაჭიროებოდათ. თითქმის თანაბარ შეხვედრაში უფრო მეტად „ოლიმპიაკოსს“ გაუმართლა.

გუნდებმა ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს. პირველი ნახევარი „ფენერბაჰჩემ“ 11 ქულით მოიგო, მაგრამ მასპინძლებმა ეს სხვაობა მესამე მეოთხედში გააბათილეს, მეოთხეში კი საბოლოო დარტყმა მიაყენეს მეტოქეს - 81:74. ბერძნების რიგებში გაიბრწყინეს **სპანულისმა და პრინტეცისმა**, რომლებმაც შესაბამისად, 22 და 21 ქულა შესძინეს „ოლიმპიაკოსს“.

ასევე პირველი გამარჯვება მოიპოვა წლევანდელ ევროლიგაზე საფრანგეთის „ნანსიმ“, რომელიც შინ ეთამაშებოდა „ბილბაოს“. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე ბასკური კლუბი ერთი ქულით იგებდა, მაგრამ დარჩენილი დრო „ნანსიმ“ 15:0 მოიგო და შეხვედრა 14-ქულიანი უპირატესობით დაასრულა. გამარჯვებულთა რიგებში შეუდარებელი იყო **ნიკოლა ბატუმი**, რომელმაც 26 ქულას 7 მოხსნა და 8 პასი დაუმატა და სულ მცირედი დააკლდა სამმაგ დუბლამდე. ორი ტურის შემდეგ ორივე გუნდს თითო მოგება და წაგება აქვს.

ჯერჯერობით უჭირს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს - თელ ავივის „მაკაბის“. პირველ ტურში „მილანთან“ წაგების შემდეგ, ისრაელის ჩემპიონმა შინ დიდი გაჭირვებით მოუგო სერბეთის „პარტიზანს“, არადა, მასპინძლებს შეეძლოთ საქმე აქამდე არ მიეყვანათ. პირველი სამი მეოთხედის შემდეგ „მაკაბის“ კომფორტული 16-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში ინიციატივა მთლიანად მეტოქეს გადააბარა, რისი წყალობითაც „პარტიზანი“ 16:5 გაიქცა, თუმცა დრო არ ეყო ანგარიშის გასათანაბრებლად.

70:66 - მოიგო „მაკაბიმ“, რომლის რიგებში ვეტერანი **პაპალუკასი** 13 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო. 11 ქულა, 6 მოხსნა და 6 პასი იყო „ლეიკერსის“ ყოფილი მცველის **ჯორდან ფარმარის** ანგარიშზე.

#### ტურის MVP

როგორც მოსალოდნელი იყო, ტურის საუკეთესო მოთამაშედ „ნანსის“ მცველი ნიკოლა ბატუმი დაასახელეს, რომელსაც სამი მოხსნა და ორი პასი არ ეყო სამმაგ დუბლამდე. გარდა ამისა, იმ 15:0 გაქცევაში, რომლითაც „ნანსიმ“ „ბილბაოსთან“ მატჩში გამარჯვება მოახერხა, ყველაზე დიდი წვლილი სწორედ ფრანგ კალათბურთელს ჰქონდა - 11 ქულა ჩააგდო.

ამ ყველაფერმა ბატუმს სარგებლიანობის რეიტინგში 36 ქულა მოუტანა.

#### ტურის რიცხვი

მადრიდის „რეალის“ ცენტრმა **ფელიპე რეიესმა** ევროლიგის ისტორიაში მოხსნების რაოდენობით მერვე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამჟამად ესპანელ კალათბურთელს 813 მოხსნა აქვს.

„მილანთან“ მატჩში შვიდი მოხსნის წყალობით რეიესმა არგენტინელ **ლუის სკოლას** გაუსწრო. მადრიდელი მეშვიდე ადგილზეც მალე გადავა, რადგან ამ პოზიციაზე მყოფ იტალიელს **გრეგორ ფუჩკას** 818 მოხსნა აქვს.

#### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე 81:74**

12:14, 14:23, 27:17, 28:20

**ო:** სპანულისი (22+7 პასი), პრინტეცისი (21+7 პასი), გეჩევიჩუსი (13), ჰაინსი (10).

**ფ:** სეფოლოშა (17+12 მოხსნა), გიტსი (14+6 მოხსნა), უკიჩი (13), პრელჯიჩი (8+5 მოხსნა+7 პასი).

**ნანსი-ბილბაო 87:73**

17:18, 21:20, 23:20, 26:15

**ნ:** ბატუმი (26+7 მოხსნა+8 პასი), მოერმანი (15+5 მოხსნა), აკინგბალა (14+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), შულერი (10).

**ბ:** ბანიჩი (16+5 მოხსნა), ვასილიადისი (12), ჯექსონი (11+6 მოხსნა), ერველი (9+6 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 2 | 0 | 15 |
| 2. ნანსი | 1 | 1 | 3 |
| 3. ბილბაო | 1 | 1 | 1 |
| 4. კანტუ | 1 | 1 | -1 |
| 5. ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | -8 |
| 6. ფენერბაჰჩე | 0 | 2 | -10 |

#### B ჯგუფი

**რეალი-მილანი 85:78**

14:18, 22:21, 27:23, 22:16

**რ:** კეროლი (21), ფერნანდესი (17+4 პასი), ლიული (13+4 პასი), ბეგიჩი (9+7 მოხსნა).

**მ:** ნიკოლასი (24), ჰეირსტონი (18), გალინარი (12).

**მაკაბი-პარტიზანი 70:66**

19:12, 22:17, 15:11, 14:26

**მ:** პაპალუკასი (13), ფარმარი (11+6 მოხსნა+6 პასი), პნინი (10), ელიაჰუ (10), ჰენდრიქსი (9+5 მოხსნა).

**პ:** მილოსავლევიჩი (14+5 მოხსნა), მაჩვანი (14+6 მოხსნა), ლოუ (12+4 პასი), პეკოვიჩი (10+7 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 0 | 31 |
| 2. ეფესი | 1 | 1 | 10 |
| 3. მილანი | 1 | 1 | 0 |
| 4. მაკაბი | 1 | 1 | -3 |
| 5. შარლერუა | 1 | 1 | -23 |
| 6. პარტიზანი | 0 | 2 | -15 |

#### D ჯგუფი

**გალათასარაი-უნიქსი 64:68**

21:12, 14:16, 15:17, 14:23

**გ:** ანდრიჩი (14+7 მოხსნა), შიპი (11), სონგაილა (10).

**უ:** დომერკანტი (16), გრირი (12+4 პასი), სავრასენკო (9+7 მოხსნა).

**მონტეპასკი-ოლიმპია 79:57**

26:4, 12:25, 23:11, 18:17

**მ:** მაკალები (17+3 ჩაჭრა), ლავრინოვიჩი (12+8 მოხსნა), კაუკენასი (11), მოსი (10).

**ო:** ბერტანში (12).

**ბარსელონა-პროკომი 88:61**

23:18, 24:18, 17:10, 24:15

**ბ:** ლორბეკი (20), ნავარო (14+5 პასი), უერტასი (11+5 პასი), ეიდსონი (10+7 მოხსნა), მიკელი (10).

**პ:** ლაფაიეტი (15), გი (10), ლაპეტა (9+5 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 0 | 49 |
| 2. მონტეპასკი | 2 | 0 | 30 |
| 3. გალათასარაი | 1 | 1 | 0 |
| 4. უნიქსი | 1 | 1 | -4 |
| 5. პროკომი | 0 | 2 | -31 |
| 6. ოლიმპია | 0 | 2 | -44 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ნიკოლა ბატუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი




# 17 გოლი ერთ მატჩში!

ფანტასტიკური სანახაობა აჩვენეს ფილადელფიელ მაყურებლებს ადგილობრივმა „ფლაიერზმა" და „ვინიპეგ ჯეტსმა". ამ გუნდებმა აბსოლუტურად დაივიწყეს დაცვაში თამაში და ბოლო 15 წლის განმავლობაში ლიგაში ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარეს - ჯამში 17 გოლი გაიტანეს! ამ თრილერში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა სტუმართა გუნდმა, რომლის რიგებში ცხრა ჰოკეისტმა გამოიჩინა თავი!

ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, „ფილადელფიას" პირველ 30 წუთში ექვსი გოლი რომ არ გაეშვა. თავად მასპინძელთა გუნდმა ამ დროის განმავლობაში ორი შაიბა გაიტანა. 6:2 „ვინიპეგისთვის" პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ „მფრინავებმა" საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თავი არ შეირცხვინეს და დაუვიწყარი სპექტაკლი წარმოადგინეს. მეორე პერიოდის მეათე წუთიდან ბოლო 20-წუთეულის მესამე წუთამდე „ფილადელფიამ" „ვინიპეგის" კარში ხუთი უპასუხო გოლი შეაგდო და წინ გავიდა - 7:6! ამას მოჰყვა „ვინიპეგის" ორი გოლი და მატჩში ლიდერი კიდევ ერთხელ შეიცვალა. „ფლაიერზი" არ დანებდა და ანგარიში ისევ გათანაბრდა, მაგრამ მასპინძელმა მაინც ვერ მიაღწია ოვერტაიმამდე - საფინალო სირენამდე წუთითა და 6 წამით ადრე **ენდრიუ ლედმა** გამარჯვება მოუტანა „ვინიპეგს" - 9:8.

■ ■ ■

სეზონში პირველი მარცხი იწვნია „ვაშინგტონმა". ლიდერის დამარცხება „ედმონტონმა" შეძლო, რომლის პერსპექტიულმა ფორვარდებმა თანდათან დაიწყეს მწვრთნელების ნდობის გამართლება. მაგალითად, წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა** მეოთხე პასი მიითვალა. თუმცა დედაქალაქელთა დამარცხება არა „მენავთობეების" ახალგაზრდების, არამედ მათი 38 წლის მეკარის **ნიკოლაი ხაბიბულინის** დამსახურებაა. ვეტერანმა რუსმა, რომელმაც ამ ზაფხულს ამერიკის ციხეში რამდენიმე დღე გაატარა მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, 35-დან 34 დარტყმა მოიგერია და დღის პირველი ვარსკვლავი გახდა. სხვათა შორის, ამ მომენტისთვის ხაბიბულინი NHL-ის ლიდერია საიმედოობის კოეფიციენტით (0.97) და დარტყმების მოგერიების პროცენტით (96,4).

**პიტსბურგი-აილენდერსი 3:2 (ბ)**

0:1, 2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ნილსენი-2 (ოკსოპო-2, შტრაიტი-6), 0:2 მ. მარტინი-1 (სტაიოსი-1, რისონერი-1), 1:2 კუნიტცი-3 (დუპუი-6, ლეტანგი-8), 2:2 ჯ. ნილი-9 (კუნიტცი-3, მალკინი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** მალკინი (პიტსბურგი).

**ფილადელფია-ვინიპეგი 8:9**

1:3, 3:3, 4:3

**გოლები:** 1:0 ჰარტნელი-3 (იაგრი-6, ტიმონენი-5), 1:1 რ. ჯონსი-1 (ველერი-3, გლესი-3), 1:2 სლეიტერი-4 (ტორნბურნი-1, გლესი-4), 1:3 უელვუდი-4 (ენსტრიომი-4, ლიტლი-2), 1:4 გლესი-2 (ენსტრიომი-5, ბაფლინი-3), 1:5 ანტროპოვი-3 (სტეპლტონი-1), 2:5 კ. ჟირუ-6 (ტიმონენი-6, ბრიერი-5), 2:6 ე. კეინი-2 (ანტროპოვი-5, ბურმისტროვი-6), 3:6 ბრიერი-3 (ჰარტნელი-5, ტიმონენი-7), 4:6 ტელბოტი-2, 5:6 ბრიერი-4 (ქობურნი-1, ვან რიმსდიკი-3), 6:6 რიდი-3 (ლილია-1, ვორაჩეკი-3), 7:6 ვან რიმსდიკი-3 (ბრიერი-6, მ. კარლი-5), 7:7 ბურმისტროვი-3 (ანტროპოვი-6, ე. კეინი-2), 7:8 მ. სტიუარტი-1 (სტეპლტონი-2, ველერი-4), 8:8 ვან რიმსდიკი-4 (ტიმონენი-8, მეზაროში-3), 8:9 ლედი-3 (ველერი-5, ლიტლი-3).

**რეინჯერსი-ტორონტო 2:4**

1:0, 0:1, 1:3

**გოლები:** 1:0 ჟირარდი-1 (გაბორიკი-1, ანისიმოვი-3), 1:1 ლომბარდი-2 (ბოჟაკი-5, გუნარსონი-3), 1:2 ლუპული-5 (გარდინერი-3, კესელი-7), 1:3 მაკარტური-1 (კომისარეკი-1), 1:4 მ. ბრაუნი-1 (ლაილსი-7), 2:4 დელ ზოტო-1.

**ბაფალო-კოლამბუსი 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ბოიესი-2 (ვანეკი-5, პომინვილი-9), 2:0 პომინვილი-3 (ვანეკი-6, ლ. ადამი-5), 2:1 პროსპალი-4 (ვერმეტი-4, უმბურგერი-3), 2:2 ტიუტინი-1 (პალსონი-1, ვიშნიევსკი-1), 3:2 კალეტა-1 (გერბე-4, ერჰოფი-5), 4:2 პომინვილი-4 (ვანეკი-7, ბოიესი-3).

**ბოსტონი-მონრეალი 1:2**

1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-2, 1:1 ე. კოული-2 (შპაჩეკი-2, დეშარნე-5), 1:2 პლეკანეცი-3 (ჯონტა-4, ჯორჯესი-6).

**ოტავა-ფლორიდა 4:3**

0:1, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 გარისონი-3 (ვერსტიგი-6, ბ. კემპბელი-8), 1:1 ალფრედსონი-4 (სპეცა-8, გონჩარი-7), 1:2 უეისი-4 (ფლიშმანი-4, კულიკოვი-5), 2:2 და კოსტა-2 (კონდრა-2, მ. მიხალეკი-5), 3:2 გრინინგი-3 (ე. კარლსონი-9), 3:3 ვერსტიგი-5 (უეისი-5, კულიკოვი-6), 4:3 ფოლინო-2 (ალფრედსონი-3, რუნდბლადი-2).

**ნეშვილი-ტამპა ბეი 5:3**

2:2, 3:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ს. კოსტიცინი-3 (კ. სმიტი-4, ფიშერი-2), 2:0 ფიშერი-1 (ს. კოსტიცინი-5, კ. სმიტი-5), 2:1 სტემკოსი-5 (პურსელი-6, მელოუნი-3), 2:2 პურსელი-3 (ბ. კონოლი-3, მ-ა. ბერჟერონი-9), 3:2 ჰორნკვისტი-1 (ჰალიშჩუკი-2, ჯოფრიონი-1), 4:2 სპალინგი-1 (ჰილენი-2, ბლუმი-2), 5:2 ფიშერი-2 (სპალინგი-2), 5:3 სტემკოსი-6 (მ-ა. ბერჟერონი-10, სან ლუი-6).

**მინესოტა-ანაჰაიმი 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 პერი-4 (გეტცლაფი-3, სელიანე-4), 0:2 რაიანი-3 (სელიანე-5, ლიდმანი-2), 1:2 სპარჯონი-1 (სეტოგუჩი-2, ბუშარი-4), 1:3 გეტცლაფი-4 (სელიანე-6, პერი-3), 2:3 კულენი-4 (მ. კოივუ-4, ჰიტლი-4).

**დალასი-ლოს ანჯელესი 3:5**

1:0, 0:3, 2:2

**გოლები:** 1:0 დელეი-1 (ლ. ერიქსონი-3, ბენი-7), 1:1 ჯასტინ უილიამსი-3 (ვოინოვი-1, კოპიტარი-7), 1:2 პერსი-1 (მ. რიჩარდსი-6, დ. ბრაუნი-3), 1:3 ვოინოვი-1 (დ. ბრაუნი-4, მ. რიჩარდსი-7), 2:3 რაიდერი-3 (რიბეირო-7, მოროუ-4), 3:3 ნისტრიომი-1 (ფიდლერი-1, დვორაკი-2), 3:4 ვოინოვი-2 (კლიფორდი-1, მორო-1), 3:5 დ. ბრაუნი-3 (მ. რიჩარდსი-8, კოპიტარი-8).

**ედმონტონი-ვაშინგტონი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ელზნერი-1 (ჰალპერნი-3, ჩიმერა-1), 1:1 ტ. ჰოლი-3 (ებერლე-7, პოტერი-4), 2:1 ებერლე-2 (პოტერი-5, ნიუჯენტი-ჰოპკინსი-4).

**ფინიქსი-ნიუ ჯერსი 5:3**

1:1, 2:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ო'სალივანი-1 (ლენგკოუ-5, შლემკო-2), 1:1 პარიზე-4, 1:2 ფეინი-2 (ტედენბი-3), 2:2 რეი უიტნი-4 (ვრბატა-3, იენდლი-5), 3:2 ტორესი-2 (დოუნი-6, იენდლი-6), 4:2 ჰანჟალი-3 (რეი უიტნი-5, შლემკო-3), 5:2 რეი უიტნი-5 (ჰანჟალი-4, ვრბატა-4), 5:3 პალმიერი-1 (ენრიკე-1).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ფარერები | 5:0 |
| ინგლისი-ბოსნია | 2:0 |
| ლატვია-ჰოლანდია | 1:4 |
| ჩრ. ირლანდია-ლუქსემბურგი | 0:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ასკოლი-მოდენა | 0:1 |
| ბარი-პესკარა | 0:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 0:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ალემანია | 1:0 |
| ჰანზა-კოტბუსი | 1:1 |
| უნიონი-სტ. პაული | 0:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ხემნიცი-არმინია | 1:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი II-პფიულენდორფი | 4:1 |
| მემინგენი-შტ. კიკერსი | 0:1 |
| ზონენჰოფი-ჰოფენჰაიმი II | 0:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი II-ვუპერტალი | 0:1 |
| ვიდენბრუკი-გლადბახი II | 1:1 |
| ლოტე-ბოხუმი II | 2:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბასტია-არლი | 3:0 |
| შატორუ-მონაკო | 2:1 |
| კლერმონი-ტრუა | 1:1 |
| გინგამი-ანჟერსი | 1:0 |
| ისტრი-ჰავრი | 1:1 |
| მეცი-რეიმსი | 1:0 |
| ტური-ლავალი | 0:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ბრედა-ვენლო | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ოსი | 2:0 |
| ფორტუნა-ალმერი | 0:0 |
| მაასტრიხტი-ცვოლე | 1:3 |
| ტელსტარი-ჰელმონდი | 0:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ-ფეირეირა | 3:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიბორგი-ესბერგი | 1:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ტრომსიო | 1:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-ბლაუ ვაისი | 2:0 |
| აუსტრია (ლ)-ლუსტენაუ | 2:0 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 1:1 |
| ვენა-სტ. ანდრა | 2:3 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კალითეა-დიაგორასი | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-დანდალკი | 1:0 |
| დერი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| დროგედა-სტ. პატრიკსი | 4:3 |
| შემროკი-გალვეი | 4:0 |
| სლიგო-უნივერსიტი | 4:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბალა-ნიუთაუნი | 2:2 |
| პორტ ტელბოტი-კარმარტენი | 2:0 |
| პრესტატინი-ნიუ საინტსი | 0:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აპოელ-ანორთოსისი | 0:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სიგმა | 1:1 |
| პლზენი-ჰრადეცი | 5:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| რუბინი-როსტოვი | 1:1 |
| ცსკა-ნალჩიკი | 4:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| გურნიკი-იაგელონია | 2:0 |
| შლიონსკი-ლეჩია | 1:0 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ოსიეკი | 1:4 |
| ზაგრები-სპლიტი | 0:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-ჰალადაში | 1:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ოცელული-გაზ მეთანი | 1:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ცსკა-ლევსკი | 1:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| პერშოვი-ტრნავა | 2:0 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ყარაბახი-ბაქი | 2:1 |
| ხაზარი-განჯა | 1:0 |

**კალათბურთი**

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტურკ ტელეკომი-ბეშიქთაში | 88:97 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| დიჟონი-შალონი | 75:77 |
| პარიზი-როანი | 95:92 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-აკ ბარსი | 3:2 |
| ატლანტი-დინამო (მნ) | 3:2 (ბ) |
| სპარტაკი-ს. იულიაევი | 2:3 (ო) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ოლიმპია | 0:1 |
| ვილახი-ზალცბურგი | 3:4 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 4:5 |
| ლინცერი-ალბა | 4:1 |
| ზაგრები-ვენა | 7:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰანოვერი | 6:1 |
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 4:5 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 5:1 |
| დიუსელდ.-ინგოლშტადტი | 3:2 (ბ) |
| იზერლონი-ჰამბურგი | 4:5 |
| კრეფელდი-კიოლნი | 2:3 |
| შტრაუბინგი-მიუნხენი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ჰერნინგი | 6:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-სკალიცა | 1:4 |
| ზვოლენი-ნიტრა | 2:1 (ბ) |
| პოპრადი-ბისტრიცა | 4:5 (ო) |
| კოშიცე-მარტინი | 5:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ტაპარა | 2:3 (ო) |
| ლუკო-ესეტი | 4:1 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 0:2 |
| იუვიასკიულა-ტპს | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-სპარტა | 5:4 |
| პლზენი-ბრნო | 1:6 |
| სლავია-ბოლესლავი | 0:2 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 3:6 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 3:2 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 3:4 (ბ) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ლანგნაუ | 1:2 |
| კლოტენი-ბერნი | 1:3 |
| ლუგანო-დავოსი | 3:0 |
| ციურიხი-რაპერსვილი | 5:1 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 4:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. სტ. პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ბოგომოლოვი-ლაიოვიჩი | 6:2, 6:1 |
| სტარაჩე-ტიპსარევიჩი | 7:6, 2:6, 1:6 |
| ჩილიჩი-სეპი | 4:6, 7:6, 6:4 |
| იუჟნი-მანარინო | 6:2, 6:3 |

**ATP. ვენა**

| | |
|---|---|
| ჰაასი-დელ პოტრო | 2:6, 4:6 |
| ანდერსონი-მელცერი | 6:3, 6:3 |
| ბრანდსი-დარცისი | 6:3, 6:4 |
| ცონგა-მალისე | 4:6, 7:6, 6:4 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-სტოსური | 1:6, 0:6 |
| კვიტოვა-ა. რადვანსკა | 7:6, 6:3 |
| აზარენკა-ბარტოლი | 7:5, 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

### 29 ოქტომბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ფრაიბურგი-ლევერკუზენი.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. X ტურის წინ.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის წინ.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ჩელსი-არსენალი (LIVE).
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. მანჩესტერ სიტი-ვულვერჰემპტონი (LIVE).
20:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. რომა-მილანი (LIVE).
22:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. ინტერი-იუვენტუსი (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე.
11:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-იუტა.
13:50 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ბაიერნი-ნიურნბერგი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. X ტური. კატანია-ნაპოლი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. ბარსელონა-მალიორკა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. სოსიედადი-რეალი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
17:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. შტუტგარტი-დორტმუნდი (LIVE).
19:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია.
21:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. პსჟ-კაენი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ლიონი-სენტ ეტიენი (LIVE).
00:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია.

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### 30 ოქტომბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. ბარსელონა- მალიორკა.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
15:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტურის წინ.
15:30 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. სიენა-კიევო (LIVE).
17:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. უდინეზე-პალერმო (LIVE).
20:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ტულუზა-რენი (LIVE).
22:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ვასკო და გამა-სან პაულუ (LIVE).
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ვალანსიენი-ლილი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ევერტონი-მანჩესტერ იუნ
11:45 სპორტის ვარსკვლავები - ლეილა მესხი.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ატლანტა-ლეიკერსი.
13:50 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სერია - World Challenge. ბერლინი. გერმანია.
17:45 სუპერკოლაჟი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. X ტური. ფიორენტინა-ჯენოა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი (LIVE).
22:30 F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
23:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. X ტური. კალიარი-ლაციო (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
14:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
18:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. ჰერაკლესი-ალკმაარი (LIVE).
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
22:00 სუპერკოლაჟი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. ატლეტიკო-სარაგოსა (LIVE).
01:10 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო რაფაელა (LIVE).

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-ტორპედო (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დღეს ახალ სეზონს გამოაცხადებენ?

## ლიგა რეგულარული ჩემპიონატის ფინიშს აპრილის ბოლოსკენ გადასწევს




დღეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შესაძლოა, ლოკაუტი დასრულდეს. „მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. ყველანი ველით, რომ მომავალ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმებამდე მივლენ", - განუცხადა Yahoo! Sports-ს მოლაპარაკებების ერთ-ერთმა მონაწილემ.

ასევე კმაყოფილია მოლაპარაკებების მსვლელობით NBA-ის მოთამაშეთა პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ბილი ჰანტერი**: „ვფიქრობ, კომპრომისულ ვარიანტამდე უახლოეს პერიოდში მივალთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები პატივს სცემენ ერთმანეთის აზრებს. ჩვენ ძალიან გვინდა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება".

NBA-ის კომისარ **დევიდ სტერნსაც** დიდი იმედი აქვს, რომ უახლოეს დღეებში კლუბების მფლობელები და პროფკავშირი შეძლებენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას: „მოუთმენლად ველი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდს. მხარეებს კიდევ უფრო მეტი პროგრესის მიღწევა შეუძლიათ. დიდი იმედი გვაქვს, რომ პარასკევ საღამოს მხარეები საბოლოოდ მოილაპარაკებენ".

პროფკავშირის პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** ჯერ არ ჩქარობს ზეიმს მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესის გამო. მისი აზრით, მხარეები ჯერ უნდა შეთანხმდნენ საერთო შემოსავლის განაწილების საკითხში: „ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე. ეს რთული პროცესია და ყველა დეტალი უნდა შევათანხმოთ. რაც უფრო ახლოს ვართ კომპრომისთან, მით უფრო რთულად მიმდინარეობს მოლაპარაკებები".

ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ უახლოეს ორ დღეში კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სრული სეზონის ჩატარება. უბრალოდ, რეგულარული ჩემპიონატის აპრილის ბოლომდე გაგრძელება იქნება საჭირო.

„ლიგის ფუნქციონერებს იმედი აქვთ, რომ ახალ სეზონში თითოეულ გუნდს 82 მატჩის ჩატარება მოუწევს. ამჟამად ლიგის ხელმძღვანელობა სტადიონების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს იმისთვის, რომ არენები აპრილის ბოლომდე გუნდების განკარგულებაში იყოს", - აცხადებს „ნიუ იორკ თაიმსის" ჟურნალისტი **ჰოვარდ ბეკი**.

კრივი



# ვიტალი მიდის

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა, უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში სპორტული კარიერის დასრულებას აპირებს. უფროსმა კლიჩკომ ამის შესახებ ერთ-ერთი უკრაინული არხის ეთერით გამოაცხადა.

*„მე უკვე ვასრულებ სპორტულ კარიერას. ჩავატარებ ერთს, მაქსიმუმ ორ ბრძოლას"*, - გვაუწყა უკრაინელმა.

ამასთან, 40 წლის მოკრივემ დაამშვიდა თავისი თაყვანისმცემლები - ჩემი ძმა **ვლადიმერი** ხუთი წლით უმცროსია და კიდევ დიდი ხანი გაგახარებთ თავისი ბრძოლებითო.

ვიტალიმ პროფესიულ რინგზე 45 ბრძოლა ჩაატარა და 43 მოიგო, მათ შორის 40 ნოკაუტით. მოყვარულის რანგში მის ანგარიშზე 210 ბრძოლა და 195 მოგება იყო.

ფორმულა 1

# უილიამსს კიმი გაუფორმებია

ფორმულა 1-ში მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** „სამეფო რბოლებში" ბრუნდება. PlanetF1-ის ინფორმაციით, ფინელმა ავტომრბოლმა კონტრაქტი გააფორმა ბრიტანულ საჯინიბო „უილიამსთან".

შეგახსენებთ, რომ რაიკონენმა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული სერია 2009 წელს დატოვა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჭორები ფინელის ფორმულა 1-ში დაბრუნების შესახებ.

როგორც იცით, სინგაპურის გრანპრის წინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ რაიკონენი ბრიტანეთის გროუვიში „უილიამსის" ბაზას ესტუმრა. მაშინ კიმის მენეჯერმა სტივ რობერტსონმა უარყო ჭორები მისი კლიენტის ბრიტანულ გუნდში გადასვლის თაობაზე.

მაგრამ ახლა იტყობინებიან, რომ ფინელი არა მხოლოდ შეხვდა „უილიამსის" ხელმძღვანელობას, არამედ კონტრაქტიც გააფორმა ბრიტანულ საჯინიბოსთან...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კიმი რაიკონენი

# ინდოეთი პრობლემებით იწყებს


ინდოეთის ავტოდრომი

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ში ინდოეთის სადებიუტო გრანპრი გაიმართება. ბუდჰის საერთაშორისო ავტოდრომზე ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ყველაფერი ისე ვერ მიდის, როგორც ორგანიზატორებს ჰქონდათ დაგეგმილი.

ერთ-ერთი სწავლების დროს, ტრასის მომსახურე პერსონალი რეპეტიციას გადიოდა – ავარიის შემთხვევაში როგორ უნდა ამოეყვანა პილოტი მანქანიდან და გადაეყვანა სამედიცინო ცენტრში. როგორც გერმანული Die Welt წერს, ინდოელ მარშლებს გზა აებნათ და 20 წუთის განმავლობაში ვერ გაიგნეს გზა სამედიცინო პუნქტამდე.

ინდოეთის ავტოსპორტის ასოციაციის პრეზიდენტმა **ვიკი ჩანდჰოკმა** განაცხადა, რომ ტრასის მომსახურე ჯგუფმა, რომელმაც ავტოდრომის ტერიტორიაზე ორიენტაცია დაკარგა, საჭირო გაკვეთილი მიიღო და მეორე ჯერზე სამედიცინო ცენტრამდე 4 წუთში მიაღწია.

გარდა ამისა, გუშინ, ინდოეთის ავტოდრომზე ორჯერ გაითიშა ელექტროენერგია. გუნდები სარბოლო უქმეების დროს ძირითადი სისტემების კვებისთვის დიზელის გენერატორებს იყენებენ, მაგრამ დამხმარე სისტემები ადგილობრივ ქსელთან არის შეერთებული და ამიტომაც მოწყობილობის ხელახლა ჩატვირთვა მოუწიათ.

უშუალოდ რბოლის დროს ელექტროენერგიის გამორთვამ, შესაძლოა, სერიოზულად შეუშალოს ხელი გუნდების მუშაობას.

■ ■ ■

ტრასის კონფიგურაციას შეფასება მისცა "ლოტუს-რენოს" სარბოლო დირექტორმა **ალან პერმეინმა**.

*"ტრასის კონფიგურაციამ და სამუშაოების ხარისხმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, - განაცხადა პერმეინმა. - შესანიშნავი ავტოდრომია, რომელზეც რამდენიმე საინტერესო სწრაფ მოსახვევსა და სიმაღლეების სხვაობას ვხედავთ. სწრაფი და გრძელი სწორი მონაკვეთების შემდეგ ნელი მოსახვევები ერთი თავისებურებით გამოირჩევა: ფართო შესასვლელი აქვს, მაგრამ შემდეგ ვიწროვდება. შედეგად, პირველ და მეოთხე მოსახვევებში შესაძლებელია ბევრი გასწრება ვიხილოთ* DRS*-ის სისტემის გამოყენებით. ჯერჯერობით ტრასა ძალიან ჭუჭყიანია, რადგან ეს ახალი ავტოდრომია. დარწმუნებული ვარ, ასფალტს თავისუფალი ვარჯიშების წინ გაწმენდენ, თუმცა მათი გაწმენდის ყველაზე კარგი საშუალება - მანქანის პილოტირებაა".*

■ ■ ■

ინდოეთის გრანპრიზე მხოლოდ ერთი ადგილობრივი პილოტი გამოვა. ეს გახლავთ 34 წლის **ნარაიან კართიკეიანი**, რომელიც HRT-ის მანქანაში იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცის** ადგილს დაიკავებს.

არ გაუმართლა პელოტონის მეორე ინდოელს, 27 წლის **კარუნ ჩანდჰოკს** - მისმა გუნდმა „ლოტუსმა" გადაწყვიტა უცვლელი დატოვოს საპრიზო პილოტების შემადგენლობა. *„იმედგაცრუებული ვარ ამ გადაწყვეტილებით, - აღიარა კარუნმა. - ყველამ ვიცით, რომ აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ამ პროექტში ჯერ კიდევ იმ სტადიიდან, როცა აქ ტრასის ნაცვლად შიშველი მიწა იყო. ფორმულა 1 ინდოეთში კოლოსალურ რეზონანსს იწვევს - მხოლოდ ბოლო ორი დღის განმავლობაში 28 ინტერვიუ მივეცი. მით უფრო დასანანია, რომ სასტარტო ბილიკზე არ ვიდგები".*

„ლოტუსის" გადაწყვეტილება - ბრძოლაში ჩაერთო თავისი გამოცდილი პილოტები: **ჰეიკი კოვალაინენი** და **იარნო ტრული** - იმით არის ნაკარნახევი, რომ გუნდი დაძაბულ ბრძოლას აწარმოებს კონსტრუქტორთა თასზე მეათე ადგილის დასაკავებლად. როგორც ცნობილია, გუნდურ ჩათვლაში პოზიციაზეა დამოკიდებული საერთო შემოსავლიდან წილი.

■ ■ ■

გუშინ ინდოეთის უქმეებზე ორი თავისუფალი პრაქტიკა გაიმართა. პირველი ვარჯიში მოიგო „მაკლარენის" წევრმა **ლუის ჰემილტონმა**, რომელმაც ნახევარ წამზე მეტი მოუგო „რედ ბულის" პილოტებს - **სებასტიან ფეტელსა** და **მარკ უებერს**. მეოთხეზე გავიდა „მაკლარენის" მეორე პილოტი **ჯენსონ ბატონი**.

მეორე პრაქტიკისას „ფერარის" პილოტებმა იყოჩაღეს - **ფელიპე მასა** პირველზე აღმოჩნდა, **ფერნანდო ალონსო** - მესამეზე. ისევ მეორე იყო ფეტელი, ხოლო ჰემილტონი მეოთხეზე ჩამოქვეითდა. მეორე ვარჯიშისას პირველ ექვსეულში მოხვდნენ სამი ლიდერი საჯინიბოს წევრები.

**განრიგი. შაბათი**

კვალიფიკაცია - 12:25

**კვირა**

რბოლა - 14:20